



იურიდიული  
პროფესიის  
რეფორმის ინდექსი

საქართველო  
ნაწილი II  
ნოემბერი 2007





# საქართველოს იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსი

2007 წლის ნოემბერი

ამერიკის იურისტთა ასოციაცია

ნაწილი II

წინამდებარე გამოცემაში წარმოდგენილი შინაარსი ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივის (ABA Rule of Law Initiative) ნაშრომია. მასში წარმოდგენილი მოსაზრებანი ეკუთვნის მხოლოდ და მხოლოდ მის ავტორებს და ისინი არ დამტკიცებულა ამერიკის იურისტთა ასოციაციის დელეგატთა საბჭოს ან მმართველთა საბჭოს მიერ და არ წარმოადგენს ამერიკის იურისტთა ასოციაციის პოზიციას ან პოლიტიკას. ამასთან, წინამდებარე გამოცემაში წარმოდგენილი შეხედულებანი არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც კონკრეტულ საკითხებზე იურიდიული რჩევა. წინამდებარე ანალიზის გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საშუალებით. გამოცემის შინაარსზე პასუხისმგებელია ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივა და ის არ ასახავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პოზიციას.

ISBN: 978-1-60442-074-6 (რბილ ყდიანი)

ISBN: 978-1-60442-075-3 (PDF დოკუმენტი)

დაბეჭდილია ამერიკის შეერთებულ შტატებში

საავტორო უფლებები © 2007, ამერიკის იურისტთა ასოციაცია  
ვაშინგტონი, NW ქ.15,  
კორპუსი 740; 20005,

შესავალი

მოკლე მიმოხილვა

საქართველოს შესახებ

სამართლებრივი მიმოხილვა

ისტორიული მიმოხილვა

იურიდიული პროფესიის აღწერა

იურიდიული პროფესიის ორგანიზაციული სტრუქტურა

ფაქტორების ცხრილი

I. პროფესიული თავისუფლება და ბარანტიები

ფაქტორი 1: საადვოკატო პრაქტიკის დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობა

ფაქტორი 2: პროფესიული იმუნიტეტი

ფაქტორი 3: კლიენტთა ხელმისაწვდომობა

ფაქტორი 4: ადვოკატი-კლიენტის ურთიერთობის კონფიდენციალურობა

ფაქტორი 5: თანასწორუფლებიანობა

ფაქტორი 6: სასამართლოში გამოსვლის უფლება

II. ბანათლება, სწავლება და პროფესიაში შესვლა

ფაქტორი 7: აკადემიური მოთხოვნები

ფაქტორი 8: საადვოკატო საქმიანობისთვის მომზადება

ფაქტორი 9: საკვალიფიკაციო პროცესი

ფაქტორი 10: ლიცენზიის გამცემი ორგანო

ფაქტორი 11: პროფესიაში არადისკრიმინაციული დაშვება

III. იურიდიული პრაქტიკის მდგომარეობა და სტანდარტები

ფაქტორი 12: დამოუკიდებელი საადვოკატო საქმიანობის ჩამოყალიბება

ფაქტორი 13: რესურსები და ანაზღაურება

ფაქტორი 14: უწყვეტი იურიდიული განათლება

ფაქტორი 15: ეროვნულ და გენდერულ უმცირესობათა წარმომადგენლობა პროფესიაში

ფაქტორი 16: პროფესიული ეთიკა და ქცევა

ფაქტორი 17: დისციპლინური ღვეწა და სანქციები

IV. იურიდიული მომსახურება

ფაქტორი 18: იურიდიული მომსახურების ხელმისაწვდომობა

ფაქტორი 19: იურიდიული მომსახურება უმწეოთათვის

ფაქტორი 20: დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმი

V. პროფესიული ასოციაციები

ფაქტორი 21: ორგანიზაციული მართვა და დამოუკიდებლობა

ფაქტორი 22: წევრთა მომსახურება

ფაქტორი 23: საჯარო ინტერესი და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების პროგრამები

ფაქტორი 24: ადვოკატის როლი სამართლებრივ რეფორმაში

შემოკლებების განმარტებები

შესავალი

იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსი (LPRI) არის შეფასების ხელსაწყო, რომელიც განხორციელდა ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივის (ABA ROLI) მიერ. ამერიკის იურისტთა ასოციაციის ცენტრალური ევროპისა და ევრაზიის სამართლებრივმა ინიციატივამ (ABA/CEELI), რომელიც ამჟამად წარმოადგეს კანონის უზენაესობის ინიციატივის ერთერთ განყოფილებას შეიმუშავა იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსი (LPRI) სხვა რეგიონულ განყოფილებებთან - მათ შორის აფრიკის, აზიის, ლათინური ამერიკის და ახლო აღმოსავლეთ/ჩრდილოეთ აფრიკის თანამშრომლობით. ამერიკის იურისტთა ასოციაციის ცენტრალური ევროპისა და ევრაზიის სამართლებრივმა ინიციატივამ (ABA/CEELI) განვითარებადი დემოკრატიის ქვეყნებში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმის შეფასების მიზნით შექმნა იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსი (LPRI). ინდექსი ეფუძნება 24 ფაქტორს, რომელიც შემუშავებულია იურისტის პროფესიისთვის ჩამოყალიბებული და საერთაშორისოდ (გაერო და ევროპის საბჭო) აღიარებული სტანდარტების საფუძველზე. LPRI-ის ფაქტორების საშუალებით განისაზღვრება ისეთი მნიშვნელოვანი სფეროების მახვენებლები როგორცაა, მაგალითად, პროფესიული თავისუფლება და გარანტიები; განათლება, ტრენინგი და პროფესიის ხელმისაწვდომობა; მუშაობის პირობები და ნორმები; იურიდიული მომსახურება და პროფესიული ასოციაციები. ინდექსის ძირითადი დანიშნულებაა ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივის (ABA ROLI) და სამართლებრივი დახმარების საკითხებზე მომუშავე სხვა ორგანიზაციებს, სამართლებრივი დახმარების დამფინანსებლებსა და განვითარებად დემოკრატიას საშუალება მისცეს თავად განახორციელონ სამართლებრივი რეფორმების შესაბამისი პროგრამები და მეთვალყურეობა გაუწიონ იურისტთა უფრო ეთიკური, ეფექტური და დამოუკიდებელი პროფესიის ჩამოყალიბების პროცესს. ამასთან, LPRI და ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივის (ABA ROLI) პარტნიორი სასამართლო რეფორმის ინდექსი (JRI) უზრუნველყოფს ინფორმაციას ისეთ საკითხებზე, როგორცაა კორუფცია, სასამართლო სისტემის მიერ კონფლიქტების გადაჭრის შესაძლებლობა, უმცირესობათა უფლებები და სამართლებრივი განათლების რეფორმა.

ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივამ (ABA ROLI) პროექტის განხორციელებისას გაითვალისწინა, რომ არ არსებობს ერთიანი მიდგომა ყველა კონკრეტულ საკითხზე რომელიც იურიდიული პროფესიის რეფორმაში მოიაზრება. კონკრეტულად კი, ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივას (ABA ROLI) მიაჩნია რომ არსებობს სამართლებრივ კულტურებს შორის სხვაობები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ზოგიერთი საკითხის მეტ ნაკლებად აქტუალურობა კონკრეტულ სიტუაციაში. მრავალი წლის განმავლობაში ამ სფეროში მუშაობის შემდეგ ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივამ (ABA ROLI) გამოავლინა 24 ფაქტორი, რომელიც ამ დოკუმენტშია მოცემული და რომლებსაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეთ იურიდიული პროფესიის რეფორმაზე. ამ ფაქტორების კვლევა იძლევა საფუძველს მოხდეს რეფორმის პროცესის მნიშვნელოვანი ელემენტების შეფასება და მათზე დაყრდნობით ტექნიკური დახმარების პროგრამების სტრუქტურირება.

იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსის ტექნიკური მიდგომა ანხსხვაავებს ესეთი სახის შეფასების ხელსაწყოს სხვა დამოუკიდებელი შეფასებებისაგან; მაგალითად როგორცაა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანის უფლებების ანგარიში და თავისუფლების სახლის ანგარიში “გარდამავალი ქვეყნები” («Nations in Transit»). ეს შეფასება არ იძლევა კომენტარებს ქვეყანაში არსებული

იურიდიული პროფესიის საერთო სტატუსზე. პირიქით, შეფასებაში მოყვანილია ქვეყანაში არსებული კონკრეტული პირობები, საკანონმდებლო დებულებები, მექანიზმები და განხილულია, თუ როგორ შეესაბამება ის კონკრეტული რეფორმის კრიტერიუმს შეფასების პერიოდში. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ანალიტიკური პროცესი არ წარმოადგენს მეცნიერული სტატისტიკის შესწავლას ან მიმოხილვას. იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსი ეფუძნება შესაბამისი სამართლებრივი ნორმების, მიზნობრივ ჯგუფებთან მსჯელობის, ინფორმაციის ძირითად მომწოდებლებთან გასაუბრებებისა და სხვა შესაბამისი მონაცემების შესწავლის შედეგებს. პირველ რიგში, ეს დოკუმენტი წარმოადგენს სამართლებრივ მოკვლევას, რომელიც ჩატარდა დროის კონკრეტულ მონაკვეთში ქვეყნის სამართლებრივი სისტემის მრავალფეროვანი ინფორმაციის დამუშავების შედეგად და განხილულია იურისტის პროფესიის კუთხით. .

## შეფასების მოცულობა

იურიდიული პროფესიის რეფორმის შეფასებისას გადასატრედი იყო ორი ძირითადი საკითხი. პირველი - ტერმინების «იურიდიული პროფესიის» და «იურისტის» განსაზღვრა. დასახელება - «იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსი» არასწორია, რადგან ინდექსში ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ იურისტებზე. თუმცა, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში იურიდიული პროფესიები სხვადასხვა კატეგორიებს წარმოადგენენ. მაგალითად, ევროპის საბჭოს ჩამონათვალში არის იურიდიული პროფესიის რამდენიმე კატეგორია, რომელიც მოიცავს მოსამართლეებს, პროკურორებს, იურისტებს, ნოტარიუსებს, მოსამართლის თანაშემწეებსა და სასამართლოს აღმასრულებლებს. ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივას (ABA ROLI) შეეძლო ყველა ამ და სხვა პროფესიის გათვალისწინება შეფასების მომზადების პერიოდში. თუმცა, ამ შემთხვევაში შეფასება ან ძალიან გართულებული ან, პირიქით, ზედაპირული იქნებოდა.

იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსის (LPRI) პროცესის მართვისა და გლობალურად გამოყენების მიზნით, ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ სამართლებრივი სისტემის ძირითად შემადგენელ პროფესიებზე, ასე მაგალითად - პროფესიებზე, რომლებიც ზოგადად, წამყვანი და მნიშვნელოვანია დემოკრატიული და საბაზრო ეკონომიკის სისტემების ფუნქციონირებისთვის. შედეგად, ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივამ (ABA ROLI) ნოტარიუსის, სასამართლო აღმასრულებლის და მოსამართლეთა თანაშემწეების პროფესიები სხვადასხვა ქვეყნებში მათი როლის ცვალებადობისა და შეზღუდვების გამო გამორიცხა ამ შეფასებიდან. ამასთან, ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივამ (ABA ROLI) გადაწყვიტა, არ გაითვალისწინოს მოსამართლეები და პროკურორები იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსის (LPRI) შეფასებაში, რათა ძირითადი აქცენტი გაკეთდეს იმ პროფესიაზე, რომელსაც მოქალაქეები სახელმწიფოს წინაშე საკუთარი ინტერესების დაცვისას იყენებენ. დამოუკიდებელი ადვოკატები, განსხვავებით მოსამართლეებისა და პროკურორებისაგან, არ წარმოადგენენ სახელმწიფო ბერკეტს. ამასთანავე ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივამ (ABA ROLI) შეიმუშავა სასამართლო რეფორმის ინდექსი (JRI), სადაც ყურადღება გამახვილებულია განვითარებადი დემოკრატიის ქვეყნებში სასამართლო რეფორმის ასპექტებზე, ასევე პროკურატურის რეფორმის ინდექსი, პროკურორთა შეფასების ხელსაწყო (PRI) და იურიდიული განათლების რეფორმის

ინდექსი (LERI) ქვეყანაში არსებული იურიდიული განათლების მდგომარეობის შეფასებისათვის.

მას შემდეგ, რაც ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივამ (ABA ROLI) განსაზღვრა იურიდიული პროფესიის რომელი კატეგორია შეფასდეს იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსის მიხედვით, უნდა განისაზღვროს და განიმარტოს ტერმინი «იურისტი». ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რამდენიმე სხვა ქვეყანაში «იურისტები» შეადგენენ პროფესიონალთა ერთიან კატეგორიას. მიუხედავად ამისა, უმრავლეს ქვეყანაში, სასამართლოში მათი წარმომადგენლობის მიხედვით ხდება იურისტების შემდგომ ქვეკატეგორიებად დაყოფა. მაგალითად, საფრანგეთში არსებობს ადვოკატთა სამი კატეგორია: *avocats*, *avoués a la Cour* და *avocats aux Conseils*. *Avocat*-ი არის იურისტი, რომელსაც გააჩნია ყველა სასამართლოში გამოსვლის უფლება, აგრეთვე, იურიდიული კონსულტაციების გაწევა და კლიენტთა უფლებების სასამართლოში დაცვა. მას პირდაპირ მითითებებს აძლევენ კლიენტები და ის კლიენტების სახელით გამოდის სასამართლოში. *Avoués a la Cour*-ს გააჩნია სააპელაციო სასამართლოში სარჩელის შეტანის მონოპოლიური უფლება, გარდა სისხლის სამართლისა და შრომითი ურთიერთობების კანონების ქვემდებარე საქმეებისა. ასეთ საქმეებზე მუშაობა მიმდინარეობს *avocet*-თან ერთად. როგორც წესი, *avoués a la Cour* -ს შეაქვს სარჩელი, თუმცა ის არასოდეს წარმოადგენს კლიენტს სასამართლოში. მას არ გააჩნია ნებისმიერი სახის სასამართლოში კლიენტის ინტერესების დაცვის უფლება. *Avocats aux Conseils* წარმოადგენენ კლიენტების ინტერესებს საკასაციო სასამართლოსა და *Council d'Etat* -ში (საფრანგეთის უმაღლეს ადმინისტრაციულ სასამართლოში). (იხილეთ სანგლეიდი და კოჰენი იურიდიული პროფესია საფრანგეთში, იურიდიული პროფესია ახალ ევროპაში: სახელმძღვანელო პრაქტიკოსებისათვის; 127 (ტაირელი & იაკუბი; მეორე გამოცემა; 1996). «ახალი ევროპის იურიდიული პროფესიები», 1996). სასამართლოში გამოსვლის უფლების გარდა, იურისტის ტერმინის განმარტება უფრო რთული სხვა ფაქტორების გამო გახდა. სახელმწიფო და კორპორაციული მრჩეველი არ მიიჩნევიან თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლებად. ზოგ ქვეყანაში კი დაშვებულია, კლიენტების ინტერესები იურიდიული განათლების არმქონე პირებმა წარმოადგინონ სასამართლოში.

ამ საკითხებმა წარმოშვა დილემა, იმ შემთხვევაში თუ ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივა (ABA ROLI) ძირითადად ყურადღებას გაამახვილებდა მხოლოდ ადვოკატებზე (ანუ იმ პროფესიონალებზე, რომლებიც გამოდიან სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლოში) შესაძლებელი იქნებოდა გლობალური იურიდიული პროფესიის სეგმენტის მეტ-ნაკლებად სწორი შეფასების გაკეთება. თუმცა დამოუკიდებელ იურისტთა დიდი ნაწილი არ შევიდოდა შეფასების ფარგლებში, რაც მკითხველს მცირე წარმოდგენას მისცემდა იურიდიული პროფესიის რეფორმაზე. მაგალითად, ევროპის ადვოკატთა ასოციაციების საბჭოსა და იურიდიული საზოგადოებების (CCBE) თანახმად, 2002 წელს, პოლონეთში მოქმედებდა 22 048 იურისტი. მათ შორის მხოლოდ 5 315, ანუ 24%, ადვოკატები იყვნენ. ამავე დროს, თუ შეფასებაში განხილული იქნება ყველა ის ადამიანი, რომელსაც გააჩნია საადვოკატო საქმიანობის განხორციელების ნებართვა, სურათი არ იქნება სწორი და სრულყოფილი, რადგან ჩართული იქნებიან იურისტები და არა-იურისტები, რომლებიც არ არიან დაკავებულნი იურიდიული პრაქტიკით. იმისათვის, რომ შეფასება ყოვლისმომცველი და ამავე დროს მარტივი იყოს, ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივამ (ABA ROLI) გადაწყვიტა იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსში იმ ადვოკატებისა და სამოქალაქო საქმეების ადვოკატების ჩართვა, რომელთაც მიღებული აქვთ იურიდიული განათლება აღიარებულ სასწავლებლებში და პრაქტიკოსი და

დამოუკიდებელი იურისტები არიან, რითაც გამორიცხა სახელმწიფო და კერძო კორპორაციების იურისტები. ამასთან, ვინაიდან ზოგი ფაქტორი მხოლოდ ადვოკატებს შეეხება, ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივამ (ABA ROLI) გადაწყვიტა გააფართოვოს ფარგლები და მოიცვას იურისტები საკითხების მიხედვით.

## მეთოდოლოგია

მეორე ძირითადი პრობლემა, რომელსაც წავაწყდით იურისტის პროფესიის შეფასებისას, უკავშირდება არსსა და მნიშვნელობას. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივამ (ABA ROLI) შეძლო მასალების მოპოვება სასამართლო რეფორმის ინდექსიდან, სტრუქტურასა და განხორციელების პროცესთან დაკავშირებით მაინც ძალიან მწირი მასალის მოიპოვება გახდა შესაძლებელი, ვინაიდან ეს კვლევა ძირითად აქცენტს აკეთებს სასამართლო ხელისუფლებაზე, ხოლო სამართლებრივი სისტემის სხვა მნიშვნელოვანი კომპონენტები, როგორცაა იურისტები და პროკურორები, არ არიან გათვალისწინებული. დემოკრატიის საკითხებზე მომუშავე მეცნიერის, თომას კაროტერსის თქმით, «კანონის უზენაესობის დამკვიდრებაზე მომუშავენი ცდილობენ ის თანმიმდევრულ პროცესად აქციონ, სადაც ძირითადი აქცენტი სასამართლოებზე კეთდება». *(კაროტერსი, «კანონის უზენაესობის დამკვიდრება საზღვარგარეთ: პრობლემის გააზრება, 8, (CEIP კანონის უზენაესობის სერიები», სამუშაო ფურცელი №34, 2003 წლის იანვარი).* რაც შეეხება სასამართლო რეფორმის ინდექსს, ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივამ (ABA ROLI) დაადგინა, რომ იურიდიული პროფესიის შეფასებასთან დაკავშირებული მრავალი ფაქტორის განსაზღვრა რთულია და «სუბიექტურ და არაობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობა... კრიტიკას გამოიწვევს». *((ABA/CEELI) სასამართლო რეფორმის ინდექსი: სასამართლო რეფორმის ინდექსის შემფასებელთა სახელმძღვანელო (2001 განახლებული 2006 წელს).*

იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსის შემუშავებისას ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივამ (ABA/ROLI) გადაწყვიტა ყურადღება გაემახვილებინა ამ საკითხებსა და კრიტიკაზე როგორც სუბიექტური ისე ობიექტური კრიტერიუმების გათვალისწინებით და შესწავლილი კრიტერიუმების ფუნდამენტურ საერთაშორისო და რეგიონალურ სტანდარტებზე დაყრდნობით, ისეთი როგორცაა - გაეროს ძირითადი პრინციპები იურისტთა როლის შესახებ, ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის სტანდარტები იურიდიული პროფესიის დამოუკიდებლობის შესახებ, იურიდიული პროფესიის ზოგადი პრინციპები და ეთიკის საერთაშორისო კოდექსი და და ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის ტურინის პრინციპები იურიდიულ პროფესიონალთა პროფესიული ქცევის შესახებ 21-ე საუკუნეში, ევროპის საბჭოს რეკომენდაციები R(2000)21 იურისტის პროფესიის თავისუფლების შესახებ და ევროპის ადვოკატურებისა და იურიდიული საზოგადოებების საბჭოს ქარტია იურიდიული პროფესიის ძირითადი პრინციპების შესახებ ევროპაში და ევროპელი ადვოკატების ქცევის კოდექსი. ამასთანავე ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივას (ABA ROLI) მიეცა საშუალება დაყრდნობოდა საკუთარ 10-წლიან ტექნიკურ-სამართლებრივი დახმარების გამოცდილებას იურიდიული პროფესიის რეფორმაში განვითარებადი დემოკრატიის ქვეყნებში.

ზემოხსენებულ წყაროებზე დაყრდნობით, ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივამ (ABA/ROLI) შეადგინა 24 ფაქტორი, რომელიც მიუთითებს ეთიკური, ეფექტური და დამოუკიდებელი იურიდიული პროფესიის განვითარებაზე.

ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივამ (ABA ROLI) ამ ფაქტორების შეფასების მიზნით შეიმუშავა სახელმძღვანელო, სადაც განმარტებულია ხსენებული ფაქტორები და საერთაშორისო სტანდარტები, რაც აზუსტებს ტერმინოლოგიას და უზრუნველყოფს გამოკვლევის სფეროთა მართვას. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია იმაზე რომ არ მომხდარიყო პრეცედენტული სამართლის პრინციპებისთვის უპირატესობის მინიჭება კონტინენტური სამართლის პრინციპებთან შედარებით ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა იურისტის პროფესიის სტრუქტურა და ფუნქცია. ამდენად აღნიშნულ შეფასებაში, კონკრეტული ფაქტორებია შეტანილი, რომლებიც პრეცედენტული ან კონტინენტური სამართლის იურისტებისთვის შესაძლოა უცნობი და განსხვავებული იყოს, რისთვისაც საჭიროა გავითვალისწინოთ რომ ამის მიზანს წარმოადგენდა იურიდიული პროფესიის საუკეთესო ტრადიციების გაზიარება და არ მომხდარიყო იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსი ერთი სისტემის მაგალითზე მოდელირება. ძირითადი კატეგორიები შეეხება პროფესიული თავისუფლებისა და გარანტიების, განათლების, სწავლება-გადამზადებისა და პროფესიის ხელმისაწვდომობის, იურიდიული პრაქტიკის პირობებისა და სტანდარტების, იურიდიული მომსახურებისა და პროფესიული ასოციაციების საკითხებს.

იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსზე მუშაობისას, ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივა (ABA/ROLI) ეყრდნობოდა სასამართლო რეფორმის ინდექსზე მიღებულ გამოცდილებასა და გაეროს CEDAW<sup>1</sup> შეფასების ხელსაწყოს. მაგალითად, იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსში (LPRI) გამოყენებულია ფაქტორთა შეჯამების მექანიზმი და ამდენად, შესაძლებელი გახდა რთული და საკამათო საკითხების განხილვის თავიდან აცილება, რასაც ადგილი ჰქონდა სასამართლო რეფორმის ინდექსის მომზადების დროს. სასამართლო რეფორმის ინდექსი (JRI) და ახლა იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსი (LPRI) ხარისხობრივ შეფასებას ფაქტორების სპეციფიკის გათვალისწინებით ახდენენ. მიუხედავად ამისა, შეფასების ორივე ხერხი გამოიყენება ქვეყანაში მიმდინარე რეფორმის მიღწევათა შესაფასებლად, ვინაიდან მთლიანად შეფასების მცდელობა უკუშედეგს გამოიწვევს.<sup>2</sup> იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსის თითოეული ფაქტორი თუ განაცხადი, შეფასებულია სამი ძირითადი კრიტერიუმის საშუალებით: *დადებითი, ნეიტრალური ან უარყოფითი*. ასეთი შეფასებები ასახავენ ფაქტორისა და სახელმწიფო რეგულირებას შორის ურთიერთობას. იმ შემთხვევაში, როდესაც ფაქტორი შეესაბამება მოცემული ქვეყნის რეალობას, ქვეყანას ეძლევა «დადებითი» შეფასება. თუ ფაქტორი არ შეესაბამება ამ ქვეყნის მდგომარეობას, მას უარყოფითი შეფასება ეძლევა. თუ ქვეყნის შიგნით არსებული მდგომარეობა ნაწილობრივ შეესაბამება დასახულ ფაქტორს - შეფასება ნეიტრალურია.

24 ცალკეული ფაქტორის შეფასებების შეკრება და სისტემატიზაცია ხორციელდება თითოეული ქვეყნის მაგალითზე. სასამართლო რეფორმის ინდექსის (JRI), პროკურატურის რეფორმის ინდექსის (PRI) და იურიდიული განათლების რეფორმის ინდექსის (LERI) შემთხვევაში არის შეფასებული დამოკიდებულება და მოკლე შეჯამება

<sup>1</sup> CEDAW – გაეროს კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ ABA ROLI-იმ შეიმუშავა CEDAW-ს შეფასების ხელსაწყო 2001-2002 წლებში

<sup>2</sup> საკითხის სიდრმისეული შესწავლისათვის, იხ.ლარკინი “სასამართლოს დამოუკიდებლობა და დემოკრატიზაცია:თეორიული და კონცეპტუალური ანალიზი;” ამერიკის შედარებითი სამართლის ჟურნალი, 605, 611 (1996)

თითოეული ფაქტორის შემდეგ. სხვადასხვა საკითხებზე უფრო ჩაღრმავებული შეფასებაა მოცემული. მონაცემების ასეთი ფორმატით განთავსება ხელს უწყობს მონაცემთა ბაზაში მათ შეტანას და მომხმარებელს, ქვეყნების მიხედვით მონაცემების შედარების საშუალებას აძლევს, ვინაიდან ხდება იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსის განახლება. სასამართლო რეფორმის ინდექსის ფორმატის გამოყენების ორი ძირითადი მიზეზი არსებობს: შეფასება და ფორმატი. პირველია - სიმარტივე, როცა გამოცდილი მეთოდოლოგიის გამოყენებით მოხერხდა ამ სამუშაოს დროულად ჩატარება. მეორე მიზეზი ერთიანი ფორმატია, სადაც ერთიანი ფორმატების შემუშავება საშუალებას აძლევს ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივას (ABA ROLI) LPRI-სა, JRI-ში, PRI-ში და LERI-ში მოყვანილი მონაცემები შეადაროს ერთმანეთს. საბოლოო ჯამში კი სამართლებრივი რეფორმის სრულ სურათს მივიღებთ თითოეული ქვეყნის მაგალითზე.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ შეფასებაში შემოტანილია სიახლეებიც: ურთიერთკავშირის კომიტეტის შექმნა და არაფორმალური ფოკუს ჯგუფების გამოყენება. ურთიერთდაკავშირებული ფაქტორების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივამ (ABA ROLI) შექმნა კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ შემფასებელი და ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივის (ABA ROLI) სამხარეო დირექტორების შესაბამისი ქვეყნიდან და ადგილობრივი თანამშრომლები, ასევე ზოგიერთი თანამშრომლები ვაშინგტონიდან. კომიტეტის შექმნის კონცეფცია გულისხმობს, გააღრმავოს შემფასებლის გამოცდილება და მიაწოდოს სხვა სახის ინფორმაცია შეფასების სათანადო მექანიზმის ჩამოყალიბებისთვის. არაფორმალური მიზნობრივი ჯგუფების შემადგენლობაში შედიან არამარტო ადვოკატები, არამედ მოსამართლეები, პროკურატურის თანამშრომლები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვა ოფიციალური პირები. აღნიშნული ჯგუფების გამოყენება საკითხთა წრის განსაზღვრასა და შეფასების სიზუსტის უზრუნველყოფას გულისხმობდა.

იურიდიული პროფესიის ინდექსის განმეორებითი განხორციელება რამოდენიმე მიზანს ისახავს. პირველ რიგში, იგი უზრუნველყოფს განახლებულ ანგარიშს იურიდიული პროფესიის თაობაზე განვითარებადი დემოკრატიის ქვეყნებში და ამ ანგარიშებში ხაზგასმულია მნიშვნელოვანი სამართლებრივი, იურიდიული, სასამართლო და სხვა პოლიტიკური მოვლენები და თუ რა გავლენა აქვს ამ მოვლენებს დამოუკიდებელ და ხარისხიან იურიდიულ პროფესიაზე. ამ ანგარიშებში ასევე აღწერილი იქნება ის გარემოებები რომელიც წინა ანგარიშში პრობლემურ მომენტებად გამოვლინდა და რაზეც სახელმწიფო უწყებებმა, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებმა და სხვებმა მოახდინეს რეაგირება. იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსის პერიოდული განხორციელება ასევე მიუთითებს იმ სფეროებს, სადაც მოხდა უკუსვლა, ანუ იმ სფეროებს სადაც იურიდიული პროფესია არ განვითარდა ან სადაც გაუმჯობესების თვალსაზრისით მოხდა მცირე ცვლილება. განმეორებით ჩატარებულ ანგარიშებში ასევე აისახება წარმატებული მომენტები და გარემოებები იურიდიული პროფესიის განვითარების სფეროში. და ბოლოს იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსის პერიოდული ჩატარება ამერიკის იურისტთა ასოციაციას კანონის უზენაესობის ინიციატივას აძლევს საშუალებას იმოქმედოს როგორც ინფორმაციის დროულმა მიმწოდებელმა, წყარომ და გააკეთოს დროული ანალიზი ქვეყანაში არსებული იურიდიული პროფესიის რეფორმის განვითარების თვალსაზრისით განვითარებადი დემოკრატიის ქვეყნებში.

განმეორებით ჩატარებული იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსის სტრუქტურა და მეთოდოლოგია არ შეიცვლება რაც იძლევა ზუსტი ისტორიული ანალიზის

გაკეთების საშუალებას. ეს ანგარიშები ასევე აღწერენ იურიდიული პროფესიის შესაბამისობას 24 ფაქტორთან. პროცესი მოიცავს ყველა კანონის, ნორმატიული აქტების და დებულებების კვლევას, ასევე იმ წყაროების შესწავლის საშუალებას რომლებსაც გავლენა აქვთ იურიდიული პროფესიის ორგანიზაციულ მხრესთან და ფუნქციონირებასთან, ასევე გამოყენებული იქნება ინტერვიუს პროცესი ათობით ადვოკატთან, მოსამართლესთან, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და ასევე ჟურნალისტებთან ვინც ჩახედულნი არიან ადვოკატების ფუნქციონირებაში. შეფასების განმეორებით ჩატარებისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა იმ ფაქტორებს რომლებმაც მიიღეს უარყოფითი შეფასება წინა ანგარიშის პერიოდში.

თითოეული ფაქტორი ახალი ანგარიშის განხორციელებისას თავიდან მიიღებს შესაბამისობის მაჩვენებელს იქნება ეს დადებითი, უარყოფითი თუ ნეიტრალური. ამასთან ერთად განმეორებით ჩატარებული ანგარიში ასევე გამოავლენს ცვლილების მაჩვენებელს შესაბამისობისას ან განვითარებას ადრე ჩატარებულ ანგარიშთან შედარებით. ეს ცვლილებები ასახული იქნება ფაქტორთა ცხრილში იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსის დასაწყისში და ასევე თითოეული ფაქტორის შემაჯამებელ ნაწილშიც იქნება მონაცემი კონკრეტულ ფაქტორთან დაკავშირებით. გამოყენებული იქნება შემდეგი სიმბოლოები: ↑ (გაუმჯობესების აღმნიშვნელი); ↓(გაუარესების აღმნიშვნელი) და ↔ (ცვლილება არ ყოფილა ან ძალიან პატარა ცვლილება მოხდა).

სოციალური მეცნიერების მკვლევარები, შესაძლოა, დავობდნენ იმის თაობაზე, რომ ზოგი კრიტერიუმის დაზუსტება საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ან ადვოკატებთან და სასამართლოს თანამშრომლებთან ინტენსიური გასაუბრების საშუალებით უფრო გამართლებული იქნებოდა. საგრძნობლად მაღალი ხარჯებისა და დროის სიმცირის გამო, კანონის უზენაესობის ინიციატივამ გადაწყვიტა ისეთი კითხვების შერჩევა, რომ ადვოკატთათვის, მოსამართლეთათვის, ჟურნალისტთათვის და სისტემის მცოდნე გარეშე დამკვირვებელთათვის კითხვების შეზღუდული რაოდენობის მიუხედავად მომხდარიყო მათზე ამომწურავი პასუხის გაცემა. საბოლოო ჯამში, იურიდიული პროფესიის რეფორმის ანალიზი (LPR) გულისხმობს შეფასების სწრაფ განხორციელებას ერთი ან მეტი იურისტის მიერ, რომლებიც ზოგადად იცნობენ ქვეყანასა და რეგიონს. ვინც ჩაატარებდა აუცილებელ გასაუბრებებს მოიპოვებდა ობიექტურ ინფორმაციას. და ამის შედეგად შეაფასებდა თითოეულ ფაქტორს.

იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსი (LPR) რამდენიმე ფუნქციის შესასრულებლად შეიქმნა. პირველი – ამერიკის იურისტთა ასოციაციის (ABA) კანონის უზენაესობის ინიციატივა და სხვა დონორი ორგანიზაციები შეძლებენ შეფასების შედეგების გამოყენებას უფრო ეფექტური პროგრამების მომზადების დროს, რაც განამტკიცებს ქვეყანაში დამოუკიდებელი იურიდიული პროფესიის ჩამოყალიბებას. მეორე - იურიდიული პროფესიის რეფორმის ანალიზი (LPR) მიაწოდებს დონორ ორგანიზაციებს, პოლიტიკის შემქმნელებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს ინფორმაციას იურიდიული პროფესიის სტრუქტურის, ბუნებისა და სტატუსის შესახებ იმ ქვეყნებში, სადაც ჩატარდა მსგავსი შეფასება. მესამე - ამერიკის იურისტთა ასოციაციის (ABA) კანონის უზენაესობის ინიციატივის მიერ ჩატარებული სასამართლო რეფორმის ინდექსთან (JRI), პროკურატურის რეფორმის ინდექსთან (PRI) და იურიდიული განათლების რეფორმის ინდექსთან (LERI) ერთად, იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსი (LPR) ხელს შეუწყობს კანონის უზენაესობის უკეთ გააზრებასა და დამკვიდრებას. და ბოლოს, მეოთხე - იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსის (LPR) შედეგები გამოდგება ისეთი ადგილობრივი

ადვოკატების ინიციატივებისთვის, როგორცაა საზოგადოების საგანმანათლებლო კამპანიები ადვოკატთა როლის შესახებ დემოკრატიულ საზოგადოებაში, ადამიანის უფლებების საკითხი, კანონ-პროექტების შემუშავება და სახელმწიფოს მიერ იურიდიული პროფესიისთვის საერთაშორისო სტანდარტების დაცვის უზრუნველსაყოფად.

## მადლობა

ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივას (ABA ROLI) სურს მადლობა გადაუხადოს იმ გუნდს, რომელმაც შეიმუშავა იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსის (LPRI) კონცეფცია და სტრუქტურა, პროექტის კოორდინატორს კლოდ ზულოს, ABA/CEELI-ს კანონის უზენაესობის კვლევის ოფისის თანადირექტორს ენდრიუ სოლომონს, დირექტორის მოადგილესა და დსთ-ს ქვეყანათა რეგიონის დირექტორს მაიკლ მაიას, ABA/CEELI-ს სტაჟიორს ქრისტინა ტურტურიკას, აგრეთვე, ABA/CEELI-ს პროგრამის ასისტენტს გევენ უაისს.

სხვადასხვა ექსპერტებმა ერთწლიანი სამუშაო პროცესის განმავლობაში წვლილი შეიტანეს და დახმარება გასწიეს ამ პროექტის განვითარებისათვის. ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივას (ABA ROLI) სურს მადლობა გადაუხადოს აღმასრულებელ ხელმძღვანელს დევიდ ტოლბერტს (ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი); ქალბატონ მერი გრიერს - სისხლის სამართლის პროგრამის და იურიდიული პროფესიის რეფორმის პროექტის კოორდინატორს; ბატონ სკოტ კარლსონს - ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ყოფილ სამხარეო დირექტორს და სასამართლო რეფორმის მიზნობრივი სფეროს კოორდინატორს, იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსის (LPRI) საწყისი ფაქტორებისა და სტრუქტურის განხილვისთვის. ამასთან, ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივას (ABA ROLI) სურს მადლიერების გრძნობით მოიხსენიოს იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსზე (LPRI) მომუშავე ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც დახმარება გაგვიწიეს დოკუმენტის ფაქტორთა და სტრუქტურის გადამოწმებაში. ესენი არიან: კეტლინ კლარკი, კეტრინ ჰენდლი, სტეფან ლეიენბერგერი, უილიამ მეიერი, ავრომ შერი, კრისტინა სტორმი, როი სტუკი, რუპერტ ვულფი და განსაკუთრებული მადლობა მარკ დიტრიხს, რომელმაც მოგვიანებით იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსის (LPRI) საცდელი შეფასება განახორციელა. დაბოლოს, ABA/CEELI-ს სურს მადლობა გადაუხადოს ადგილობრივ იურისტებს, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს განხორციელების პროცესში. ესენი არიან: მარინ ჩიკუ (მოლდოვეთი), ტატიანა ჩერნობილი (ყაზახეთი), გულარა გულიევი (აზერბაიჯანი), ეტიშ ჯეშარი (კოსოვო), აზამათ კერიმბაევი (ყირგიზეთი) და ედუარდ მკრტჩანი (სომხეთი).

## შეფასების ჯგუფი

საქართველოს იურიდიული პროფესიის რეფორმის 2007 წლის ინდექსზე მუშაობას ხელმძღვანელობდა კრისტინ ვომაკი, ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივის (ABA ROLI) საქართველოს პროგრამის გუნდთან ერთად - უფროსი იურისტის ირინა ლორთქიფანიძის, ამავე ორგანიზაციის იურისტის ირინა ჯაფარიძის და სისხლის სამართლის პროგრამის უმცროსი იურისტის მამუკა მამაცაშვილის დახმარებით. სამუშაო ჯგუფს დახმარება აღმოუჩინა ასევე ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივის (ABA ROLI) თანამშრომლებმა როგორც ვაშინგტონში ისე თბილისში. მათ შორის ევროპისა და ევრაზიის ქვეყნების დირექტორმა დონა ვრაითმა, კვლევისა და პროგრამული

განვითარების განყოფილების დირექტორმა საიმონ კონტემ, კვლევების კოორდინატორმა ოლგა რუდამ, პროგრამის მენეჯერმა ჯული გარუჩომ და პროგრამის ოფიცერმა თამარა სანიკიძემ. ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივის (ABA ROLI) კვლევისა და პროგრამული განვითარების განყოფილების სამართლის სპეციალისტმა ბრი ალენმა გაუკეთა ანგარიშს რედაქტირება და მოამზადა ანგარიში გამოსაცემად. დასკვნები და ანალიზი ეფუძნება საქართველოში 2007 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ჩატარებულ ინტერვიუებს და იმ დოკუმენტებს რომელთა განხილვაც მოხდა ამ დროისათვის. იმ ორგანიზაციების და ინდივიდუალური პირების კონფიდენციალური სია, რომელთა გამოკითხვაც მოხდა კვლევის ჩატარების პროცესში ინახება ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივის (ABA ROLI) სათაო ოფისში ვაშინგტონში. შეფასების ჯგუფი მაღლიერებას გამოხატავს იმ პირების მიმართ, რომლებიც შეხედნენ სამუშაო ჯგუფს და დათანხმდნენ გაეცათ კითხვებზე პასუხი.

## მოკლე მიმოხილვა

### შედეგების მოკლე ანალიზი

2007 წელს საქართველოში ჩატარებულმა იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსმა (LPRI) აჩვენა რომ იურიდიული პროფესია სწრაფად ვითარდება. კანონები, რომელიც არეგულირებს იურიდიულ პროფესიას შეიცვალა რამოდენიმეჯერ ბოლო წლების განმავლობაში. ამ რეფორმებმა კი გამოიწვია პოზიტიური ცვლილებები. 24 ფაქტორის მიხედვით მოხდა ამ შეფასების განხორციელება და აქედან 10 ფაქტორის შეფასება გაუმჯობესდა 2005 წლის მონაცემებთან შედარებით და მხოლოდ 2-მა ფაქტორმა, რომელიც შეეხება კლიენტის ხელმისაწვდომობას და ადვოკატი-კლიენტის ურთიერთობის კონფიდენციალურობას მიიღო უარყოფითი შეფასება. 5 ფაქტორი რომელიც ადრე უარყოფითად იყო შეფასებული 2007 წლის მდგომარეობით გახდა ნეიტრალური და 5 ნეიტრალური ფაქტორი შეფასდა დადებითად. მნიშვნელოვანი პოზიტიური განვითარება იურიდიულ პროფესიაში იყო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის შექმნა და ამ ორგანიზაციის მიერ აქტივობების განხორციელება. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის შექმნა მჭიდრო კავშირშია სხვა პოზიტიურ მოვლენებთან, როგორცაა: ადვოკატებისათვის ეთიკის კოდექსის და დისციპლინური პასუხისმგებლობის დებულებების შემუშავება. კიდევ ერთი კონსტრუქციული მოვლენა იყო კანონის იურიდიული დახმარების შესახებ მიღება და იურიდიული დახმარების ბიუროების შექმნა რეგიონებში.

2007 წლის იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსში (LPRI) 2 ფაქტორიდან, რომლის შეფასებაც შემცირდა, ერთს ადრე მინიჭებული ჰქონდა ნეიტრალური და 2007 წლის მდგომარეობით მიიღო უარყოფითი შეფასება. მეორის დადებითი შეფასება გახდა ნეიტრალური. ამ ორი ფაქტორის შეფასების ცვლილება ასახავს საქართველოში სასამართლო სისტემის მზარდ პრობლემას, როგორცაა ადვოკატების გამორიცხვა სამართლებრივი პროცედურებიდან. საპროცესო გარიგების შემოღებამ საქართველოში გამოიწვია სისხლის სამართლებრივი დამნაშავეების მიერ ამ გარიგებებში მონაწილეობა ადვოკატებთან კონსულტაციის გარეშე. ამავე დროს, გადაჭედული სასჯელადსრულების დაწესებულებები და ასევე დაკავებულსა და ადვოკატს შორის შესვდრების მონიტორინგი წინააღმდეგს უქმნის სისხლის სამართლის საქმეებზე მომუშავე ადვოკატებს განახორციელონ საკუთარი კლიენტების ნორმალური დაცვა და წარმომადგენლობა. იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსის (LPRI) 9 ფაქტორმა შეინარჩუნა იგივე ნეგატიური ან ნეიტრალური შეფასება, რაც 2005 წელს არსებობდა. ეს შეუცვლელი ფაქტორები ასახავენ საქართველოში იურიდიულ პროფესიაში არსებულ საკითხებს. საქართველოს სასამართლო სისტემა ჯერ კიდევ ინკვიზიციურია და გამოკითხული პირები ხშირად აღნიშნავენ რომ ადვოკატები, რომლებიც იცავენ სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებული ადამიანის ინტერესებს, ვერ სარგებლობენ ისეთივე უფლებებით რა უფლებებსაც ფლობენ პროკურორები. ამავე დროს გამოკითხულმა პირებმა ასხენეს ფინანსური და სამართლებრივი რესურსების ნაკლებობა მთელი ქვეყნის მასშტაბით, განსაკუთრებით კი თბილისის გარეთ.

**2007 წლის საქართველოს იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსში (LPRI) გამოვლენილი პოზიტიური ცვლილებები**

- 2005 წლის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი გაუმჯობესება იურიდიული პროფესიის რეფორმის თვალსაზრისით არის **საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის** შექმნა. ადვოკატთა გაერთიანება შეიქმნა და ფუნქციონირებს 2006 წლიდან. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია არის ორგანო, რომელიც გასცემს ლიცენზიას იურიდიული პროფესიის წარმომადგენელთათვის. ეს ორგანიზაცია არის დამოუკიდებელი, თვითმმართველი და მარეგულირებელი ასოციაცია. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ მიიღო ეთიკის კოდექსი ადვოკატებისათვის და მას ჰყავს მოქმედი ეთიკის კომისია, რომლის ფუნქცია არის ადვოკატების დისციპლინური პასუხისმგებლობის განსაზღვრა. ამ ორგანიზაციის შექმნის დღიდან მისი წევრები 900-დან 3719-მდე გაიზარდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახლადშექმნილი საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია რამოდენიმე პრობლემის წინაშე დგას, მათ შორისაა ისეთი საკითხები როგორცაა ქვორუმის ვერ შეკრება საერთო კრების მოწვევისას 2007 წელს და პრობლემები საწევროების შეკრებასთან დაკავშირებით.
- **იურიდიული პროფესიის წარმომადგენელთა ორგანიზაციები** – საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) და საქართველოს იურისტ სტუდენტთა ასოციაცია (სისა) – ძალიან აქტიურად უზრუნველყოფენ წევრებს სხვადასხვა სახის მომსახურებით. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია მართავს ტრენინგებს და უფასო სასწავლო კურსებს ადვოკატებისათვის და ასევე გამოსცემს კვარტალურ ჟურნალს. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად აქტიურად ასორციელებს საზოგადოების ინფორმირების კამპანიას მათი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ. საქართველოს იურისტ სტუდენტთა ასოციაცია მხარს უჭერს პრაქტიკული უნარ ჩვევების ტრენინგების განხორციელებას და აქტიურად მოღვაწეობს იურისტ სტუდენტთა და იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებთან დიალოგის განვითარების ფარგლებში.
- შემდეგი პოზიტიური განვითარება არის წინსვლა იურიდიული განათლების თვალსაზრისით. უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარებისათვის იქნა შემოღებული **ეროვნული გამოცდა** და უკვე რამოდენიმე წელია ხორციელდება. **ინსტიტუციური აკრედიტაცია უკვე შემოღებულია და პროგრამული აკრედიტაციის შექმნა დაგეგმილია 2008 წლისათვის.** უნივერსიტეტები ახდენენ სასწავლო პროგრამის რეორგანიზაციას უმაღლესი განათლების ბოლონის დეკლარაციის მიხედვით. ინტერაქტიული სასწავლო მეთოდისა და ანალიტიკური სწავლების ინკორპორირება ხდება ნელ-ნელა სასწავლო პროგრამაში. სამართლებრივი კლინიკები სთავაზობენ სტუდენტებს პრაქტიკული უნარჩვევების ტრენინგებს და საზოგადოების წარმომადგენელთათვის იურიდიული დახმარების განხორციელებას.

## იურიდიული სისტემის სტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემები

- მიუხედავად ბოლო დროს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებისა, **სასამართლო სისტემა მაინც ინკვიზიციური სისტემაა.** ამიტომ პროკურორებს აქვთ უპირატესობა სასამართლო დარბაზში და ადვოკატებს უჭირთ პროკურატურისაგან საკუთარ საქმეზე ინფორმაციის დროული მოპოვება. ამასთანავე, სასამართლოების არაეფექტურობაც იწვევს გარკვეულ პრობლემებს

ადვოკატებისათვის კონკრეტული საქმის მასალების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილებების დროული მიღება საკუთარი კლიენტების საქმეებზე. მიუხედავად ამისა ბევრ ადვოკატს ღრმად სწამს რომ სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის კანონპროექტი, რომელიც დააწესებს შეჯიბრებით სასამართლო პროცესს, აღმოფხვრის წინააღმდეგობებს მხარეთა თანასწორობის თვალსაზრისით.

- ადვოკატები შეზღუდვები არიან უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული სისხლის სამართლის სასჯელის ფორმის გაიდლაინების და საპროცესო გარიგების ინსტიტუტის არსებობით. სისხლის სამართლის გაიდლაინები იქცა პირდაპირ მითითებად მოსამართლეებისათვის თუ რა გადაწყვეტილება უნდა გამოიტანონ მათ ამა თუ იმ სისხლის სამართლის საქმეზე და პროკურორებიც აქტიურად იყენებენ ამ მიდგომას იმისათვის რომ დაიყოლიონ განსასჯელები საპროცესო გარიგებაზე. ადვოკატები ხშირად არ იღებენ მონაწილეობას საპროცესო გარიგებებში სანამ მათი კლიენტები არ გააფორმებენ შეთანხმებას პროკურატურასთან. ადვოკატები აცხადებენ რომ მათ უწევთ მოლაპარაკებების წარმოება კლიენტებისათვის უფრო შეღავათიანი საპროცესო გარიგების პირობებთან დაკავშირებით და არ ეძლევათ საშუალება ამტკიცონ საკუთარი კლიენტების უდანაშაულობა.
- სისხლის სამართლის განსაჯელებთან, განსაკუთრებით კი მათთან ვისი თავისუფლებაც აღკვეთილია, შეხვედრის ორგანიზება და ასევე ამ შეხვედრების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა ძალიან პრობლემურია. ადვოკატები იჩხრიკებიან როდესაც ისინი შედიან ან გამოდიან სასჯელაღსრულების ინსტიტუტიდან, მათ შორის ამოწმებენ იმ დოკუმენტებსაც რომლებიც კონფიდენციალურად ითვლება. სასჯელაღსრულების დაწესებულებები გადაჭედებულია, არ არის შესაფერისი ადგილი შეხვედრებისათვის და შეხვედრების ოტთხის ვიდეო თვალით მოსმენა და დათვალიერება მიღებული ფორმით. ამასთანავე ადვოკატებს არ აქვთ საშუალება შევიდნენ დაკავების ადგილებში საღამოობით.

### ადეკვატური რესურსების ნაკლებობასთან დაკავშირებული პრობლემები

- ადვოკატები განიცდიან ფინანსურ პრობლემებს. ადვოკატების ანაზღაურება განსხვავდება და მათ არ გაამუდავნეს საკუთარი ფინანსური შემოსავლები რომლებსაც ისინი იღებენ კლიენტებისგან. მათ აღნიშნეს რომ ადვოკატების შემოსავალი ბევრად ნაკლებია ვიდრე პროკურორების. შემოსავლები განსაკუთრებით დაბალია რეგიონებში. ფინანსური პრობლემები არის ძირითადი პრობლემა დამოუკიდებელი იურიდიული პრაქტიკის შექმნისა და განვითარებისათვის. ადვოკატები, რომლებიც ემსახურებიან ფინანსურად გაჭირვებულ პირებს, ამბობენ რომ მათ აქვთ პრობლემები სახელმიწიფოსგან მომსახურების ანაზღაურების თვალსაზრისით.
- ადვოკატები ასევე განიცდიან პრობლემებს სამართლებრივი წყაროების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით., რომელსაც აქვს გავლენა იურიდიული მომსახურების ხარისხზე. ეს განსაკუთრებით სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს თბილისის გარეთ, რეგიონებში ვინაიდან ბიბლიოთეკები და სამართლებრივი წყაროები თავმოყრილია ქვეყნის დედაქალაქში. იურიდიული წყაროები დაბეჭდილი და ელექტრონული ფორმით ფინანსურად მიუწვდომელია ჩვეულებრივი ადვოკატისათვის.

ამასთანავე უფასო ბეჭდვითი იურიდიული წყაროები ხშირად არ აღწევს რეგიონბამდე. მაშინაც კი როდესაც დოკუმენტი ხელმისაწვდომია იგი ძირითადად რუსულ ენაზეა და არა ქართულად. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია და საქართველოს ახალგაზდა იურისტთა ასოციაცია ცდილობენ ამ პრობლემის მოგვარებას მაგრამ ეს დიდ ფინანსურ რესურსებთან არის დაკავშირებული რაც სერიოზული დაბრკოლებაა.

- სახელმწიფომ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა 2007 წელს უფასო იურიდიული დახმარების შემოღებით მათთვის ვისაც ამის საშუალება არ აქვს. იურიდიული დახმარების მომსახურების შემოღება ცხადყოფს გაჭირვებული ხალხისთვის უფასო იურიდიული დახმარების მიწოდების ძალისხმევას მაგრამ უფასო იურიდიული დახმარება ვერ აკმაყოფილებს სისხლის სამართლის საქმეებზე ადვოკატის მომსახურების მოთხოვნილებას. იმის გათვალისწინებით თუ რა სამუშაოს გაწევა შეუძლია უფასო იურიდიული დახმარების ცენტრს სისხლის სამართლის განსაჯელებისათვის არსებობს სერიოზული ეჭვები ადვოკატებს შორის რომ ეს ცენტრი ვერ გაართმევს სათანადოდ თავს უფასო იურიდიული დახმარების გაწევას სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე რაც 2009 წლიდან არის დაგეგმილი. იუხეხადავად იმისა რომ ორგანიზაცია დამოუკიდებელი უწყება ეს ინსტიტუტი იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაშია, რაც გარკვეულწილად წინააღმდეგობა ამ ორგანოს დამოუკიდებლობის თვალსაზრისით. ამ ორგანიზაციისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია საკუთარი წარმატების მისაღწევად შეინარჩუნოს ხარისხის კონტროლის მექანიზმი სახელმწიფო ჩარევის თავიდან აცილებისათვის.

## 2007 წლის იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსში (LPRI) გამოვლენილი სხვა პრობლემები

- ადვოკატების არათანაბარ განაწილებას საქართველოს მასშტაბით აქვს უარყოფითი გავლენა იურიდიული მომსახურების ხელმისაწვდომობაზე. ლიცენზირებულ ადვოკატებზე ნახევარზე მეტი თბილისშია თავმოყრილი, მაშინ როდესაც თბილისში საქართველოს მოსახლეობის მეოთხედი ცხოვრობს. შედარებისათვის თბილისში ყოველ 714 მოსახლეზე ერთი ადვოკატი მოდის, მაშინ როდესაც საქართველოს სიდიდით მეორე და მესამე ქალაქებში როგორცაა ქუთაისი და ბათუმი ერთი ადვოკატი მოდის 1890 და 2440 მცხოვრებზე.
- ადვოკატებს შეუძლიათ ლიცენზიის მიღება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან საერთო, სისხლის სამართლის ან სამოქალაქო სამართლის სფეროში გამოცდის ჩაბარებით, რომელსაც ასოციაცია ატარებს, ან პროკურორების და სამოსამართლო გამოცდის ჩაბარებით, რომელსაც იუსტიციის უმაღლესი სკოლა ატარებს. განსხვავებული მოსაზრებებია სხვადასხვა გამოცდების ხარისხის, შინაარსის და ორგანიზების თვალსაზრისით რაც ეჭვქვეშ აყენებს პროფესიაში გაწევრიანების პროცესის სამართლიანობას და გამჭვირვალობას. ადვოკატთა უმეტესობას სწამს რომ წევრობისათვის საჭირო უნდ იყოს ერთიანი გამოცდის ჩაბარება იმისათვის რომ მოხდეს პროფესიის ხარისხის სტანდარტიზაცია.
- მიუხედავად ბოლო დროს მიღებული ცვლილებებისა არა ადვოკატებს, ვისაც წარმომადგენლებს უწოდებენ, აქვთ უფლება წარმოადგინონ

კლიენტების ინტერესები სასამართლოებში გარკვეულ გარემოებებში. წარმომადგენლებს არ მოეთხოვებათ ლიცენზიის მიღება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან და არც გარკვეული აკადემიური მოთხოვნების დაკმაყოფილება. ადვოკატები თანხმდებიან რომ მხოლოდ ლიცენზირებულმა ადვოკატებმა უნდა მოახდინონ კლიენტის ინტერესების დაცვა სასამართლოებში იმისათვის რომ დაცული იყოს იურიდიული წარმომადგენლობის ხარისხი.

- მაშინ როდესაც ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსისა და დისციპლინური დევნის დებულებების მიღება არის დადებითი მოვლენა, იურიდიულ პროფესიაში აუცილებელია ადვოკატებისათვის ეთიკის კოდექსისა და დისციპლინური დევნის დებულებების გაცნობა. ბევრმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები არ არიან ინფორმირებულნი ამ დოკუმენტების არსებობის შესახებ და ისინი ვინც იცნობენ ამ დოკუმენტს აღნიშნავენ რომ რთულია ეთიკური დარღვევის გამოვლენა. ადვოკატის წინააღმდეგ შემოტანილი დაახლოებით 100-მდე სარჩელიდან მხოლოდ ერთზე აღიძრა დისციპლინური დევნა. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ცდილობს ინფორმაცია მიაწოდოს ადვოკატებს არსებული დისციპლინური მეთოდების და მექანიზმების თაობაზე მაგრამ ეს აქტივობებიც ფინანსური პრობლემების გამო ვერ ხორციელდება.

## საქართველოს შესახებ

საქართველო სამხრეთ კავკასიის ქვეყანაა, რომელიც ესაზღვრება რუსეთს, სომხეთს, თურქეთს და აზერბაიჯანს. საქართველოს ისტორია მითიური პრომეთესა და იასონიდან იწყება. პირველი მაცხოვრებელი საქართველოს ტერიტორიაზე 2 მილიონი წლის წინ გაჩნდა. საქართველომ თავისი ისტორიის მანძილზე გაუძლო რომაელების, თურქების, სპარსელების და სხვათა შემოსევებს და ამჟამად დროს სხვადასხვა მეფის დროს ინარჩუნებდა ქვეყნის მთლიანობას და დამოუკიდებლობას. საქართველო მეორე ქვეყანაა სომხეთის შემდეგ სადაც ქრისტიანობა გავრცელდა. მე-13-ე საუკუნეში საქართველოს მონღოლები შემოესივნენ. მე-19-ე საუკუნის დასაწყისში იგი რუსეთმა დაიპყრო. საქართველომ დამოუკიდებლობა ცოტა ხნით მოიპოვა 1918 წელს მაგრამ მალე ისევ რუსეთის საბჭოთა არმიამ დაიპყრო ქვეყანა.

1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო დამოუკიდებელი გახდა მაგრამ მალე სამოქალაქო ომი დაიწყო რამაც დამანგრეველი სოციალური და ეკონომიკური პრობლემები გამოიწვია ქვეყანაში. რუსეთის მეოხებით საქართველომ დაკარგა საკუთარი ტერიტორიები – აფხაზეთი და ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთი. ეს რეგიონები ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის გარეთ რჩება და მათ მართავს დე ფაქტო არ აღიარებული მთავრობები. დაახლოებით 200 000 ზე მეტი იძულებით გადაადგილებულმა პირმა საქართველოს შეაფარა თავი, სადაც ისინი რთულ ეკონომიკურ პირობებში ცხოვრობენ. 1995 წელს საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა საქართველოს პრეზიდენტი მას შემდეგ რაც იგი ცოტა ხნით მთავრობის მეთაური იყო. მან ულტრა-ნაციონალისტი ზვიად გამსახურდია შეცვალა. შევარდნაძრე ქვეყანას 2003 წლამდე მართავდა, იქამდე სანამ იმ დროინდელი ხელისუფლების მცდელობა გაეყალბებინა არჩევნები არ გადაიზარდა ფართო მასშტაბიან დემონსტრაციებში და საზოგადოებრივ უკმაყოფილებაში რაც –“ვარდების რევოლუციის” სახელით არის ცნობილი, რასაც შევარდნაძის გადადგომა მოჰყვა. 2004

წელს ჩატარებულმა ახალმა არჩევნებმა ხელისუფლების სათავეში მიხეილ სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობის პარტია მოიყვანა.

ვარდების რევოლუციამ დაბადა სერიოზული ცვლილებების, დემოკრატიული რეფორმების განხორციელებისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების იმედი. პრეზიდენტმა სააკაშვილმა განახორციელა საკანონმდებლო ცვლილებები. მთავრობამ ჩაატარა მმართველობის რეფორმა, მიიღო ანტიკორუფციული ზომები, დაიწყო დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა, სასამართლო რეფორმისა და ეკონომიკური კამპანიის განხორციელება. ამ საკანონმდებლო ცვლილებებმა გამოიწვია სირთულეები იურიდიულ გარემოსთან მიმართებაში. პრეზიდენტ სააკაშვილის მთავრობა გაკრიტიკებულ იქნა აღმასრულებელ ხელისუფლებაში დიდი ძალაუფლების კონცენტრაციისათვის. 2007 წლის ნოემბერში ქვეყანა მოიცვა საპროტესტო ტალღამ. პრეზიდენტმა სააკაშვილმა საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. თავდაპირველად პრეზიდენტი სააკაშვილი იგნორირებას უკეთებდა ოპოზიციის მოთხოვნას გადამდგარიყი მაგრამ 2007 წლის 25 ნოემბერს იგი გადადგა თანამდებობიდან და დანიშნა ახალი არჩევნები 2008 წლის იანვარში. პარლამენტის თამჯდომარე ნინო ბურჯანაძე გახდა პრეზიდენტობის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი სანამ მოხდებოდა ახალი პრეზიდენტის არჩევა იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ.

### სამართლებრივი მიმოხილვა

საქართველო არის ერთპალატიანი საპარლამენტო მმართველობის ქვეყანა. ქვეყანა დაყოფილია რეგიონულ ადმინისტრაციებად. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ საქართველომ სერიოზული ნაბიჯები გადადგა იურიდიული პროფესიის განვითარების თვალსაზრისით. საქართველომ ახალი კონსტიტუცია 1995 წელს მიიღო, რომელიც იძლევა ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიებს, მათ შორის ადვოკატის ეფექტური დახმარების ფლებას მათთვის ვინც დანაშაული ჩაიდინეს. (საქართველოს კონსტიტუცია მუხლები 18(5) და 42 (3), მიღებული 1995 წლის 24 აგვისტოს) [შემდგომში კონსტიტუცია]. კონსტიტუციით უზრუნველყოფილია ძალაუფლების დანაწილება და დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება. (იგივე მუხლები 5(4) და 82(3)). საქართველოს კონსტიტუციამ განიცადა ცვლილებები 2004 წელს და ახალი სამტავრობო სტრუქტურა ჩამოყალიბდა. საქართველოს მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისაგან. პრეზიდენტი ასრულებს სახელმწიფოს მეთაურის როლს და კურირებს ძალოვან სამინისტროებს - შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებს. (მუხლი 69(1) და 73(10)(გ). პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს დანარჩენ სამინისტროთა მუშაობას. კონსტიტუციით განმტკიცებულია ძალაუფლების დანაწილება და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა. (მუხლი 78(2) და 79(1)) 2005 წელს განხორციელებულმა საკონსტიტუციო ცვლილებებმა შეამცირა პარლამენტის წევრთა რაოდენობა 235-დან 150-მდე საიდანაც 100 არის პროპორციული სიით არჩეული და 50 მაჟორიტარული პრინციპით 4 წლის ვადით (მუხლი 49 (1)). რეზიდენტ სააკაშვილს პარტიას დაახლოებით 70% აქვს დღევანდელ პარლამენტში. მომდევნო საპარლამენტო არჩევნები 2008 წლის გაზაფხულზეა დანიშნული. სასამართლო ხელისუფლება 3 საფეხურიანია და შედგენა რეგიონული (საქალაქო) სასამართლოებისაგან, რომელიც ითვლება პირველი ინსტანციის სასამართლოდ; სააპელაციო სასამართლოსგან და უზენაესი სასამართლოსგან, რომელიც არის საკასაციო სასამართლო. ამასთანავე საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს საკონსტიტუციო დავებს.

2001 წელს საქართველო გახდა ევრო საბჭოს წევრი სახელმწიფო. როგორც ევრო საბჭოს წევრმა ქვეყანამ საქართველო ვალდებულია საკუთარი კანონმდებლობა შესაბამისობაში მოიყვანოს ევროპულ სტანდარტებთან. საქართველო ასევე არის ხელშემკვრელი სახელმწიფო ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური თავისუფლებების ევროპული კონვენციისა (შემდეგში ევროპული კონვენცია) და ამიტომ ადამიანის უფლებების დარღვევების შესახებ სარჩელები შეიძლება შეტანილი იყოს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში სტრასბურგში მხოლოდ მას შემდეგ რაც ყველა ეროვნული საშუალებები ამოიწურება.

### ისტორიული მიმოხილვა

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უკვე თითქმის 15 წელი გავიდა, თუმცა იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები კვლავაც ებრძვიან საბჭოთა სისტემის მემკვიდრეობასა და პრობლემებს. საბჭოთა პერიოდში, პროკურატურა აკონტროლებდა ისეთი საქმეების შედეგებს, რომელთაც პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა ან, როდესაც ერთ მხარეს „სწორი“ კავშირები გააჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კონსტიტუცია შეიცავდა ადვოკატის (დაცვის) შესახებ მოთხოვნას, ისევე როგორ უდანაშაულობის პრეზუმციის ცნებას, რეალობაში ადვოკატის როლი შემოიფარგლებოდა მხოლოდ მისი სასამართლო სხდომაზე დასწრებით, ანუ, ის ფორმალურ მხარეს წარმოადგენდა. კონსტიტუციით უდანაშაულობის პრეზუმციის ცნების აღიარების მიუხედავად, ბრალდებულის ბრალეულობა ცალსახად ცნობილი იყო, ხოლო ადვოკატი ფორმალურად ესწრებოდა სასამართლო განხილვას და შემსუბუქებული განაჩენის მიღებას ცდილობდა. პოლიტიკურ საქმეებში, კომუნისტური პარტიის ლიდერები მისაღები გადაწყვეტილების შესახებ აძლევდნენ მოსამართლეებს მითითებას და ასე ხდებოდა “სატელეფონო მართალმსაჯულების” განხორციელება. ასეთი დირექტივების იგნორირება პრაქტიკულად არ ხდებოდა. სამოქალაქო საქმეები ძირითადად ოჯახური საკითხებით და მცირე ქონებრივი დავებით შემოიფარგლებოდა, რადგან ქვეყანაში მსხვილ კომერციულ და სამრეწველო ინტერესებს ძირითადად სახელმწიფო ფლობდა. კერძო იურიდიული პრაქტიკა, ისეთი სახით, როგორც მიღებულია საზღვარგარეთ, ფაქტიურად, არ არსებობდა.

მას შემდეგ რაც საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა ადვოკატების როლი საგრძნობლად შეიცვალა. პოსტ საბჭოთა საქართველოში კანონები იქნა მიღებული ადვოკატების ახალი ფუნქციონირების საკანონმდებლო რეგულირების მიზნით. იურისტის პროფესიის მარეგულირებელი ძირითადი საკანონმდებლო ბაზა არის საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. ეს კანონი 2001 წელს მიიღეს, მაგრამ ამის შემდეგ რამოდენიმე ცვლილება შევიდა მასში. საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ განამტკიცებს იურიდიული პროფესიის დამოუკიდებლობას, არეგულირებს იურიდიულ პრაქტიკას და აყალიბებს იურიდიულ პროფესიაში გაწევრიანების სტანდარტებს. კანონის მიხედვით იქმნება საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, რომელიც უფლებამოსილია ჩაატაროს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდები, გასცეს საადვოკატო ლიცენზია და აწარმოოს ადვოკატების წინააღმდეგ დისციპლინური ღეგნა. სასამართლო ინსტიტუტების ბოლოდროინდელ ცვლილებებთან ერთად სასამართლო სისტემის ფუნდამენტური ბუნებაც განიცდის სერიოზულ ცვლილებებს საქართველოში. გამოკითხულთა უმეტესობამ აღნიშნა, რომ ქვეყნის სასამართლო სისტემა სცილდება კონტინენტური სამართლის ტრადიციებს და იცვლება პრეცედენტული სამართლის სისტემით. 2008 წელს დაგეგმილია სისხლის სამართლის სისტემის სერიოზული ცვლილება, რაც გამოწვეული იქნება ახალი სისხლის სამართლის საპროცესო

კოდექსის მიღებით<sup>3</sup> (შემდგომში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტი), ასევე ცვლილებები ელოდება სამოქალაქო სამართლის პროცესსაც (კანონი №1106; მიღებული 1997 წლის 14 ნოემბერს) (შემდგომში სამოქალაქო პროცესი) ამ ცვლილებების შესაბამისად მოხდება სამართლებრივი სურათის რადიკალური ცვლილება და შეჯიბრებით პრინციპზე დაფუძნებული სისხლის სამართლებრივი სისტემის განმტკიცება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტში მთელი თავი არის განკუთვნილი ნაფიცი მსაჯულების სასამართლო პროცესზე. ეს არის უფლება რომელიც კონსტიტუციის 2004 წლის ცვლილებებით იქნა მიღებული. როგორც ეხლა პროექტში არის წარმოდგენილი, სასამართლოში იქნება 12 ნაფიცი მსაჯული, რომლებიც იქნებიან არჩეულნი ამომრჩეველთა სიებიდან და გაივლიან წინასწარ გამოკითხვას მოსამართლის და მხარეთა წარმომადგენლების წინაშე. (ეს ნაფიცი მსაჯულები განიხილავენ სისხლის სამართლის საქმეებს და გადაწყვეტილებას გამოიტანენ ფაქტებზე დაყრდნობით.

სასამართლო ხელისუფლებას ხელმძღვანელობს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომელიც თავის მხრივ ხელმძღვანელობს 3 საფეხურიან სასამართლო სისტემას, რომელშიც შედიან რეგიონული და ქალაქის სასამართლოები, სააპელაციო სასამართლოები და უზენაესი სასამართლო. რეგიონული (საქალაქო) სასამართლოები იხილავენ სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებს. სააპელაციო სასამართლოები მხოლოდ სააპელაციო სარჩელებს განიხილავენ და ეკრძალებათ საქმის პირველი ინსტანციით განხილვა. ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოები მოქმედებენ როგორც სააპელაციო სასამართლოები შესაბამის რეგიონულ ერთეულებში. უზენაესი სასამართლო არის საბოლოო ინსტანციის სასამართლო ან საკასაციო სასამართლო. საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს საკონსტიტუციო საქმეებს. 2005 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად შეიქმნა მაგისტრი მოსამართლის ინსტიტუტი, ამ ცვლილებების განხორციელება ჯერ საწყის ეტაპზეა.

ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში განხორციელდა სასამართლო რეფორმის აქტივობები, რომელიც ორიენტირებული იყო სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის განმტკიცებაზე და გარე ზეწოლისგან დაცვაზე. ამ რეფორმებმა განსხვავებული შედეგები მოგვცა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა რაოდენობა 9-დან 18-მდე გაიზარდა. აუცილებელია რომ წევრთა ნახევარზე მეტი იყოს მოსამართლე, რაც მოთხოვნილია ევროპის საბჭოს ქარტიით მოსამართლეთა სტატუსის შესახებ. (ევროპის საბჭოს ქარტია მოსამართლეთა სტატუსის შესახებ; პრინციპი 13.) მიუხედავად ამისა, ქარტიის მოთხოვნა, რომ სასამართლო ხელისუფლებამ ფუნქციონირება განახორციელოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად - არ არის უზრუნველყოფილი, ვინაიდან იუსტიციის უმაღლესი საბჭო ოფიციალურად ჯერ კიდევ აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის ქვეშ რჩება. შემადგენლობის ცვლილებასთან ერთად ბოლო წლებში გაფართოვდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

<sup>3</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტის მიღება და მისი ძალაში შესვლა დაგეგმილია 2008 წლის 1 ივნისისათვის. თუ მიიღებენ ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს, მაშინ მასში მუხლების რაოდენობა განახევრდება აქამდე არსებულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან შედარებით - 600 მუხლიდან დაახლოებით მხოლოდ 300 მუხლის დატოვებაა გადაწყვეტილი. პოლიტიკური დაძაბულობის და მოსალოდნელი არჩევნების გამო გაუგებარი იყო ნაშრომზე მუშაობის პერიოდში მოხდება თუ არა პროექტის დასახულ დროს მიღება. ამ დოკუმენტში მოყვანილი მუხლები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტიდან განხილულია საქართველოს პარლამენტის მიერ პირველი მოსმენით, მაგრამ დამატებით კიდევ 2 მოსმენა აქვს გასავლელი იმისათვის რომ საბოლოოდ იქნას მიღებული. ასე რომ ამ დოკუმენტში მოყვანილი დებულებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტიდან შეიძლება საბოლოოდ სხვა ფორმით იქნას მიღებული საქართველოს პარლამენტის მიერ.

ძალაუფლება. 2006 წლის დეკემბრის დასაწყისიდან იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიერ მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის და მათი თანამდებობიდან გათავისუფლების უფლებამოსილება.

რეფორმები ასევე ორიენტირებულია საქართველოს მოსამართლეთა განათლების გაუმჯობესებისა და მათი ტრენინგის დახვეწისკენ. მოსამართლეობის კანდიდატები ვალდებული არიან ჩააბარონ წერითი გამოცდა და გაიარონ ზეპირი გასაუბრება სანამ ისინი დაინიშნებიან მოსამართლის თანამდებობაზე. იუსტიციის უმაღლესი სკოლა დაარსდა 2007 წელს. მისი მიზანია სამოსამართლო კანდიდატების სწავლება და მოქმედი მოსამართლეებისათვის უწყვეტი სამართლებრივი სასწავლო პროგრამების განხორციელება. იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ, რომელიც დაფინანსების ძირითად ნაწილს იღებს მთავრობისგან, შეცვალა არასამთავრობო ორგანიზაცია სამოსამართლო სწავლების ცენტრი. იუსტიციის უმაღლესი სკოლის მოთხოვნათა მიხედვით სამოსამართლო კანდიდატს ევალუა ჩააბაროს გამოცდები 14 თვიანი მოსამზადებელი სწავლების პერიოდში სანამ იგი დაინიშნება მოსამართლის თანამდებობაზე. მიუხედავად ამისა მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის პროცედურა არ არის სრულყოფილად გამჭვირვალე. პროცესის შემადგენელ ნაწილად კვლავ რჩება ზეპირი გასაუბრება, რომელიც ტარდება დახურულ კარს მიღმა და არ არსებობს ამ პროცედურის ამსახველი წერილობითი დოკუმენტი.

2004 წლის დასაწყისიდან 2006 წლის დეკემბრამდე საკონსტიტუციო ცვლილებების მიხედვით პრეზიდენტს მიენიჭა მოსამართლეების თანამდებობებზე დანიშვნის და მათი თანამდებობიდან განთავისუფლების უფლებამოსილება. იმისათვის, რომ სასამართლო ხელისუფლებაში აღმოფხვრილიყო კორუფცია, ზოგიერთ მოსამართლეს მიეცა საშუალება გაეკეთებინა არჩევანი თანამდებობის დატოვებისა და დისციპლინური დევნის აღძრვას შორის. უზენაესი სასამართლოს 37 მოსამართლიდან 21 გადადგა, 9 მოსამართლის წინააღმდეგ აღიძრა დისციპლინური დევნა და ისინი დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს. დისციპლინური დევნა არ იყო განხორციელებული ისეთი არამართლზომიერი ქმედებებისათვის რომელიც გამოიწვევდა მათ წინააღმდეგ დისციპლინური დევნის აღძვრას, მაგალითად როგორცაა ეთიკის ნორმების დარღვევა, გაყალბება ან სხვა მსგავსი ქმედება. დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი იყო მათ მიერ საქმის არასწორი გადაწყვეტა. დისციპლინური დევნის აღძვრა მოხდა იმ საფუძველით რომ მოსამართლეების კანონის ინტერპრეტაცია ეწინააღმდეგებოდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსაზრებას ამ საკითხზე. ამის საფუძველზე გადაწყდა მოსამართლეთა თანამდებობიდან განთავისუფლება, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი უზენაესი სასამართლოს მიერ. მიზანი იყო სასამართლო ხელისუფლების გაძლიერება, მაგრამ ქმედებებმა საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო და შეასუსტა სასამართლო. მიუხედავად იმისა რომ მოსამართლეების თანამდებობაზე დანიშვნის ან მათი თანამდებობიდან განთავისუფლების უფლებამოსილება ახლა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს აქვს მინიჭებული, მოსამართლეებს მაინც ეშინიათ რომ თუ ისინი დამოუკიდებლად იმოქმედებენ - ანუ აღმასრულებელი ხელისუფლების საწინააღმდეგოდ იმოქმედებენ - მოხდება მათ მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრა, ან მათი თანამდებობიდან განთავისუფლება. *(იხილეთ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და დასაქმების ბიუროს ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით, 2006 წლის მდგომარეობით ნაწილი I(ე); 2007 წლის 6 მარტი, იხილეთ ასევე ჰუმან რაითს ვოჩის, მსოფლიო ანგარიში 2007, საქართველო - 2006 წლის მოვლენები; იხილეთ ასევე ჰუმან რაითს ვოჩი, საქართველოს და ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, ჰუმან რაითს ვოჩის დოკუმენტი, 2005 წლის 15 ივნისი, მოსამართლეების დამოუკიდებლობა 6.)*

საბჭოთა პერიოდში პროკურორები აკონტროლებდნენ სასამართლოს განხილვის შედეგებს, განსაკუთრებით მაშინ როდესაც პოლიტიკურ ინტერესს საფრთხე ემუქრებოდა, ან თუ ერთერთ მხარეს პირადი კავშირები ჰქონდა სახელმწიფოს წარმომადგენლებთან. სხდომის თავმჯდომარე მოსამართლეები ყურს უგდებდნენ პროკურორის შემოთავაზებას, თუ როგორ უნდა გადაწყვეტილიყო საქმე. ადვოკატის როლი სასამართლო პროცესზე ძალიან შეზღუდული იყო, მიუხედავად იმისა რომ საბჭოთა კონსტიტუციით გარანტირებული იყო ადვოკატის მიერ ბრალდებულის ინტერესების დაცვა და უდანაშაულობის პრეზუმცია. ბრალდებულის ბრალეულობაში ეჭვი არავის შეჰქონდა და ადვოკატის მთავარი ფუნქცია იყო რაც შეიძლება მომგებიანი პირობების მოლაპარაკება ბრალდების მხარესთან საკუთარი კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე. პოლიტიკურ საქმეებში “სატელეფონო სამართალი” ბატონობდა და კომუნისტური პარტიის ლიდერები ურეკავდნენ მოსამართლეებს იმის მოთხოვნისთვის თუ როგორ უნდა გადაწყვეტილიყო ესა თუ ის საქმე. მოსამართლეები თითქმის ვერასდროს ვერ ახერხებდნენ კომუნისტური პარტიის ლიდერების მოთხოვნის იგნორირებას. სამოქალაქო საქმეები ძირითადად ოჯახური დავებით და პატარა ქონებრივი დავებით შემოიფარგლებოდა, ვინაიდან სახელმწიფო ფლობდა ყველა დიდ კომერციულ თუ ინდუსტრიულ ინტერესებს ქვეყანაში. კერძო იურიდიული პრაქტიკა, ისეთი სახით როგორც ეს დასავლეთის ქვეყნებში არის ცნობილი, თითქმის არ არსებობდა.

ნაფიცი მსაჯულების მიერ ბრალდებულის განთავისუფლება იქნება საბოლოო, გასაჩივრების უფლების გარეშე. (იხ. იგივე მე-6-ე, მე-10-ე). ადვოკატებს განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტთან დაკავშირებით, მაგრამ ყველა თანხმდება, რომ საჭიროა საზოგადოების ინფორმირება ამ საკითხზე და ასევე ადვოკატების გათვითცნობიერება ნაფიცი მსაჯულების როლსა და ნაფიცი მსაჯულების სასამართლო პროცესში ჩართვაზე. (იხ. იგივე მე-8-ე).

## იურიდიული პროფესიის აღწერა

საქართველოში არსებობს იურისტთა შემდეგი კატეგორიები :

- **მოსამართლეები** არიან რეგიონულ (ქალაქის) სასამართლოებში, სააპელაციო სასამართლოში, უზენაეს სასამართლოში და საკონსტიტუციო სასამართლოში.
- **მაგისტრატი მოსამართლეები** უფლებამოსილნი არიან განიხილონ სამოქალაქო დავები, რომელთა ღირებულება არ აღემატება 2000 ლარს (დაახლოებით 1130 დოლარი)<sup>4</sup>. მათი უფლებამოსილება სისხლის სამართლის საქმეებზეც შეზღუდულია.
- **პროკურორები** ზედამხედველობას უწევენ გამოძიებას და ახორციელებენ სისხლის სამართლის დამნაშავეთა სამართლებრივ დევნას.
- **გამომძიებლები** ვალდებული არიან განახორციელონ წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე და არიან სამართალდამცავი ორგანოების

<sup>4</sup> ამ ანგარიში ქართული ლარის დოლართან მიმართების კურსად აღებულია ის კურსი რომელიც კველვის ჩატარების პერიოდში იყო დაფიქსირებული და შეადგენდა 1 დოლარზე 1.77 ლარს

წარმომადგენლები პროკურატურიდან, შინაგან საქმეთა სამინისტროდან და სხვა სახელმწიფო უწყებებში.

- **ადვოკატები** არიან დამოუკიდებელი სამართლის პროფესიონალები, უფლებამოსილი წარმოადგინონ კლიენტები სისხლის და სამოქალაქო საქმეებზე.
- **ნოტარიუსები** არიან პირები, რომელთაც მინიჭებული აქვთ დოკუმენტებზე ხელმოწერების სისწორის დადასტურების, ხელშეკრულებების დამოწმების, ქონების საკუთრების სერტიფიკატების, მემკვიდრეობითი დოკუმენტების წარმოების, დოკუმენტების თარგმანების დამოწმებისა და კლიენტთათვის დოკუმენტების პროექტების შედგენის უფლება.
- **წარმომადგენლები** არიან არა ადვოკატები და აქვთ უფლება დაუცვან კლიენტის ინტერესები სამოქალაქო დავებზე პირველი ინსტანციის სასამართლოებში, სახელმწიფო ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და იმ ორგანიზაციების თანამშრომლებს ვინც ამ სახელმწიფო სტრუქტურების საქმეებზე მუშაობენ აქვთ უფლება გამოვიდნენ მაღალი ინსტანციის სასამართლოებში.<sup>5</sup>

იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსის დასაწყისში ჩამოყალიბებული მიზეზების გამო ეს შეფასება გაგრძელდება მხოლოდ ადვოკატებზე მაგრამ ზოგიერთი ფაქტორი როგორცაა იურიდიული განათლება და იურიდიული პრაქტიკისათვის მომზადება შეიძლება გაგრძელდეს იურიდიული პროფესიის წარმომადგენელთა უფრო ფართო ჯგუფზე.

2001 წლის 20 ივნისს მიღებული კანონი „ადვოკატთა შესახებ“ განსაზღვრავს საადვოკატო საქმიანობას, რომელიც მოიცავს ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისთვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, წინასწარი დაკავების, მოკვლევისა და გამოძიების ორგანოებში“; (კანონი „ადვოკატთა შესახებ“, მუხლი 2). ადვოკატთა შესახებ კანონის მე-10 და მე-11-ე მუხლების თანახმად, ადვოკატს უნდა გააჩნდეს იურიდიული განათლება, ჩაბარებული უნდა ჰქონდეს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო, სამოქალაქო ან სისხლის სპეციალიზაციით, ან პროკურატურის ან სამოსამართლო გამოცდა და გააჩნდეს ადვოკატის სტატუსად მუშაობის ერთი წლის გამოცდილება მაინც. ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ პირმა უნდა მიმართოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას ლიცენზიისათვის და მოიპოვოს უფლება იურიდიული პრაქტიკის განხორციელებისა იმ სფეროში რომელშიც მათ აქვთ გამოცდა ჩაბარებული. მას შემდეგ რაც ადვოკატი მიიღებს ლიცენზიას იგი ხდება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი და ამ ორგანიზაციის დისციპლინური დებულების ობიექტი. (მუხლი 21)

<sup>5</sup> პარლამენტს წარედგინა ცვლილებების პაკეტი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შესატანი რომლის მიხედვითაც წარმომადგენლებს აეკრძალებათ პირველი ინსტანციის სასამართლოებში გამოსვლა. ამ ანგარიშის მომზადების პერიოდში ეს ცვლილებები ჯერ კიდევ არ იყო განხილული პარლამენტის მიერ.

## იურიდიული პროფესიის ორბანიზაციული სტრუქტურა

- საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

2001 წელს ძალაში შესული ადვოკატთა შესახებ კანონის მიხედვით უნდა შექმნილიყო საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია. (კანონი ადვოკატთა შესახებ თაზი VI). მიუხედავად ამისა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ფორმირება 2004 წლის ბოლომდე არ მომხდარა. ეს სამუშაო ABA/CEELI-ს დახმარებითა და მხარდაჭერით დაიწყო. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის დამფუძნებელი კრება 2005 წლის 27 თებერვალს ჩატარდა და კრება გაგრძელდა 2005 წლის 11-12 მარტს. დამფუძნებელ კრებას 904 უფლებამოსილი პირი დაესწრო. ეს მცდელობა არ დამთავრებულა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საბოლოო ფორმირებით. რაც გამოწვეული იყო კანონის გარკვეული დებულებების ბუნდოვანებით და ადვოკატთა გარკვეული ჯგუფების მიერ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ლეგიტიმურობის საკითხის ეჭვქვეშ დაყენებით და სასამართლოებში სარჩელის შეტანით. სასამართლოებში ორი სარჩელი შევიდა ასოციაციის წინააღმდეგ. ერთი სარჩელი საერთო სასამართლოებში იყო შეტანილი და ეჭვქვეშ აყენებდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ლეგიტიმურობას საპროცესო დარღვევების გამო დამფუძნებელი კრების ჩატარების დროს. მეორე სარჩელი კი შევიდა საკონსტიტუციო სასამართლოში, რომელიც ეჭვქვეშ აყენებდა ადვოკატთა შესახებ კანონის მუხლების კონსტიტუციურობას, კერძოდ კი იმ დებულებას რომლის მიხედვითაც მოელს ქვეყანაში ერთიანი ადვოკატთა ასოციაცია იქმნებოდა. 2006 წლის იანვრის ბოლოსთვის სამართლებრივი დავები ასოციაციასთან დაკავშირებით დასრულდა.

2006 წლის 21 იანვარს საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ფორმალურად ჩამოყალიბდა, როგორც ერთიანი ასოციაცია - უფლებამოსილი გასცეს ლიცენზია და აწარმოოს დისციპლინური დევნა, ასევე უზრუნველყოს განგრძობადი სწავლება ადვოკატებისათვის. ყველა ადვოკატისათვის სავალდებულოა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა. შექმნის დღიდან საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ჩაება გარკვეულ აქტივობებში იურიდიული პროფესიის რეფორმირების მიზნით. 2006 წლის აპრილში შეიკრიბა საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, რომელმაც მიიღო საქართველოს ადვოკატთა ეთიკის კოდექსი და დისციპლინური დევნის დებულებები ადვოკატთა წინააღმდეგ. 2006 წლის მაისში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ ჩაატარა პირველი საკვალიფიკაციო გამოცდა ადვოკატებისათვის. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის შექმნამდე გამოცდის ჩატარებაზე პასუხისმგებელი იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ადვოკატთა შესახებ კანონის მიხედვით საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის შექმნის შემდეგ იგი გახდა პასუხისმგებელი გამოცდების ორგანიზებაზე. სამართლებრივი დავების გამო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას არ შესწევდა ძალა ამ უფლების განხრციელებისა. ამიტომ 2004 წლის შემოდგომიდან 2006 წლის მაისამდე არ ყოფილა გამოცდა ჩატარებული და შესაბამისად არც ადვოკატებს მიუღიათ ლიცენზია. 2006 წლის მაისის გამოცდის შემდეგ კიდევ ოთხი საკვალიფიკაციო გამოცდა ჩატარდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ. 2007 წლის ნოემბრის გამოცდების შემდეგ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრების რაოდეობა 3672-მდე გაიზარდა.

- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

საქართველოში ნებაყოფლობით წევრობაზე დაფუძნებული ყველაზე დიდი გაერთიანება იურისტებისა არის საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), რომელიც ერთერთი ყველაზე წარმატებული და გავლენიანი ორგანიზაციაა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია შეიქმნა 1994 წელს იმ იურისტებისა და ადვოკატებისათვის ვინც ჯერ 40 წლის არ გამხდარა. (ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წესდება მუხლი 4.1) ამჟამად ასოციაციაში 800-ზე მეტი წევრია. ეს არის დამოუკიდებელი, სახელმწიფო გავლენისაგან თავისუფალი ორგანიზაცია და აქვს კარგი რეპუტაცია რითაც იზიდავს ახალგაზრდა, განათლებულ იურისტებს რომლებიც არ არიან კორუპციონერები, ებრძვიან კორუფციას სახელმწიფოში და ადამიანის უფლებებს იცავენ.

წესდების მიხედვით მთავარი მიზანი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა არის საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება კანონის უზენაესობის საკითხებზე, სამოქალაქო საზოგადოებისათვის საკანონმდებლო საფუძვლის შექმნა, ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების დაცვა და იურიდიული პროფესიის განვითარება. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სათაო ოფისი განთავსებულია თბილისში ორი ფილიალით ქუთაისსა და ბათუმში და 5 რეგიონალური წარმომადგენლობით რუსთავში, დუშეთში, თელავში, გორში და ოზურგეთში. ყველა ამ ოფისში მოქმედებს იურიდიული ბიბლიოთეკა, რომელიც ხელმისაწვდომია არა წევრი იურისტებისათვისაც. ზოგიერთ ოფისში ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრები უფასო იურიდიულ დახმარებას უწევენ სოციალურად დაუცველ ფენებს ან წარმოდგენენ მათ ინტერესებს სასამართლოში ასევე უსასყიდლოდ. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრები აქტიურად მონაწილეობენ და ატარებენ სემინარებს, რომელიც გამიზნულია მათი წევრების და საზოგადოების ინფორმირებულობის და განათლების განმტკიცებაზე სამართლებრივ საკითხებზე; საია ასევე აქტიურად აწარმოებს ღობირებას იურიდიული პროფესიის მარეგულირებელი კანონმდებლობის რეფორმირების მიზნით.<sup>6</sup>

### **საქართველოს იურისტ სტუდენტთა ასოციაცია**

საქართველოს იურისტ სტუდენტთა ასოციაცია (შემდგომში სისა) შეიქმნა 2002 წელს. ეს არის არამომგებიანი ორგანიზაცია, რომლის მთავარი ოფისიც თბილისშია განთავსებული და აქვს ფილიალი ახალციხეში. სისას მართავს საერთო კრება და თუ საერთო კრება არ იკრიბება მაშინ ორგანიზაციის საქმიანობას წარმართავს 6 პირისაგან შემდგარი აღმასრულებელი საბჭო. წევრობა ღიაა იურისტი სტუდენტებისათვის, ახალგაზრდა ადვოკატებისათვის და არა ადვოკატებისათვის ვინც დაინტერესებულნი არიან იურიდიული საკითხებით. სისა რამოდენიმე მიზნისათვის შეიქმნა, მათ შორისაა იურიდიული ფაკულტეტებისათვის პრაქტიკული სამართლის სწავლების საჭიროების განსაზღვრა და დანერგვა და იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის იურიდიული ლიტერატურის მიწოდება. ამასთანავე, ორგანიზაციის მიზანია მხარი დაუჭიროს იურისტ სტუდენტებსა და იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებს შორის დიალოგს იმის გამო რომ ბევრი სტუდენტი ისე ამთავრებს სწავლებას რომ მათ არ ეძლევათ საშუალება შეხვდნენ ადვოკატებს, პროკურორებს, მოსამართლეებს. ამ მიზნებისათვის სისამ ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივის მხარდაჭერით დაიწყო იმიტირებული სასამართლო პროცესების კონკურსის განხორციელება და ასევე ეროვნული ოლიმპიადის სისხლის,

<sup>6</sup> გამჭირვალბობის მიზნებისათვის საჭიროა რომ აღინიშნოს რომ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ მიიღო დაფინანსება ამერიკის იურისტთა ასოციის კანონის უზენაესობის პროექტისგან (USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით) სხვადასხვა პროექტების განსახორციელებლად.

სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროებში უზენაეს სასამართლოსთან ერთად.

### **ფაქტორთა ურთიერთდამოკიდებულების ცხრილი**

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს გარკვეული საკითხების მიმართ საქართველოს დამოკიდებულებას, მაგრამ უპრიანი იქნება ამ შედეგების ფაქტორთა ანალიზთან და 2005 წლის შედეგებთან ერთობლიობაში განხილვა. ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის პროგრამა მოხარული იქნება მიიღოს კომენტარები და შეფასებები ყველა საკითხთან მიმართებაში და მოახდინოს მათი ასახვა და მათზე მსჯელობა მომავალში საქართველოში ჩატარებულ მსგავს კვლევებში.

**საქართველოს იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსი**

იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსის ფაქტორები		2005	2007	ტენდენცია
<b>I. პროფესიული თავისუფლება და გარანტიები</b>				
ფაქტორი 1	საადვოკატო პრაქტიკის დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობა	ნეიტრალური	ნეიტრალური	↔
ფაქტორი 2	პროფესიული იმუნიტეტი	დადებითი	დადებითი	↔
ფაქტორი 3	კლიენტთა ხელმისაწვდომობა	ნეიტრალური	ნეგატიური	↓
ფაქტორი 4	ადვოკატი-კლიენტი: კონფიდენციალურობა	დადებითი	ნეიტრალური	↓
ფაქტორი 5	თანასწორუფლებიანობა	ნეიტრალური	ნეიტრალური	↔
ფაქტორი 6	სასამართლოში გამოსვლის უფლება	ნეიტრალური	ნეიტრალური	↔
<b>II. განათლება, სწავლება და პროფესიაში გაწვევრიანება</b>				
ფაქტორი 7	აკადემიური მოთხოვნები	ნეიტრალური	ნეიტრალური	↔
ფაქტორი 8	შაადვოკატო საქმიანობისთვის მომზადება	უარყოფითი	ნეიტრალური	↑
ფაქტორი 9	საკვალიფიკაციო პროცესი	ნეიტრალური	ნეიტრალური	↔
ფაქტორი 10	სალიცენზიო ორგანო	ნეიტრალური	დადებითი	↑
ფაქტორი 11	პროფესიაში არადისკრიმინაციული დაშვება	ნეიტრალური	ნეიტრალური	↔
<b>III. იურიდიული პრაქტიკის მდგომარეობა და სტანდარტები</b>				
ფაქტორი 12	დამოუკიდებელი საადვოკატო საქმიანობის ჩამოყალიბება	დადებითი	დადებითი	↔
ფაქტორი 13	რესურსები და ანაზღაურება	უარყოფითი	უარყოფითი	↔
ფაქტორი 14	უწყვეტი იურიდიული განათლება	უარყოფითი	ნეიტრალური	↑
ფაქტორი 15	ეროვნულ და გენდერულ უმცირესობათა წარმომადგენლობა პროფესიაში	ნეიტრალური	დადებითი	↑
ფაქტორი 16	პროფესიული ეთიკა და ქცევა	უარყოფითი	ნეიტრალური	↑
ფაქტორი 17	დისციპლინური დევნა და სანქციები	უარყოფითი	ნეიტრალური	↑
<b>IV. იურიდიული მომსახურება</b>				
ფაქტორი 18	იურიდიული მომსახურების ხელმისაწვდომობა	უარყოფითი	უარყოფითი	↔
ფაქტორი 19	იურიდიული მომსახურება უმწეოთათვის	უარყოფითი	ნეიტრალური	↑
ფაქტორი 20	დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმი	დადებითი	ნეიტრალური	↔
<b>V. პროფესიული ასოციაცია</b>				
ფაქტორი 21	ორგანიზაციული მართვა და დამოუკიდებლობა	ნეიტრალური	დადებითი	↑
ფაქტორი 22	წევრთა მომსახურება	ნეიტრალური	დადებითი	↑
ფაქტორი 23	საჯარო ინტერესი და საზოგადოებრივი ცნობიერების პროგრამები	ნეიტრალური	ნეიტრალური	↔
ფაქტორი 24	როლი სამართლებრივ რეფორმაში	ნეიტრალური	დადებითი	↑

საქართველოს იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსი

---

--	--	--	--	--

## I. პროფესიული თავისუფლება და გარანტიები

### ფაქტორი 1. საადვოკატო პრაქტიკის დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობა

*ადვოკატებს საშუალება აქვთ განახორციელონ საქმიანობა ჩარების, მუშაობისა და სანქციების გარეშე, თუ ისინი პროფესიის სტანდარტების შესაბამისად მოქმედებენ.*

დასკვნა: შეფასება: ნეიტრალური ტენდენცია: ↔

ადვოკატთა უმრავლესობა აცხადებს, რომ ზოგადად, მათ აქვთ საადვოკატო საქმიანობის დამოუკიდებლად განხორციელების საშუალება პირდაპირი ჩარების, მუქარის ან სანქციების გარეშე. აგრამ, მიუხედავად ამისა მაინც აქვს ადგილი სახელმწიფო პირების ჩარევას. სისხლი სამართლის საქმეებზე პროკურატურის დომინანტური ფუნქცია და სასჯელის დაწესების გაიდლაინები ასუსტებს ადვოკატის შესაძლებლობას იქონიოს გავლენა საქმის შედეგზე. ამის მსგავსად ხშირად ხდება სამოქალაქო საქმეებზე მომუშავე ადვოკატების საქმეებში ჩარევა სახელმწიფო პირებისგან როდესაც საქმე ეხება სახელმწიფო ინტერესს.

### ანალიზი/საფუძველი:

საქართველოს კონსტიტუციით, რომელიც 1995 წელს იყო მიღებული, გარანტირებულია ძალაუფლების დანაწილება და სასამართლოს დამოუკიდებლობა, მაგრამ იგი კონკრეტულად არ ეხება იურიდიული პროფესიის დამოუკიდებლობას. (საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 5 (4), 82(3)). იურიდიული პროფესიის დამოუკიდებლობა განმტკიცებულია საქართველოს კანონით «ადვოკატთა შესახებ», რომლის მიხედვითაც ადვოკატებმა უნდა იმოქმედონ დამოუკიდებლად და მათ საქმიანობაში ჩარევა დაუშვებელია. (საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ მუხლი 38 (1)). ამასთანავე კანონი ადგენს, რომ ადვოკატი არის “თავისუფალი პროფესიის” წარმომადგენელი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს. (საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ მუხლი 1 (2)). ამავე კანონის მუხლი 3 იძლევა საადვოკატო საქმიანობის პრინციპების ჩამონათვალს და მათ შორის მოიხსენიებს “იურიდიული პრაქტიკის დამოუკიდებლობას და თავისუფლებას” და “ადვოკატის საქმიანობაში ჩაურევლობას”. (საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ მუხლი 3 (ბ) და (დ)). სისხლის სამართლის კოდექსი განსაზღვრავს სანქციებს იმ პირთა მიმართ ვინც ჩაიდენს ძალადობას ან გამოავლენს ძალადობის მცდელობას სასამართლო პროცესის მონაწილეთა მათ შორის ადვოკატთა მიმართ. სისხლის სამართლის კოდექსი მუხლი 365 (კანონი №2287, მიღებული 1999 წლის 22 ივლისს; შემდგომში სისხლის სამართლის კოდექსი)

ადვოკატთა უმრავლესობა აცხადებს, რომ რეალურად მათ არ გააჩნიათ პრობლემები საქმიანობაში პირდაპირ ჩარევისთან დაკავშირებით სახელმწიფოს მხრიდან იმის მითითებით თუ როგორ იმოქმედონ კლიენტის წარმომადგენლობისას. მაგრამ გამოითქვა უკმაყოფილება იმის თაობაზე, რომ იურიდიულ პროფესიაში არაპირდაპირი ჩარევის უხვი მაგალითები არსებობს. საჩივრების უმეტესობა მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლოზე პროკურატურა ახორციელებს სერიოზულ ზეწოლას სისხლის სამართლის საქმეებზე, ასევე არის სამოქალაქო სამართლის საქმეებზე ზეწოლის შემთხვევები. დეოკატებმა, რომლებიც ძირითადად სისხლის სამართლის საქმეებზე მუშაობენ, აღნიშნეს რომ მათი ფუნქცია უბრუნდება საბჭოთა დროს არსებულ

ადვოკატის ფუნქციას, როდესაც ბრალდებული უკვე დამნაშავედ იყო მიჩნეული და ადვოკატის ერთადერთი დანიშნულება იყო რაც შეიძლება მომგებიან პირობებზე მოლაპარაკება საკუთარი კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ<sup>7</sup>. კონკრეტულად კი ადვოკატები აღნიშნავენ, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ სასჯელის დაწესების გაიდლაინების მიღების შემდეგ კიდევ უფრო გართულდა მათი კლიენტების ინტერესების დაცვა და წინასწარი პატიმრობის თავიდან არიდება, ან სასჯელის იმ ფორმაზე ზეგავლენის მოხდენა რაც შეიძლება მათ კლიენტებს ემუქრებოდეთ.

2007 წლის გაზაფხულზე შეიქმნა კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ სისხლის სამართლის მოსამართლეები სამივე ინსტანციის სასამართლოდან. ამ კომისიამ შეისწავლა სასჯელის დაწესების პრაქტიკა იმ საქმეებთან მიმართებაში რომელსაც ყველაზე ხშირად იხილავენ საქართველოს სასამართლოები. იმისდა მიხედვით, თუ როგორ ხდება სასჯელის ფორმის განსაზღვრა სასამართლოების მიერ ამათუ იმ დანაშაულის შემთხვევაში, კომისიამ შეიმუშავა სასჯელის დაწესების გაიდლაინები - ანუ სისხლის სამართლის გაიდლაინები. ეს გაიდლაინები ძალიან გავს ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური სასჯელის გაიდლაინებს. ეს გაიდლაინები წარმოადგენს ინსტრუქციებს სასამართლოსათვის და მხარს უჭერს და ამტკიცებს სასჯელის ერთგვაროვანი ფორმის დაწესებას ერთსა და იმავე დანაშაულზე, ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას და შეუსაბამო გასაჩივრების თავიდან არიდებას. სისხლის სამართლის გაიდლაინებში არის სასჯელების ცხრილი მოცემული დანაშაულის ფორმების მიხედვით და მათზე დაწესებული სასჯელის ფორმაზე 6 თვის დამატებით ან გამოკლების შესაძლებლობით. გაიდლაინების მიზანია ჰქონდეთ ინსტრუქციული ხასიათი და მოახდინონ საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება, როდესაც მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს სასჯელის ფორმა ამათუ იმ დანაშაულზე.

მოსამართლეებს აქვთ ბრალდებულებისათვის სასჯელის ფორმის განსაზღვრისას გაიდლაინებიდან გადახვევის დისკრეცია, მაგრამ თუ ისინი ასე მოიქცევიან - ვალდებულნი არიან წარმოადგინონ წერილობითი დასაბუთება, რამაც გამოიწვია მათ მიერ განსხვავებული სასჯელის ფორმის დაწესება ბრალდებულზე.

პრაქტიკაში გაიდლაინები გახდა მოსამართლეებისათვის ავტომატურად სავალდებულო და კარგი სახელმძღვანელო პროკურორებისათვის - ვინც ცდილობენ საპროცესო გარიგების შეთანხმებას. შეფასების ჯგუფის მიერ გამოკითხული ადვოკატები ამბობენ, რომ ჩვეულებრივი სისხლის სამართლის საქმე შემდეგნაირად მიმდინარეობს: როდესაც მოხდება პირის დაკავება მას აცნობენ იმ სასჯელის ფორმას რომელიც მას ემუქრება სისხლის სამართლის გაიდლაინების მიხედვით და მას სთავაზობენ საპროცესო გარიგებას. წინასწარი განხილვის სტადიაზე არ არის ადვოკატისათვის სავალდებულო დაესწროს განხილვას, ვინაიდან წინასწარი დაკავების საკითხი ავტომატურად გადაწყდება გაიდლაინების მიხედვით. თუ საპროცესო გარიგება შედგება იგი წარმოადგენს ფულად ჯარიმას, რომელიც განსაზღვრულია პროკურორის<sup>8</sup> მიერ. თუ ბრალდებული თანხმდება საპროცესო გარიგებას ადვოკატი მხოლოდ იმისთვის არის საჭირო, რომ გააფორმოს შესაბამისი დოკუმენტები. ადვოკატები ამბობენ რომ ისინი არ

<sup>7</sup> 2006 წელს 16948 ბრალდებულებიდან მხოლოდ 37 იყო უდანაშაულოდ ცნობილი. თავისუფლების სახლი, გარდამავალი ქვეყნები, 2007 წელი, დემოკრატიზაციის პროცესი ევრაზიასა და აღმოსავლეთ ცენტრალურ ევროპაში 244 (2007)

<sup>8</sup> იუსტიციის სამინისტროს მონაცემების მიხედვით გადაწყვეტილებების აღსრულებიდან შემოსული შემოსავლის 90% წარმოადგენს ადმინისტრაციულ ჯარიმას (ჯარიმები საავტომობილო მოძრაობის წესების დარღვევით გამოწვეული) და ჯარიმები სისხლის სამართლის დანაშაულისათვის (მაგალითად საპროცესო შეთანხმებიდან მიღებული თანხები). 2007 წლის აგვისტოს მდგომარეობით შეგროვილი თანხის ოდენობა შეადგენდა 12.8 მილიონ ლარს (დაახლოებით 7.9 მილიონი ამერიკული დოლარი).

არიან ჩართულნი საპროცესო გარიგებებში, ისინი მხლოდ ეთანხმებიან იმ შეთანხმებას, რაც გაფორმდა ბრალდებულსა და პროკურორს შორის?

ხანდახან ბრალდებული უარს ამბობს საპროცესო გარიგებაზე და თანხმდება სასამართლო პროცესს. ასეთ შემთხვევაში ადვოკატები აღნიშნავენ რომ მათ არ აქვთ საშუალება ეფექტურად დაიცვან საკუთარი კლიენტების უფლებები და ამის ძირითადი მიზეზი არის მოსამართლეების პროკურორებზე თითქმის სრულყოფილი მორჩილება. ადვოკატები აღნიშნავენ, რომ მოსამართლეების უმეტესობა სისტემატურად იგნორირებას უკეთებს ადვოკატების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების სასარგებლოდ. მას შემდეგ, რაც პირის ბრალეულობა დამტკიცდება სასამართლოს მიერ ადვოკატებს არ შესწევთ ძალა შეცვალონ ბრალდებულის გაიდლაინებში მოცემული სასჯელის ფორმა. ერთერთმა ადვოკატმა ასე შეაჯამა არსებული მდგომარეობა: “მე ამას ჩარევას არ დავარქმევდი. ჩვენ უბრალოდ მხარესაც კი არ წარმოვადგენთ სასამართლო პროცესზე. მნიშვნელობა არ აქვს ჩვენ იქ ვიქნებით თუ არა, შედეგი წინასწარ არის განსაზღვრული”.

სამოქალაქო საქმეებში არაპირდაპირი ჩარევის ფაქტებზე საუბრობენ ადვოკატები. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა მაშინ, როდესაც ერთ მხარეს აქვს მჭიდრო ურთიერთობები ხელისუფლებასთან, ან მაშინ როდესაც განსაკუთრებით დიდი ინტერესია ხელისუფლების, ან საქმე ეხება განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხას. როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო საქმეებთან მიმართებაში თავისუფლების სახლის მიერ 2007 წლის ანგარიშში ნათქვამია - “გავრცელებულია პოლიტიკური ხელისუფლების ლიდერების მიერ ფარული ზეწოლა მოსამართლეებზე, განსაკუთრებით კი პოლიტიკურად მგრძობიარე საქმეებზე, და მოსამართლეებს უჭირთ პროკურორების განაწილება” (თავისუფლების სახლი, “გარდამავალი ძველები” 2007: დემოკრატიზაცია აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში და ევრაზიაში 244 (2007)). ადვოკატები რომლებიც მუშაობენ სამოქალაქო საქმეებზე ამბობენ, რომ საქმის შედეგების მიღწევა ისეთივე მეთოდებით ხდება, როგორც სისხლის სამართლის საქმეების დროს საპროცესო შეთანხმების გაფორმება. თუ ბრალდებული სამოქალაქო საქმეში გადაიხდის თანხას ან ქონებას გადააფორმებს მომხივანზე, მის მიმართ წაყენებული ბრალდებები შეწყდება. ერთერთმა პრაქტიკოსმა ადვოკატმა შეფასების ჯგუფთან შეხვედრისას აღნიშნა, რომ “სახელმწიფომ დაიკავა მაფიის ადგილი – ადრე ასეთ ფულს შავ ფულს ეძახდნენ (შავ ბაზარს). ამას ეხლა თეთრი ფული ჰქვია ვინაიდან ფული სახელმწიფოს მისდის”.

გამოკითხულთა უმეტესობამ აღნიშნა, რომ კორუფციის ტრადიციული ფორმა - ანუ ქრთამის მიცემა მოსამართლეებისათვის ადვოკატების საშუალებით აღმოფხვრილია, მაშინ როდესაც სახელმწიფოს მიერ სანქცირებული მექრთამეობა (ანუ ის რაც ზევით არის აღწერილი) დაშვებულია. საბჭოთა პრაქტიკა “სატელეფონო სამართალი” – სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ სასამართლო პრაქტიკა გადაწყვიტონ საქმეები ზემდგომი სახელისუფლებო ორგანოებიდან დარეკვის საფუძველზე - შეიცვალა ფუნქციურად მსგავსი სისხლის სამართლის გაიდლაინებით<sup>10</sup>. ადვოკატისათვის შედეგი ერთი და

<sup>9</sup> თუ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იქნება მიღებული ადვოკატის დასწრების უფლება საპროცესო შეთანხმების მოლაპარაკებისას გარანტირებული იქნება; საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტი მუხლი 47 (3)

<sup>10</sup> რამოდენიმე კანონი იქნა მიღებული სატელეფონო სამართლის აღმოფხვრის მიზნით. იხილეთ საქართველოს კანონი საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის შესახებ მუხლი 3 (ამ კანონით იკრძალება საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან ყოველგვარი კომუნიკაცია სასამართლო პროცესის ნებისმიერ ეტაპზე) იხილეთ ასევე საქართველოს კანონი საჯარო სამსახურში ინტერესთა კონფლიქტებისა და კორუფციის შესახებ მუხლები 2, 9, 1 (მოსამართლეს არ აქვს უფლება მოითხოვოს ან მიიღოს კომპენსაცია მისი საქმიანობისათვის).

იგივეა, ბევრ შემთხვევაში ადვოკატის შესაძლებლობების მიუხედავად, არანაირი კვლევა და ძალისხმევა არ შეცვლის საქმის შედეგს. მიუხედავად ამ მსგავსი პრეტენზიებისა, რომელიც გამოითხუთ ადვოკატთა მიერ გამოითქვა ისინი ერთხმად აღნიშნავენ რომ მაინც შესაძლებელია ადვოკატების მიერ დამოუკიდებლობის შენარჩუნება. ეს ადვოკატები გარკვეულწილად თავიდან იცილებენ საადვოკატო პრაქტიკის ტრადიციულ ფორმას. მათ ურჩევნიათ კლიენტებს გაუწიონ მომსახურება რჩევის და კონსულტაციების ფორმით ვიდრე გამოვიდნენ სასამართლო პროცესზე, ვინაიდან მათი აზრით სასამართლო პროცესი არაეფექტურია.

**შემაჯობი 2. პროფესიული იმუნუტეტი**

*ადვოკატების კლიენტთან ან კლიენტის საშემესთან ბაიბიშება არ ხდება, ისინი სარბებლობენ იმუნუტეტით მათ მიერ პროცესის მიმდინარეობისას ბაკბეშულ განცხადებთან დაკავშირებით.*

დასკვნა:	შეფასება: დადებითი	ტენდენცია: ↔
<p>საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ ანიჭებს ადვოკატებს პროფესიულ იმუნუტეტს საკუთარი კლიენტების წარმომადგენლობისას მაგრამ არ არსებობს ადვოკატების საკუთარი კლიენტების მოსაზრებებთან გაიგივების საკანონმდებლო აკრძალვა. რეალურად ადვოკატები სარგებლობენ პროფესიული იმუნუტეტით და თუ ისინი პოლიტიკურად მიკერძოებულად აღიქმებიან იმის გამო, თუ ვის ინტერესებს იცავენ, მათი იდენტიფიცირება საკუთარი კლიენტების მიზეზებთან არ ხდება.</p>		

**ანალიზი/საშუაშველი:**

არ არსებობს საკანონმდებლო აკრძალვა ადვოკატის საკუთარი კლიენტების საქმეებთან იდენტიფიცირებისა. საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ იცავს ადვოკატის პროფესიულ იმუნუტეტს მათ მიერ კლიენტების ინტერესთა დაცვისას. ეს გარანტიები არსებობს იმ განცხადებებისათვის რომლებსაც ადვოკატები სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოების წინშე აკეთებენ საკუთარი კლიენტების სახელით მიუხედავად იმისა ეს განცხადება წერილობითი თუ ზეპირი ფორმით იქნება წარმოდგენილი. (საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ მუხლი 38.4). საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ არ იძლევა დამატებით განმარტებებს იმ შემთხვევებთან დაკავშირებით როდესაც შეიძლება ადვოკატის დაკითხვა მათი პროფესიული სამქიანობის შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც კანონი განმარტავს რომ “ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმე” აღძრული ადვოკატის წინააღმდეგ განხილული იქნება იმ რაიონული სასამართლოს მიერ, რომლის იურისდიქციაშიც შედის. (საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ მუხლი 38.8). საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ ასევე კრძალავს ადვოკატის მოწმედ დაკითხვას იმ საქმეზე, რომელშიც იგი მხარის ინტერესებს წარმომადგენდა მიუხედავად იმისა ეს მხარე იყო ბრალდებული თუ მომჩინავი. (საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ მუხლი 38. (3)). საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განმარტავს ცილისწამებას როგორც სამოქალაქო დანაშაულს და უშვებს სანქციებს, თუ ადგილი ჰქონდა ცილისწამებას. (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 18; კანონი №824; მიღებული 1997 წლის 26 ივნისს) მაგრამ სამოქალაქო კოდექსი არ ეხება ადვოკატების იმუნუტეტს ცილისმწამებლურ

გამონათქვამებთან დაკავშირებით, რომელიც გაკეთებულია კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე და კლიენტის ინტერესების დასაცავად.

შეფასების ჯგუფს არ მიუღია არანაირი ინფორმაცია ადვოკატების წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი თუ სამოქალაქო სამართლებრივი დევნის აღძვრის თაობაზე, რაც გამოწვეული იქნებოდა მათ მიერ საკუთარი კლიენტების სახელით განცხადების გაკეთებით. ადვოკატები ერთხმად თანხმდებიან, რომ პროფესიული იმუნიტეტი აღიარებულია და მას პატივს სცემენ. ადვოკატები ასევე თანხმდებიან იმაზე, რომ მათი იდენტიფიცირება მათ კლიენტებთან და მათი კლიენტების საქმეებთან არ ხდება. ზოგიერთმა ადვოკატმა განაცხადა, რომ ისინი პოლიტიკურად მიკერძოებულად მიიჩნევიან საკუთარი კლიენტების პოლიტიკური აქტივობის გამო, მაგრამ მათ ასევე განაცხადეს რომ მათ მიმართ არ ყოფილა არანაირი ზეწოლის ფაქტი მათი კლიენტების პოლიტიკური ორიენტაციის თუ განცხადების გამო.

**შაქტორი 3. კლიენტთა ხელმისაწვდომობა**

*ადვოკატები დაიშვებიან კლიენტებთან, ეს განსაკუთრებით ეხება პატიმრებს. მათ ეძლევათ კლიენტებთან მუშაობის საშუალება (დრო, და დაცვის მოსაზრებულად სხვა სათანადო პირობები).*

დასკვნა:	შეფასება: ნეგატიური	ტენდენცია: ↓
კანონით გარანტირებულია ადვოკატის კლიენტთა ხელმისაწვდომობის უფლება და კანონმდებლობა მოითხოვს კონფიდენციალური კონსულტაციებისათვის ადექვატური პირობების შექმნას. სიტუაცია კიდევ უფრო რთულია დაკავებულ კლიენტებთან ურთიერთობების თვალსაზრისით, განსაკუთრებით კი მათთან ვისაც თავისუფლება აღკვეთილი აქვს. დაკავების ადგილები გადატვირთულია და შეხვედრის ადგილები არაადექვატურია, ხდება ადვოკატსა და დაკავებულ პირს შორის ურთიერთობების მონიტორინგი. ხშირად ხდება ადვოკატის გამორიცხვა სასამართლო პროცესებიდან იქამდე, სანამ არ მოხდება საპროცესო გარიგების შეთანხმება პროკურატურის მიერ.		

**ანალიზი/საფუძველი:**

კონსტიტუცია და ასევე სხვა კანონები აღიარებენ სახელმწიფოს მიერ დაკავებული პირისათვის ადვოკატის ყოლის უფლებას და ადვოკატის უფლებას კავშირი იქონიონ საკუთარ კლიენტებთან. დაკავებულმა ან დაპატიმრებულმა პირს შეუძლია მოითხოვოს ადვოკატის დახმარება დაკავების ან დაპატიმრებისას და ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებული უნდა იყოს. (იხილეთ საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 18(5)); ეჭვმიტანილს დაკავებისთანავე უნდა აცნობონ დაცვის (ადვოკატის) უფლების შესახებ. (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მუხლი 72(3)). თუ დაკავებული მოითხოვს ადვოკატს, მისი ეს მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს დაკავებისთანავე და თუ ეს შესაძლებელი არ არის მაშინ დაკავებულს უნდა მიეცეს ადვოკატთან შეხვედრის საშუალება და ადვოკატს უნდა მიეცეს საკმარისი დრო დაცვის ჩამოყალიბებისათვის. იხილეთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მუხლი 72.5). ადვოკატს აქვს უფლება დაიცვან კლიენტების ინტერესები, უფლებები და თავისუფლებები ყველა სასამართლო ინსტანციაში და ნებისმიერ ეტაპზე. (საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ მუხლი 4(1) (ა)). ადვოკატებს ასევე აქვთ გარანტირებული უფლება პირადად შეხვედნენ და იკონტაქტონ დაკავებულ პირთან, ან დაპატიმრებულ კლიენტთან ყოველგვარი წინაღობისა და ჩარევის გარეშე. (საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ მუხლი 4(1) (ბ)).

სისხლის სამართლის საქმეებზე ადვოკატს აქვს უფლება შეხვედეს დაკავებულ პირს დაუყოვნებლივ, პირადად, ყოველგვარი მოსასმენი აპარატურის გარეშე და ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე შეხვედრის ხანგრძლივობასა და სიხშირესთან დაკავშირებით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მუხლი 84(3)(ბ) არსებობს მხოლოდ რამოდენიმე გამონაკლისი რომელიც გონივრულ ვადას შეეხება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 73 (1) (დ) ადგენს, რომ ექვემდებარების უფლება შეხვედეს ადვოკატს შეიძლება შეიზღუდოს გონივრული ვადით. შეხვედრის ხანგრძლივობისა და სიხშირის შეზღუდვა გონივრული ვადით გამომდინარეობს გამოძიების ინტერესებიდან და ამის შესახებ გამოძიების მწარმოებელმა პირმა უნდა გამოიტანოს მოტივირებული დადგენილება. თუ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კანონპროექტი იქნება მიღებული, მაშინ შეზღუდვა გავრცელდება ადვოკატი-კლიენტის ურთიერთობაზე, მათ შორის დაკავებულ პირზე “მხოლოდ ვიზუალური საშუალებებით და სხვა არანაირი შეზღუდვები არ იარსებებს. სისხლის სამართლის კოდექსის კანონპროექტი მუხლი 45(3).

რამოდენიმე საკანონმდებლო გარანტიები ამტკიცებს ადვოკატისათვის კლიენტის ხელმისაწვდომობას, ასევე ადვოკატის უფლებას კონფიდენციალურად შეხვედეს საკუთარ კლიენტს. დაცვის უფლება კონსტიტუციით არის გარანტირებული. (საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 42.3); კონსტიტუცია, მუხლი 18.5 ადგენს, რომ «დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი.» კონსტიტუციის იგივე მუხლი ადგენს, რომ ადვოკატის მოთხოვნის შემთხვევაში ეს უფლება დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს. კონსტიტუციის ეს გარანტიები ასევე განმტკიცებულია «ადვოკატთა შესახებ» კანონით და ადგენს, რომ ადვოკატს აქვს უფლება პირადად შეხვედეს დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს ყოველგვარი დაბრკოლების ან ჩარევის გარეშე. ამავე კანონით უზრუნველყოფილია ადვოკატის უფლება დაიცვას საკუთარი კლიენტის უფლებები, ინტერესები და თავისუფლებები ყველა სასამართლო ინსტანციაში და პროცესის ყველა ეტაპზე. (საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ მუხლი 4 (1) (ა)). საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ ასევე ადგენს ადვოკატის უფლებას შეხვედეს და პირადად იქონიოს ურთიერთობა დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთან ყოველგვარი ჩარევისა და წინააღმდეგობის გარეშე. (საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ მუხლი 4 (1) (ბ)).

ადვოკატებმა განაცხადეს გარკვეული პრობლემების შესახებ საკუთარ დაკავებულ კლიენტებთან შეხვედრის თვალსაზრისით და მათ ასევე გამოხატეს უკმაყოფილება იმის თაობაზე, რომ მსგავსი პრობლემები კიდევ უფრო იზრდება. ადვოკატებმა განაცხადეს, რომ მათ ხშირად უწევთ წინასწარი დაკავების ადგილების და ციხეების გარეთ დიდი ხნის განმავლობაში ცდა ყოველგვარი ახსნა განმარტებების გარეშე. ვიდეო გადაღება შეხვედრის ადგილებში ძალიან მიღებული პრაქტიკაა. ერთერთმა ადვოკატმა ისიც კი განაცხადა, რომ მას ძალიან ეშინია ციხის ადმინისტრაციამ არ ჩაუდოს მის კლიენტებს მტკიცებულება იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ არამართლზომიერი ქმედებისათვის მისი როგორც ადვოკატის ბრალდებები. ადვოკატები თავიანთ კლიენტებს ურჩევენ, რომ სასჯელადსრულებით განყოფილებებში შეხვედრებისას მათ ხელები ედოთ მაგიდაზე ისე, რომ ეს ნათლად აღიბეჭდოს ოთახში დამონტაჟებულ ვიდეო კამერაზე. ადვოკატებმა ასევე აღნიშნეს, რომ სასჯელადსრულებითი დაწესებულებები გადაჭედებულია და არ არის ადეკვატური ადგილები შეხვედრისათვის. ადვოკატები ასევე აცხადებენ რომ სასჯელადსრულებით დაწესებულებებში შესვლა სადამოს 6 საათის შემდეგ შეუძლებელია, რაც

პრობლემურია, ვინაიდან ადვოკატებს არ ეძლევათ საკმარისი დრო საკუთარ კლიენტებთან ურთიერთობისათვის.

კიდევ ერთი დამატებითი წინაღობა ადვოკატისათვის კლიენტის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით არის საპროცესო შეთანხმების პროცესი, რაც ჩვენ უკვე განვიხილეთ პირველ ფაქტორში. როგორც უკვე პირველ ფაქტორში ვთქვით, საპროცესო შეთანხმება საქართველოში 2005 წლიდან არსებობს. მართლმსაჯულების სისტემა ეყრდნობა საპროცესო შეთანხმებას და გამოკითხულთა უმეტესობამ აღნიშნა, რომ საპროცესო შეთანხმებას აქვს უარყოფითი ეფექტი ადვოკატის როლზე საკუთარი კლიენტის საქმეში. პრობლემები, რომელიც საპროცესო შეთანხმებით არის გამოწვეული ასევე გაუარესებულია იმ ფაქტის გამო, რომ სისხლის სამართლის ბრალდებულები ზოგადად არ არიან გათვითცნობიერებული საკუთარი სამართლებრივი უფლებების შესახებ და ხშირად ხდება მათზე ზეწოლა პროკურორების მხრიდან. როგორც ადვოკატები ამბობენ მათ ხშირად არ აქვთ შესაძლებლობა მიიღონ მონაწილეობა საკუთარი კლიენტების საქმეებში სანამ არ მოხდება საპროცესო გარიგების შეთანხმება და კლიენტისაგან ამ შეთანხმებაზე თანხმობის განცხადება.

**შემატორი 4. ადვოკატი-კლიენტი: კონფიდენციალურობა**

*სახელმწიფო აღიარებს და იცავს ადვოკატსა და კლიენტებს შორის ურთიერთობის კონფიდენციალურობას.*

დასკვნა:	შეფასება: უარყოფითი	ტენდენცია: ↓
კონფიდენციალური ურთიერთობის უფლება ადვოკატსა და საკუთარ კლიენტს შორის კანონით არის განმტკიცებული. პრაქტიკაში, კონფიდენციალურობა ზოგადად დაცულია, იმ ინსტანციების გარდა სადაც კლიენტების თავისუფლების აღკვეთა ხდება.		

**ანალიზი/საუშუალო:**

ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა კანონით არის განმტკიცებული და ყველა ინფორმაცია რომელსაც ადვოკატი მოიპოვებს იმ პირისგან რომელიც იურიდიულ დახმარებას ეძებს იქნება კონფიდენციალურად დაცული. (საქართველოს კანონი «ადვოკატთა შესახებ» მუხლი 38. 6). ადვოკატი ვალდებულია დაიცვას მის მიერ კლიენტის დაცვისას მოპოვებული ინფორმაცია კონფიდენციალურად. (საქართველოს კანონი «ადვოკატთა შესახებ» მუხლი 7. (1)). მაგრამ კანონით არ არის განსაზღვრული ის ვადა თუ რა ვადაში უნდა იქნას ინფორმაცია კონფიდენციალურად შენახული<sup>11</sup>. როგორც უკვე მესამე ფაქტორში განვიხილეთ, საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ აძლევს ადვოკატს უფლებას შეხვედეს და იქონიოს კონტაქტი საკუთარ კლიენტებთან, რომლებიც არიან დაკავებული ან დაპატიმრებული ყოველგვარი წინაღობისა და ჩარევის გარეშე. (საქართველოს კანონი «ადვოკატთა შესახებ» მუხლი 4. (1) (ბ)). ასევე აკრძალულია ადვოკატსა და კლიენტს შორის საუბრის მოსმენა-მიყურადება.

<sup>11</sup> ამასთანავე იგივე კონფიდენციალურობის დაცვის გარანტიები ასევე ეხება ახალკურსდამთავრებულ სტუდენტებს რომლებსაც ჯერ არ მიუღიათ საადვოკატო საქმიანობის ლიცენზია, მაგრამ მუშაობენ სტაჟორად. საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ მუხლი 16 (4)

(საქართველოს კანონი «აღვოკატთა შესახებ» მუხლი 38 (7)). ამასთანავე კანონით აკრძალულია ადვოკატის გამოძახება მოწმედ იმ საქმეზე, რომელზეც იგი გამოდიოდა ადვოკატად. (საქართველოს კანონი «აღვოკატთა შესახებ» მუხლი 38 (3)).

როგორც ეს უკვე მესამე ფაქტორში განვიხილეთ, ადვოკატს აქვს უფლება პირადად შეხვედეს საკუთარ კლიენტს, ყოველგვარი მოსმენა-მიყურადების გარეშე, მაგრამ არსებობს გარკვეული გამონაკლისები (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მუხლი 84 (3) (ბ) და მუხლი 73(1)(ლ)). დაცვის იგივე მექანიზმები ხელმისაწვდომია ბრალდებული პირისათვის ადვოკატთან შეხვედრისას ან მის კორესპონდენციასთან მიმართებაში (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მუხლი 136). ამასთანავე აკრძალულია ადვოკატის მოწმედ გამოძახება სისხლის სამართლის საქმეზე იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა მისი, როგორც ადვოკატის მოქმედებისას სისხლის სამართლის სამეზე ან იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამოქალაქო საქმეზე მოსარჩელის, მსხვერპლის თუ ბრალდებულის ადვოკატად მუშაობისას. (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მუხლი 95 (1) (ა) – (ბ)). სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ასევე იცავს სისხლის სამართლის ადვოკატებს სამოქალაქო საქმეებზე ჩვენების მიცემისგან იმ ფაქტებთან დაკავშირებით რომელიც მათთვის ცნობილი გახდა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. (სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მუხლი 141 (ბ)). თუ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იქნება მიღებული კიდევ უფრო მეტი დამატებითი გარანტიები იარსებებ ადვოკატების დასაცავად ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას. მათ ექნებათ უფლება უარი განაცხადონ ჩვენების მიცემაზე ან იმ დოკუმენტების გადაცემაზე რომელიც საქმესთან დაკავშირებულ მასალებს შეიცავს და თუ ისინი აქტიურად არიან ჩაბმულნი როგორც ადვოკატები ამ საქმეში. (სისხლის სამართლის კოდექსის კანონპროექტი მუხლი 57 (4))

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ ახლად მიღებული ეთიკის კოდექსი შეიცავს დებულებებს კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით იმ ინფორმაციაზე, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კოდექსი მუხლი 4 (1) მიღებულია 2006 წლის 15 აპრილს). დაცვის ამ მექანიზმს არ აქვს დროში შეზღუდვა და ადვოკატს ამ ინფორმაციის გავრცელება მხოლოდ მას შემდეგ შეუძლია როდესაც იგი მიიღებს წერილობით თანხმობას კლიენტისაგან ამ ინფორმაციის გავრცელებაზე. (ეთიკის კოდექსი მუხლი 4 (2)). არსებობს გამონაკლისი, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება საჭიროა იმისათვის, რომ მოხდეს ადვოკატის დაცვა იმ ბრალდებისგან რომელიც მის მიმართ იქნება წაყენებული. (ეთიკის კოდექსი მუხლი 4 (2)). კონფიდენციალურობის ეს გარანტია ვრცელდება ყველაზე, ვინც მუშაობს ადვოკატთან ან მუშაობდა მასთან იურიდიული მომსახურების გაწევისას. (ეთიკის კოდექსი მუხლი 4 (3)). ადვოკატი-კლიენტის ურთიერთობის კონფიდენციალურობის დაცვის დარღვევამ, რაც გარანტირებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კოდექსითა და საქართველოს კანონით ადვოკატთა შესახებ, შეიძლება გამოიწვიოს ადვოკატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნის აღძვრა. *იხილეთ* საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ მუხლი 7 (2); *ასევე იხილეთ* ადვოკატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნის დებულებები მუხლი 2 (2) მიღებულია 2006 წლის 15 აპრილს).

პრაქტიკაში ადვოკატი-კლიენტის ურთიერთობის კონფიდენციალურობა დაცულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კლიენტი დაკავებულია. ადვოკატები, რომლებიც არ მუშაობენ სისხლის სამართლის საქმეებზე, როგორც წესი არ აწყდებიან პრობლემებს ადვოკატი-კლიენტის ურთიერთობის კონფიდენციალურობის დაცვის თვალსაზრისით. არ ყოფილა შემთხვევები ასეთი ადვოკატის დოკუმენტაციის ჩხრეკის და ამოღების, სამუშაო მასალების, მტკიცებულებების თუ სხვა დოკუმენტაციის მოთხოვნის, ან

ადვოკატის დაკითხვის საკუთარი კლიენტის საქმესთან ან წარმომადგენლობასთან დაკავშირებით. მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით იმ ადვოკატებზე ვინც სისხლის სამართლის საქმეებზე მუშაობენ და განსაკუთრებით იმ შემთხვევებზე, როდესაც ადვოკატის კლიენტი დაკავებულია ან პატიმრობაში იმყოფება. ასეთ შემთხვევებში ადვოკატების დოკუმენტაცია და მასალები იხსრიება როდესაც ისინი შედიან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ან გამოდიან იქიდან, მათ შორის იხსრიება ის დოკუმენტაცია, რომელიც კონფიდენციალურად არის მითითებული ადვოკატის მიერ.

ადვოკატები ასევე ამბობენ, რომ დაკავების ადგილებში არსებულ შეხვედრების ოთახებში დგას ვიდუო კამერები. შეფასების ჯგუფის მიერ გამოკითხულმა ყველა ადვოკატმა ერთხმად განაცხა, რომ კამერები ახორციელებენ, როგორც ვიდუო ისე აუდიო ჩაწერას და ამიტომ ისინი ურჩევენ საკუთარ კლიენტებს არ ისაუბრონ თავისუფლად. ერთერთმა ადვოკატმა ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ ციხის ორმა სხვადასხვა თანამშრომელმა მასთან საუბრისას აღიარეს, რომ ისინი ისმენენ ადვოკატსა და დაკავებულ პირს შორის საუბარს.

### **შეჯამება 5. თანასწორუფლებიანობა**

*ადვოკატებისთვის ხელმისაწვდომია კლიენტთა დაცვისათვის აუცილებელი ინფორმაცია, მეორე მხარის ადვოკატებისთვის ცნობილი ინფორმაციის ჩათვლით.*

დასკვნა:

შეფასება: ნეიტრალური

ტენდენცია: ↔

კლიენტთა სათანადო დაცვის მიზნით ადვოკატთათვის კანონით გარანტირებულია ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, როგორც სამოქალაქო ისე სისხლის სამართლის საქმეებზე. რესპონდენტებმა განაცხადეს გარკვეული პრობლემების არსებობა პროკურატურისგან ინფორმაციის დროულად მიღების თაობაზე. ამასთანავე, სასამართლოების არაეფექტურობა იწვევს გარკვეულ პრობლემებს ადვოკატებისათვის სათანადო ინფორმაციის მოპოვების თვალსაზრისით.

### **ანალიზი/საფუძველი:**

თანასწორუფლებიანობა დაცულია კანონით, როგორც სამოქალაქო ისე სისხლის სამართლებრივ საქმეებში. მართლმსაჯულება უნდა განხორციელდეს ყველა მონაწილე მხარის თანასწორობის და შეჯიბრებითობის საფუძველზე. (საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 85(3); სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მუხლი 15 (1); სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი მუხლი 83 (1); ასევე იხილეთ საქართველოს ორბანული კანონი საქართო სასამართლოების შესახებ მუხლი 6, კანონი №767; მიღებული 1997 წლის 13 ივნისს; იხილეთ ასევე საქართველოს კანონი კერძო არბიტრაჟის შესახებ მუხლი 25; კანონი №656; მიღებულია 1997 წლის 17 აპრილს)

ყველა ადვოკატი თანასწორია კანონის წინაშე. (კანონის «ადვოკატთა შესახებ» მუხლი 38 (2). ადვოკატებს როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო საქმეებზე, კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით აქვთ უფლება მოითხოვონ და მიიღონ საადვოკატო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო დოკუმენტები, ცნობები და სხვა ფაქტობრივი მონაცემები. (საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ მუხლი 4. 1. ბ).

სისხლის სამართლის საქმეებზე მომუშავე ადვოკატს აქვს უფლება:

- წარმოადგინოს მტკიცებულებები და მონაწილეობა მიიღოს გამოძიებაში;
- იცოდეს ეჭვისა და ბრალის არსი;
- გაეცნოს ბრალდებულის დაკავების და დაპატიმრების ოქმს, დაკავების და დაპატიმრების ჩანაწერებს;
- მოითხოვოს სასამართლოსგან დაცვის ორგანიზებისათვის საჭირო გამოძიების ჩატარება
- გაეცნოს მისი კლიენტის მიერ მიცემულ ჩვენებებს და განმარტებებს, საგამოძიებო მოქმედებების ჩანაწერებს, სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებს. (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მუხლი 84 (3) (ა-ლ));

სასამართლო არ არის სისხლის სამართლებრივი დევნის ორგანო, არ ასრულებს დაცვისა და ბრალდების ფუნქციას. სასამართლო დაცვისა და ბრალდების მხარეებს უქმნის საჭირო პირობებს მტკიცებულებათა წარდგენის, მათი ყოველმხრივი და სრული გამოკვლევისათვის. (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მუხლი 15 (5)); სამოქალაქო საქმეებზეც ყველა მხარის ადვოკატს აქვს თანაბარი უფლებები გადაიღონ ღოკუმენტები საქმის მასალიდან, მოიპოვონ მტკიცებულება, დაკითხონ მოწმე, ჩააბარონ განცხადება ან მიმართვა სასამართლოს, გაასაჩივრონ საპირისპირო მხარის მიერ წარმოდგენილი შეამდგომლობა. (სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მუხლი 83 (1))

მიუხედავად ამ გარანტიებისა სისხლის სამართლის საქმეებზე მომუშავე ზოგიერთი ადვოკატი აცხადებს, რომ მათი ძირითადი პრობლემა არის ის, რომ ისინი ვერ ღებულობენ პროკურორებისაგან საქმესთან დაკავშირებულ მასალებს დროულად. ადვოკატების უმეტესობამ შეფასების ჯგუფთან საუბრისას განაცხადა რომ ეს პრობლემა მომდინარეობს ინკვიზიციური სისხლის სამართლის სისტემიდან, რომელიც ჯერ კიდევ საქართველოში მოქმედებს. მათ აქვთ იმედი რომ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიღების შემდეგ აღმოიფხვრება ყველა არსებული პრობლემა მხარეთა თანასწორობის შესახებ. სხვა ცვლილებებთან ერთად ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მიღებული იქნება პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპი. პროცესის ნებისმიერ ეტაპზე, მხარეებმა უნდა გაცვალონ მტკიცებულებები თანამშრომლობის საფუძველზე. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კანონპროექტის მიხედვით წინა სასამართლო მოსმენამდე ხუთი დღით ადრე მხარეებმა უნდა გაცვალონ ყველა მათ ხელთ არსებული ინფორმაცია იმ მტკიცებულებებთან დაკავშირებით, რომელიც მათ მოგვიანებით სასამართლოს უნდა წარუდგინონ და ასევე მოითხოვს რომ სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ ეტაპზე ბრალდების მხარე უნდა დაეთანხმოს დაცვის მხარის მოთხოვნას მტკიცებულებების წარმოებაზე. თუ ბრალდების მხარე ვერ შეძლებს ამ წესის დაცვას მაშინ მტკიცებულება იქნება დაუშვებელი სასამართლო პროცესზე. მაგრამ არსებობს გამონაკლისები, იხილეთ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კანონპროექტის მუხლი 89. შეფასების ჯგუფის მიერ გამოკითხულ ადვოკატთა უმეტესობამ განაცხადეს, რომ ეფექტური დაცვის მოსამზადებლად ძირითადი პრობლემა და წინაღობა არის ინფორმაციის დროული გაცვლის მექანიზმის არ არსებობა. ამავდროულად მათ ერთხმად განაცხადეს რომ ინფორმაციაზე დროული ხელმისაწვდომობის ნაკლებობა თეორიულად პრობლემას კი წარმოადგენს ეფექტური დაცვის მომზადების თვალსაზრისით, მაგრამ ინფორმაციაზე დროული ხელმისაწვდომობა მაინც ვერ მოახდენს რადიკალურ გავლენას სასამართლო პროცესების უმეტესობის შედეგებზე.

გამოკითხულ პირთა უმეტესობამ შეფასების ჯგუფთან საუბრისას გამოთქვა საკუთარი მოსაზრებები სასამართლოებიდან შესაბამისი ინფორმაციის მოპოვებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. ადვოკატების უმეტესობა აღნიშნავს, რომ სასამართლოები ძალიან დატვირთული არიან საქმეებით, კადრები არ არის საკმარისი და ბევრი პრობლემაა ბიუროკრატიული არაეფექტურობის გამო. ორმა ადვოკატმა მაგალითად მოიყვანა ორი შემთხვევა, რომელიც სცდება არაეფექტურობის ფარგლებს. ერთ შემთხვევაში მოსამართლემ უარი განაცხადა ადვოკატის მრავალ მოთხოვნაზე ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით, უარის საფუძველი კი იყოს ის, რომ იგი “ძალიან დაკავებული” ბრძანდებოდა და “მას არ ჰქონდა დრო” შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებისათვის. მეორე შემთხვევაში კი მოსამართლის თანაშემწემ უბრალოდ უარი განაცხადა სასამართლო გადაწყვეტილების ასლის გაცემაზე ადვოკატისათვის სასამართლო პროცესის დასასრულს და ბოლოს დაუჩინებელი მოთხოვნის შემდეგ ადვოკატმა მისგან მიიღო ხელმოწერელი, დაულუქავი არაოფიციალური გადაწყვეტილება.

სამოქალაქო სამართლის პრაქტიკოსი იურისტები კი აცხადებენ, რომ მათ არ ხვდებათ იგივე პრობლემები და წინააღობები, რაც სისხლის სამართლის საქმეებზე მომუშავე ადვოკატებს ხვდებათ მეორე მხარისაგან ან სასამართლოსგან მტკიცებულებათა მიღების თვალსაზრისით, გარდა იმ შემთხვევებისა თუ სამოქალაქო სარჩელში ძლიერი სახელმწიფო ინტერესია გამოსატული ან დავა მიმდინარეობს დიდი ოდენობის თანხაზე.

**შემაჯობი 6. სასამართლოში გამოსვლის უფლება**

*ადვოკატებს, რომელთაც გააჩნიათ სასამართლო ან ადმინისტრაციულ ორგანოებში კლიენტების სახელით გამოსვლის უფლება, როგორც წესი, სარბებლობენ ამ უფლებით და ხსენებულ ორგანოებში მათ თანაბარი უფლებები გააჩნიათ.*

დასკვნა: შეფასება: ნეიტრალური ტენდენცია: ↔

გარდა ზოგიერთი საფუძველიანი გამონაკლისებისა, ადვოკატებს გააჩნიათ სასამართლო და ადმინისტრაციულ ორგანოებში კლიენტის სახელით გამოსვლის უფლება, როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის საქმეებზე. ეს უფლება, როგორც წესი, დაცულია. თუმცა, ადვოკატები გამოთქვამენ უკმაყოფილებას იმის თაობაზე რომ არა ადვოკატებს კვლავ ეძლევათ საშუალება წარმოადგინონ კლიენტების ინტერესები შეზღუდულ შემთხვევებში.

**ანალიზი/საფუძველი**

სასამართლოში გამოსვლის უფლება დაცულია საკანონმდებლო დონეზე. საქართველოს კონსტიტუცია სასამართლოში მხარეთა თანაბარი უფლებების გარანტიას იძლევა და ადგენს, რომ «სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე».. (საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 85. 3). ყველა ადვოკატი კანონის წინაშე თანასწორია. (საქართველოს კანონი ადვოკატთა შინაგან მუხლი 38 (2). ადვოკატებს აქვთ უფლება «წარმოადგინონ და დაიცვან კლიენტი, მისი უფლებები და თავისუფლებები საკონსტიტუციო, უზენაეს და საერთო სასამართლოებში, არბიტრაჟში, მოკვლევისა და გამოძიების ორგანოებში, სხვა ფიზიკურ და იურიდიულ

პირებთან». (საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ მუხლი 4 (1) (ა)). ნებისმიერ ადვოკატს მიუხედავად მისი სპეციალიზაციისა აქვს საკონსტიტუციო სასამართლოში გამოსვლის უფლება.<sup>12</sup>

სასამართლოების ვალდებულება მისცენ საშუალება მხარეებს გამოვიდნენ სასამართლოში გარანტირებულია შესაბამისი საპროცესო კანონმდებლობით. მაგალითად, სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 15.1 სამოქალაქო სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს, ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლი 4.1). ადმინისტრაციულ პროცესში ყველა თანასწორია კანონისა და ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი კრძალავს ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე წარმოდგენილი მხარის უფლებების ნებისმიერ არაკანონიერ შეზღუდვებს და ასევე ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე წარმოდგენილი მხარის დისკრიმინაციას. (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მუხლი 4 (1 – 2) კანონი №2181 მიღებულია 1999 წლის 25 ივნისს).

ეთიკის კოდექსი შეიცავს გარკვეულ შეზღუდვებს ადვოკატებისათვის სასამართლოში და ადმინისტრაციულ ორგანოებში გამოსვლასთან დაკავშირებით. ადვოკატმა უნდა შეწყვიტოს კლიენტის წარმომადგენლობა თუ ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა კლიენტსა და სხვა კლიენტს შორის, ან თუ კონფლიქტი წარმოიშობა ადვოკატის კლიენტის და ადვოკატის პარტნიორის კლიენტს შორის. (ეთიკის კოდექსი მუხლი 6(1)-(4)). ადვოკატმა უნდა შეწყვიტოს კლიენტის წარმომადგენლობა თუ მის დამოუკიდებლობას საფრთხე ემუქრება, ან თუ არსებობს რისკი იმისა რომ კლიენტის და ადვოკატის ურთიერთობი კონფიდენციალურობა დარღვეული იქნება. (ეთიკის კოდექსი მუხლი 6(4))

რეალურად, ადვოკატის, კლიენტის სახელით, სასამართლო ან ადმინისტრაციულ ორგანოში გამოსვლის უფლება ზოგადად დაცულია. ადვოკატები ასევე გამოხატავენ უკმაყოფილებას იმასთან დაკავშირებით, რომ არა ადვოკატებს (წარმომადგენლებს) კვლავ აქვთ უფლება გარკვეულ შემთხვევებში კლიენტების ინტერესების წარმოდგენისა სასამართლო პროცესზე. *იხილეთ* (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მუხლი 93)<sup>13</sup>. წარმომადგენლებს მხარის სასამართლოში წარმოდგენის უფლება სამოქალაქო დავებისას ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე აქვთ. წარმომადგენლებს ამჟამად აქვთ მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოსვლის უფლება, გარდა იმ გამონაკლისებისა რომელიც ეხება სახელმწიფო და ადმინისტრაციული დაწესებულებების თანამშრომლებს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან გამოვიდნენ უფრო მაღალი ინსტანციის სასამართლოებში თუ საქმე ეხება მათ სამსახურებრივ დავას. (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მუხლი 94 და საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ მუხლი 40 (4)). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით სასამართლოს უფლება აქვს არ დაუშვას სასამართლო პროცესზე

<sup>12</sup> ადვოკატს შეიძლება ჰქონდეს სპეციალიზაცია სისხლის და სამოქალაქო სამართალში ან ჩააბაროს საერთო სპეციალიზაციის გამოცდა, რომელიც ორივე სფეროში იურიდიული პრაქტიკის განხორციელების საშუალებას იძლევა. საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ მუხლი 11(3)-(8); ასევე იხილეთ ფაქტორი 9 ადვოკატთა საკვალიფიკაციო პროცესთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისათვის.  
<sup>13</sup> არა ადვოკატებს არ აქვთ უფლება გამოვიდნენ სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეებზე, ვინაიდან ამის უფლება მხოლოდ ადვოკატებს აქვთ; იხილეთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მუხლი 680

წარმომადგენელი თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმომადგენელს არ გააჩნია საქმარისი უნარ-ჩვევები რაც საჭიროა კლიენტის ინტერესების დასაცავად. (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მუხლი 97). შეფასების ჯგუფისათვის არანაირი ინფორმაცია წარმომადგენელთა მიმართ არათნაბარი ან მიკერძოებული დამოკიდებულებისა არ გამხდარა ცნობილი. მაგრამ იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები ერთხმად თანხმდებიან იმაზე, რომ საჭიროა არსებული კანონის ისეთი ცვლილება, რომელიც მხოლოდ ლიცენზირებულ ადვოკატებს მისცემს სასამართლოში გამოსვლის უფლებას.

## II. განათლება, ტრენინგი და პროფესიაში გაწევრიანება

### შემატორი 7. აკადემიური მოთხოვნები

*ადვოკატებს მიღებული აქვთ ოფიციალური, უმაღლესი იურიდიული განათლება, აკრედიტებულ სასწავლო დაწესებულებებში.*

დასკვნა: შეფასება: ნეიტრალური ტენდენცია: ↔

ადვოკატს უნდა ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება. მაგრამ არა იურისტები, რომლებიც არ არიან ვალდებულნი დააკმაყოფილონ აკადემიური მოთხოვნები, აგრძელებენ კლიენტების მომსახურებას შეზღუდულ შემთხვევებში. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ განმარტავს ისეთი სახელმწიფო უწყების შექმნას რომელიც აკრედიტაციას გაუწევს როგორც საუნივერსიტეტო ასევე სპეციალურ პროფესიულ პროგრამებს უნივერსიტეტებში. მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუციური აკრედიტაცია დაიწყო, პროგრამული აკრედიტაციის სააგენტოს ჯერ არ დაუწყია ფუნქციონირება.

### ანალიზი/საშუაგველი:

უმაღლესი იურიდიული განათლება ადვოკატად გახდომის წინაპირობაა, მაგრამ არა იურისტები, რომლებიც არ არიან ვალდებულნი დააკმაყოფილონ აკადემიური მოთხოვნები, უფლებამოსილნი არიან წარმოადგინონ კლიენტების ინტერესები შეზღუდულ შემთხვევებში. (საქართველოს კანონი «ადვოკატთა შესახებ» მუხლი 10 (1) (ა)). (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ მუხლი 2 (მ)კანონი №688; მიღებულია 2004 წლის 21 დეკემბერს). რაც შეეხება უმაღლესი იურიდიული განათლების ხარისხს საქართველოს კონსტიტუციაში ნათქვამია: “სახელმწიფო უზრუნველყოფს ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ჰარმონიზაციას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში”. (საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 35 (2)). კანონი უმაღლესი განათლების შესახებ მოითხოვს ფაკულტეტებისაგან სასწავლო პროგრამების, კურიკულუმის უმაღლესი განათლების შესახებ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ბოლონის დეკლარაციის მიხედვით შემუშავებას. ამის მიხედვით იურიდიული ფაკულტეტი უნდა იყოს სამი ნაწილისაგან შემდგარი ციკლი, სადაც იქნება 3 ან 4 წლიანი ბაკალავრიატის პროგრამა, ორ წლიანი მაგისტრის პროგრამა და მინიმუმ 3 წლიანი დოქტორანტურა. (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ მუხლი 46 (1-2)).

ამასთანავე, საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ მოითხოვს ინსტიტუტის ან პროგრამის აკრედიტაციას. (იხილეთ საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ თავი XI). ინსტიტუციური აკრედიტაციის პროცესი დამოუკიდებლად ხორციელდება სახელმწიფო აკრედიტაციის სამსახურის მიერ. (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ მუხლი 63 (2 – 3)). აკრედიტაციული შეფასება ხორციელდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ, რომლებსაც ხელმძღვანელობს სახელმწიფო აკრედიტაციის სამსახურის მიერ დანიშნული თავმჯდომარე. (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ მუხლი 64). აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება სასწავლო დაწესებულების მატერიალური ბაზის, ფინანსური მდგომარეობის და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით. (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ მუხლი 68). აკრედიტაციის მიღების შემდეგ საგანმანათლებლო ინსტიტუტი ვალდებულია გაიაროს ყოველი შემდგომი ინსტიტუციური აკრედიტაცია იმ ვადაში, რომელიც მითითებულია აკრედიტაციის მინიჭების დამადასტურებელ საბუთში. (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ მუხლი 70). საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ ასევე ადგენს პროგრამული აკრედიტაციის გაუქმების პირობებს. (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ მუხლი 72).

უმაღლესი იურიდიული განათლების პროგრამები უნდა აკმაყოფილებდნენ აკრედიტაციის დამატებით მოთხოვნებს და პროცედურებს, რომელიც განსაზღვრულია სახელმწიფო აკრედიტაციის სამსახურის მიერ და დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ<sup>14</sup>. პროგრამული შეფასება ასევე მოიცავს ხარისხობრივ მიზნების და სტანდარტების, კურსის არსის და ინტერაქტიული სწავლების მეთოდოლოგიის შესწავლას. (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ მუხლი 71). განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი განსაზღვრავს აკრედიტაციის პირობებს და პროცედურებს 4 რეგულირებადი პროფესიის პროგრამებისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროფესიული ასოციაციების მონაწილეობით და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ მუხლი 75, პარაბრაფი 3; მუხლი 77 პარაბრაფი 1 და 2). ასე რომ, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია იქნება მოწვეული იურიდიული ფაკულტეტებისათვის აკრედიტაციის სტანდარტების შემუშავებისას.<sup>15</sup> პროგრამული აკრედიტაცია ყველა რეგულირებად პროფესიაში, მათ შორის იურიდიულ განათლებაში, დაგეგმილია 2010 წლისათვის.

ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში იურიდიული ხარისხის აკადემიურმა მოთხოვნებმა სერიოზული რეფორმა გაიარა. 2005 წელს საქართველოში პირველად განხორციელდა ერთიანი ეროვნული გამოცდები ყველა სახელმწიფო თუ კერძო აკრედიტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტებისათვის. ამოქმედდა მრავალ საფეხურიანი პროგრამები (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა). იურიდიული ხარისხის პროგრამები ასევე გადავიდა კრედიტების სისტემაზე, რაც

<sup>14</sup> უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მიხედვით არსებობს ოთხი რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამა, ესენია: იურიდიული, სამედიცინო, პედაგოგიური და სოციალური მუშაკის. ამ საგანმანათლებლო პროგრამებს სჭირდებათ პროგრამული აკრედიტაციის გავლა. (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ მუხლი 75, პარაბრაფი 2).

<sup>15</sup> საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მონაწილეობა ამ პროცესში ასევე გათვალისწინებულია მათი წესდებით, რომლითაც ასოციაციის ერთერთ მიზნად განსაზღვრულია იურიდიული განათლების მხარდაჭერა და იურიდიული პროფესიის განვითარება. (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდება მუხლი 5.5 და 6.2 დამტკიცებულია ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ 2005 წლის 26 თებერვალს).

შესაბამისობაშია ბოლონის დეკლარაციასთან. სტუდენტები ვალდებული არიან დააგროვონ 60 კრედიტი ერთ წელიწადში. ჯამში 240 კრედიტი არის საჭირო ბაკალავრის ხარისხის მისაღებად. დამატებით 120 კრედიტი არის საჭირო მაგისტრის ხარისხის მისაღებად.

იურიდიული პროფესიის ყველა წარმომადგენელი ერთხმად აღნიშნავს, რომ საგანმანათლებლო სისტემაში გატარებულმა რეფორმებმა იქონიეს დადებითი გავლენა პროფესიაზე. ინსტიტუციური აკრედიტაციის პროცესის განხორციელებამ გამოიწვია უნივერსიტეტების რაოდენობის შემცირება. ეს მაჩვენებელი 240 დან 38-ზე დავიდა<sup>16</sup>. მათ შორის ვინც უკვე აკრედიტირებულია და კიდევ ახლად ლიცენზირებული ინსტიტუტებიდან 28-ს აქვს იურიდიული ფაკულტეტი და მიიღებენ სტუდენტებს 2008-2009 სასწავლო წლებში. აკრედიტაციის სისტემის შემოღების ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა არის კორუფციის დონის საგრძნობი შემცირება. მიუხედავად ამისა პროგრამული აკრედიტაცია ჯერ კიდევ გასაკეთებელია და როგორც უკვე შეექმნა ფაქტორში ვისაუბრეთ არა იურისტ წარმომადგენლებს ჯერ კიდევ აქვთ უფლება წარმოადგინონ კლინტების ინტერსები ზოგიერთ შემთხვევაში, ყოველგვარი საგანმანათლებლო მოთხოვნის დაკმაყოფილების გარეშე.

**ფაქტორი 8. საადვოკატო პრაქტიკისთვის მომზადება**

*ადვოკატებს გააჩნიათ ადეკვატური ცოდნა, უნარ-ჩვევები და განათლება საადვოკატო პრაქტიკის დასაწყებად სასწავლებლის დასრულებისთანავე.*

დასკვნა: შეფასება: ნეიტრალური ტენდენცია: ↑

წარსულში იურიდიული განათლება ორიენტირებული იყო ძირითადად კანონის თეორიულ ასპექტებზე, იურიდიული სწავლების პრაქტიკული მეთოდოლოგიის მცირე გამოყენებით. სასწავლო პროგრამების და მეთოდოლოგიის რეფორმა ძირითადად ორიენტირებულია ინტერაქტიული სწავლების მეთოდზე და ასევე პარაქტიკული გამოცდილების და ანალიტიკური აზროვნების უნარჩვევების ჩამოყალიბებაზე.

**ანალიზი/საფუძველი:**

ისტორიულად, იურიდიული განათლების კურიკულუმი რომელიც უნივერსიტეტებში ისწავლება წარმოადგენდა თეორიულ ლექციას და მშრალ დახეპირებას და არ იყო ორიენტირებული უნარ-ჩვევების და პრაქტიკული გამოცდილების მიღებაზე. ადვოკატებმა აღნიშნეს კანონის პრაქტიკული გამოყენების და სამართლებრივი ანალიზის სწავლების მეთოდოლოგიის არ არსებობა, მაშინ როდესაც პროფესორები ხშირად მხოლოდ სამართლებრივი პრობლემის თეორიულ მიმოხილვაზე აკეთებენ აქცენტს. (იხილეთ ამერიკის იურისტთა ასოციაციის ცენტრალური ევროპისა და ევრაზიის სამართლებრივი ინიციატივის შეფასება საქართველოში არსებული იურიდიული განათლების შესახებ; 2005 წელი). ბოლო წლებში სიტუაცია ცოტათი შეიცვალა რაც 2004 წელს უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მიღებით არის გამოწვეული.

<sup>16</sup> ამას ემატება 12 ახლად ლიცენზირებული უმაღლესი განათლების ინსტიტუტი რომლებმაც უნდა გაიარონ აკრედიტაცია

საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ ცხადყოფს ხელისუფლების მზაობას შეასრულოს საკონსტიტუციო მანდატი და საგანმანათლებლო პროგრამები საერთაშორისო სტანდარტებთან და წესებთან შესაბამისობაში მოიყვანოს. (*იხილეთ საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 35 (2); ასევე იხილეთ ფაქტორი 7*). საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ კონკრეტულად არ აყალიბებს საჭირო რეფორმებს იურიდიული განათლების ფარგლებში. კანონში დეტალურად აღწერილი რეფორმები ეხება ინსტიტუციურ და საგანმანათლებლო რეფორმას მთელი უმაღლესი განათლების მასშტაბით. მიუხედავად ამისა, საქართველოს კანონმა უმაღლესი განათლების შესახებ გამოიწვია რეფორმები იურიდიული ფაკულტეტების პროგრამებში, პროფესიის განვითარებასა და პრაქტიკულ სწავლებაში. მაგალითად, წარსულში იურიდიული ფაკულტეტების სასწავლო პროგრამაში აქცენტი სამართლის თეორიაზე კეთდებოდა და განსაკუთრებული ყურადღება მექანიკურ დამახსოვრებას ეთმობოდა. ახლა, იურიდიული ფაკულტეტი სწავლების ინტერაქტიული მეთოდების შემუშავებითა და დანერგვით არის დაკავებული. სამართლებრივი კვლევისა და წერის კურსი ბაკალავრიატის პროგრამებში ინერგება. სამაგისტრო პროგრამები კი პრაქტიკაზე ორიენტირებულ პროგრამებს წარმოადგენს, რომლებიც იურიდიულ კლინიკებსა და პროფესიული წერის უნარ-ჩვევებზე არის ორიენტირებული.

ბოლო წლებში რამოდენიმე კლინიკის პროგრამა ჩამოყალიბდა. მაგალითად, ამერიკის იურისტთა ასოციაციამ იურიდიული კლინიკის პილოტური პროგრამა 2006 წელს დაიწყო, რომელშიც სტუდენტები იყვნენ დასაქმებულნი და ბინის მესაკუთრეებს ქონებრივ დავებში უწევდნენ დახმარებას. 2007 წელს ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივამ ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოაყალიბა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის კლინიკა. როგორც ბათუმის ისე ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტებმა გააერთიანეს კლინიკის ეს პროგრამა სამაგისტრო პროგრამაში. ამასთან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ოფიციალურად დანერგა პრაქტიკული სამართლის კურსი მის სამაგისტრო პროგრამაში (აქამდე ამ პროგრამის ადმინისტრირებას ამერიკის იურისტთა ასოციაცია ახორციელებდა). ამ პროგრამის ფარგლებში, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები საშუალო სკოლის მოსწავლეებს კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების შესახებ ასწავლიან. ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივაპრაქტიკული სამართლის კურსებს ახორციელებს საქართველოს 5 ქალაქში: ბათუმი, ქუთაისი, ახალციხე, გორი და თელავი. ამ პროგრამებში ჩართული ყველა სტუდენტი ვალდებულია გაიაროს აკადემიური კომპონენტი, რომელიც სპეციალურად იმისათვის არის შექმნილი რომ სტუდენტებს კლინტებთან პრაქტიკული მუშაობისას დაეხმაროს. ისინი ასევე მონაწილეობას იღებენ ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივის და სხვა ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ სასწავლო პროგრამებში, მათ შორის საადვოკატო უნარჩვევების პროგრამაში რომელსაც ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივა ახორციელებს. ამავე დროს, უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში, საქართველოს იურისტ სტუდენტთა ასოციაცია, უზენაესი სასამართლოსა და ამერიკის იურისტთა ასოციაციის მხარდაჭერით, ქვეყნის მასშტაბით იმიტირებულ სასამართლო პროცესებს ატარებს სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის დარგში.

**ფაქტორი 9. საკვალიფიკაციო პროცესი**

*აღვოკატად მუშაობის დასაწყებად აუცილებელია სამართლიანი, მკაცრი და გამჭვირვალე გამოცდის ჩაბარება და სწავლის (სტაჟირების) დასრულება*

დასკვნა:	შეფასება: ნეიტრალური	ტენდენცია: ↔
<p>ადვოკატის ლიცენზიის მოსაპოვებლად, იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის აუცილებელია ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან საერ სპეციალიზაციით, პროკურატურის მუშაკთა გამოცდის ან მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება. ამასთან, კანდიდატებისათვის სავალდებულოა ადვოკატის სტაჟორად მუშაობის მინიმუმ ერთწლიანი სტაჟირების დასრულება. აღნიშნული საკვალიფიკაციო გამოცდების ხარისხს შორის არსებობს განსხვავება, რომელიც აფერხებს პროფესიაში დაშვების სამართლიან, მკაცრ და გამჭვირვალე პროცესს.</p>		

**ანალიზი/საფუძველი:**

ადვოკატის ლიცენზიის მისაღებად, იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის აუცილებელია ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის, პროკურატურის მუშაკთა გამოცდის ან მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება და ადვოკატად ან ადვოკატის სტაჟორად მუშაობის მინიმუმ ერთწლიანი სტაჟის დასრულება. საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. მუხლი 10(1). არსებობს სამი სპეციალიზაციის ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა, რომელთაგან თითოეული სხვადასხვა სფეროს ეხება. საერთო სპეციალიზაციის გამოცდის ჩაბარება ადვოკატს საშუალებას აძლევს საადვოკატო საქმიანობა როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სფეროში განახორციელოს. ადვოკატი, რომელიც გამოცდას სისხლის სამართლის სპეციალიზაციით ჩაბარებს, ლიცენზირებულია მხოლოდ სისხლის სამართლის სფეროში. ხოლო, სამოქალაქო სპეციალიზაციის გამოცდის ჩაბარება ადვოკატს უფლებას ანიჭებს საადვოკატო საქმიანობა სამოქალაქო სამართლის სფეროში განახორციელოს. იხ. საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. მუხლი 11.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ პირველი გამოცდა 2006 წლის მაისში ჩაატარა. მას შემდეგ, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია გამოცდას წელიწადში ორჯერ, კანონით დადგენილი წესით ატარებდა<sup>17</sup>. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო ამტკიცებს კომისიის დებულებას, რომელიც ზედამხედველობას უწევს გამოცდას. მსგავსი საკითხების განხილვა საერთო კრების კომპეტენციაში შედის. (საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. მუხლი 24.2(ბ)); (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდება. მუხლი 12.2(ბ)). საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო ასევე პასუხისმგებელია გამოცდის კოორდინაციასა და ჩატარებაზე, მათ შორის გამოცდის თარიღის დანიშვნასა და პროგრამის შედგენაზე. (საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. მუხლი 11(2); საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდება. მუხლი 15(ბ)).

<sup>17</sup> საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის დაფუძნებამდე, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებაზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იყო პასუხისმგებელი. საბჭომ გამოცდები 2003 წლის ნოემბერსა და 2004 წლის ოქტომბერში ჩაატარა. აღნიშნულ გამოცდაზე ჩაბარების სტატისტიკა შესაბამისად 71% და 62% შეადგენდა. უნდა აღინიშნოს, რომ შეფასების ჯგუფის მიერ გამოკითხული ადვოკატები აღნიშნავენ, რომ მომავალში, შესაძლოა იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ კვლავ იაღოს პასუხისმგებლობა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარებაზე, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მაგიერ.

ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა 100 შეკითხვისაგან შედგება, რომელთაგან თითო 4 საგარეულო პასუხი აქვს. გამოცდისათვის 100 შეკითხვა შემთხვევითობის პრინციპით 5000-ზე მეტი შეკითხვიდან აირჩევა. გამოცდაზე არ არის წერიითი ნაწილი. საერთო სპეციალიზაციის გამოცდა სამართლის შემდეგ საგნებს მოიცავს:

- საკონსტიტუციო სამართალი;
- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი;
- ადმინისტრაციული სამართალი და ადმინისტრაციული პროცესი;
- სისხლის სამართალი და სისხლის სამართლის პროცესი;
- სამოქალაქო სამართალი და სამოქალაქო სამართლის პროცესი.

(საქართველოს კანონი ადვოკატთა შმსახმ. მუხლი 11(5)). სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე გამოცდა ტარდება იგივე საგნებში, რაც საერთო ტესტირება, თუმცა არ მოიცავს სამოქალაქო სამართალსა და სამოქალაქო სამართლის პროცესს. (საქართველოს კანონი ადვოკატთა შმსახმ. მუხლი 11(7)). შესაბამისად, სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის მქონე გამოცდა მოიცავს იგივე საგნებს, რაც საერთო ტესტირება, სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის გარდა. (საქართველოს კანონი ადვოკატთა შმსახმ. მუხლი 11(6)). გამოკითხულთა უმეტესობამ აღნიშნა, რომ გამოცდა სამართლიანი და გამჭვირვალეა, თუმცა არა მკაცრი.

ქვემოთ იხილეთ უკანასკნელი ოთხი გამოცდის ჩაბარების სტატისტიკის ტაბულა.

**საერთო, სამოქალაქო და სისხლის სამართლის სპეციალიზაციის გამოცდების ჩაბარების სტატისტიკა, 2006 წლის მაისი, 2007 წლის ნოემბერი**

თარიღი	კანდიდატთა რაოდენობა და ჩაბარების სტატისტიკა	სისხლის სამართლის სპეციალიზაცია	სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაცია	საერთო სპეციალიზაცია	სულ
მაისი 2006	კანდიდატთა რაოდენობა	1,056	930	737	2,723
	% ჩააბარა	62	61	44	53
ნოემბერი 2006	კანდიდატთა რაოდენობა	832	726	481	2,039
	% ჩააბარა	57	55	49	54
ივნისი 2007	კანდიდატთა რაოდენობა	405	525	320	1,250
	% ჩააბარა	41	55	32	44
ნოემბერი 2007	კანდიდატთა რაოდენობა	610	664	392	1,666
	% ჩააბარა	49	48	36	45

2007 წლის ივნისიდან, პირები, რომელთაც საადვოკატო საქმიანობის განხორციელება სურთ, უფლებამოსილნი არიან ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის მაგიერ პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა ჩააბარონ. (საქართველოს კანონი ადვოკატთა შმსახმ. მუხლი 10(1)(ბ)). პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ატარებს. პროკურატურის მუშაკთა

საკვალიფიკაციო გამოცდა წელიწადში ორჯერ ტარდება და 100 შეკითხვისაგან შედგება, რომელთაგან თითო 4 სავარაუდო პასუხი აქვს. გამოცდისათვის 100 შეკითხვა შემთხვევითი წესით დაახლოებით 1000 შეკითხვიდან აირჩევა. გენერალური პროკურატურის განცხადების თანახმად, პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის პროგრამა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ტესტირებას საკმაოდ ჰგავს. ორივე გამოცდის პროგრამა საკონსტიტუციო, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო, ადმინისტრაციულ, სისხლის სამართალსა და სისხლის სამართლის პროცესს მოიცავს. თუმცა, გამოკითხული ადვოკატების აზრით, პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა იგივე საგნებს არ მოიცავს, რაც ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით და მხოლოდ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესისაგან შედგება. შეფასების ჯგუფს არ მიუღია პროკურატურის თანამშრომლების გამოცდის სანიმუშო ტესტი. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, გამოკითხული ადვოკატები აცხადებენ, რომ პროკურატურის უსამართლოდ სარგებლობენ პრივილეგიებით, რადგან პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის პროგრამა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის პროგრამის შეკითხვების რაოდენობის მხოლოდ ერთი მეხუთედისაგან შედგება. ამავე დროს, ადვოკატები გამოთქვამენ ეჭვს პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის გამჭვირვალობის შესახებ. ყველა ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ პროკურატურის თანამშრომელთა გამოცდა უფრო იოლია. რადგან 2007 წელს პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის მაგიერ მისაღები გახდა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდაჩაბარებული 600 კანდიდატის ლიცენზირება განახორციელა.

ამავე დროს, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის მაგიერ, მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებაც არის შესაძლებელი. გამოკითხულთა თანახმად, მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდა უფრო რთულია, ვიდრე პროკურატურის მუშაკთა და ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა, თუმცა ამ ორი უკანასკნელი გამოცდისაგან განსხვავებით, მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდა თემატური გასაუბრების პროცესსაც მოიცავს. მოსამართლეთა გამოცდა სამართლის იგივე დარგებს მოიცავს, რაც ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო სპეციალიზაციით: საკონსტიტუციო სამართალი, სამოქალაქო, სისხლის, ადმინისტრაციული სამართალი და პროცესი, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო სახელმწიფოებო სამართალი. (საქართველოს ორბანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ. მუხლი 68(3)). მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდების ადმინისტრირებასაც საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ახორციელებს. მოსამართლეთა გამოცდის ტესტირების ნაწილი 100 შეკითხვისაგან შედგება, რომელთაც 4 სავარაუდო პასუხი აქვთ და არჩეულია შემთხვევითობის პრინციპით დაახლოებით 1000 შეკითხვიდან და წერითი ნაწილის 6 შეკითხვისაგან. ზეპირ გასაუბრებას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრი ატარებს. გამოცდის ჩატარების გრაფიკი დადგენილი არ არის, თუმცა ის, როგორც წესი, წელიწადში ორჯერ ან სამჯერ ტარდება. 2004 წლიდან მოყოლებული, სულ შეიდი გამოცდა იქნა ჩატარებული. ბოლო გამოცდა 2007 წლის სექტემბერში ჩატარდა. როდესაც ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაში საშუალოდ 2000 კანდიდატი მონაწილეობს, მოსამართლეთა გამოცდაში სულ 25-30 კანდიდატი<sup>18</sup> იღებს

<sup>18</sup> როგორც წესი, მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების სტატისტიკა 10%-15% შეადგენს. თუმცა, 1999 წელს გამოცდა წარმატებით კანდიდატების 41% ჩააბარა, ხოლო 2003 წელს – 91%. ეს მნიშვნელოვანი სხვაობა ეჭვს ბადებს ამ ორი წლის განმავლობაში გამოცდის გამჭვირვალობის შესახებ. TRANSPARENCY INTERNATIONAL GEORGIA, REFRESHING GEORGIA'S COURTS: TRIAL BY JURY AT 1-2 (2007) [შემდგომში ნახსენებია,

მონაწილეობას. 2004 წლიდან მოყოლებული, სულ 130 ახალი მოსამართლე იქნა დანიშნული.

პოტენციური ადვოკატებისათვის სავალდებულო აღნიშნული გამოცდების ხარისხს შორის აშკარა სხვაობის გამო, გამოკითხულთა განცხადებით, საქართველოს მთავრობა განიხილავს საკითხს არსებული კანონმდებლობის ცვლილების თაობაზე, რომელიც ერთიან საკვალიფიკაციო გამოცდას ითვალისწინებს იურისტთა ლიცენზირებისათვის ადვოკატთა საერთო, სისხლის და სამოქალაქო სპეციალიზაციის გამოცდისა და პროკურატურის მუშაკთა გამოცდის მაგიერ.

საადვოკატო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად ადვოკატებს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებასთან ერთად, ადვოკატად ან ადვოკატის თანაშემწედ მუშაობის ერთწლიანი სტაჟის დასრულება მოეთხოვებათ. (იხ. საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. მუხლი 10(1)(ბ)). სტაჟიორს ადვოკატის იმ ფუნქციების შესრულება შეუძლია, რომლებიც ჩვეულებრივ მხოლოდ ადვოკატის კომპეტენციაში შედის, ადვოკატის მიერ დავალების შემთხვევაში. 2007 წლის ივნისში ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილება ადვოკატს ან საადვოკატო ბიუროს ავალდებულებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას შეატყობინოს სტაჟიორის მიღების ან არ-მიღების გადაწყვეტილების შესახებ. წარსულში ადვოკატები უმეტესწილად თვითონ იყვნენ პასუხისმგებელი სტაჟირების შესაძლებლობების მოპოვებაზე და ისინი ძირითადად პირად კავშირებზე იყვნენ დამოკიდებულნი. სახელმწიფო უნივერსიტეტები სტუდენტებს სტაჟირებას როტაციის პრინციპით სთავაზობდნენ, რომელიც სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებაში რამდენიმე თვეს გრძელდებოდა. თუმცა, გამოკითხულთა თანახმად, სტაჟირების ეს ფორმა ნაკლებად სასარგებლო იყო. აღნიშნული სახელმწიფო სტაჟირების დროს, ჩვეულებრივ, სტუდენტები პრაქტიკულ გამოცდილებას ვერ იძენდნენ.

ამასთან, გამოკითხულები იმედოვნებენ, რომ აშუამდ, სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში არსებული იურიდიული კლინიკები იურიდიული ფაკულტეტების კურსდამთავრებულებს ერთწლიანი სტაჟირების ძიებისას ზოგიერთ პრობლემას გადაუჭრის. მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაახლოებით 250 სტუდენტს იღებს სამაგისტრო პროგრამაში, რომლებიც სასამართლოებში, პარლამენტში, კერძო ფირმებსა და საშუალო სკოლებში პრაქტიკული სამართლის პროგრამაში იმუშავენ. ამავე დროს, არასამთავრობო ორგანიზაციებიც სთავაზობენ სტუდენტებს გამოცდილების შეძენას კლიენტებთან მუშაობაში. კავკასიის ბიზნეს სკოლა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან შეთანხმების საფუძველზე, მისი იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს სტაჟირებას სთავაზობს საადვოკატო ბიუროებში. იგეგმება ამ პროგრამის გაფართოება და საადვოკატო ბიუროებში სტაჟიორების კონკურსის წესით შერჩევა.

**შემაჯობი 10. ლიცენზიის ბაზცეში ორბანო**

**საადვოკატო საქმიანობის დაწყების საკითხს წყვეტს მიუპერპოზიციონალი ორბანო და განხილული უნდა იქნას დამოუკიდებელი და მიუპერპოზიციონალი სასამართლო ორბანოს მიერ.**

დასკვნა:	შეფასება: დადებითი	ტენდენცია: ↑
<p>ადვოკატის იურიდიულ პროფესიაში მიღების საკითხი განიხილება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ, რომლის წევრები საერთო კრების მიერ დემოკრატიული პრინციპით არიან არჩეულნი. თუმცა, აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სასამართლოში.</p>		

**ანალიზი/საფუძველი:**

ადვოკატი არის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. (საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. მუხლი 1(2)). საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების კრიტერიუმები გაწერილია კანონში, რომელიც ასევე გაწევრიანებაზე უარის მიღების შემთხვევაში გასაჩივრების პროცესსაც აწესრიგებს. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში გასაწევრიანებლად აუცილებელია კანდიდატს ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება<sup>19</sup>, ჩააბაროს ადვოკატთა საკვალიფიკაციო, მოსამართლეთა ან პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა და ჰქონდეს ადვოკატად ან ადვოკატის სტაჟორად მუშაობის არანაკლება ერთი წლის სტაჟისა. (საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. მუხლი 10(1)). საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების მსურველ კანდიდატთათვის გაწევრიანებაზე განცხადების შეტანის პროცესი გაწერილია კანონში.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებისათვის, გაწევრიანების მსურველმა განცხადებით უნდა მიმართოს ასოციაციის, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

- განმცხადებლის სახელი, გვარი და დაბადების თარიღი;
- საცხოვრებელი ადგილის და საადვოკატო ბიუროს მისამართები, საკონტაქტო ტელეფონი;
- სპეციალიზაცია, თუ მას ტესტირება გავლილი აქვს სპეციალიზაციის მიხედვით.

(საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. მუხლი 21(2)). განცხადება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებაზე უნდა წარედგინოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს. (საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. მუხლი 21(1)). საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო ცხრა წევრისაგან შედგება, რომელთაგან 8 წევრი არჩეულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ სამი წლის ვადით. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მეცხრე წევრი (რომელიც ასევე საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ არის არჩეული) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეა. (საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. მუხლი 26(2), 26(3), 27(1); ასევე იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდება. მუხლი 15(ა)). აღმასრულებელ

<sup>19</sup> ამჟამად, არ არსებობს კანონი, რომელიც განსაზღვრავს ხარისხის იურისპრუდენციაში, რომელიც აკმაყოფილებს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის ამ მოთხოვნას – ბაკალავრიატი, მაგისტრატურა თუ დოქტორანტურა.

საბჭოს აქვს ათი დღის ვადა განცხადებაზე უარის ან თანხმობის გაცემისათვის. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდება. მუხლი 21(1). აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანამბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა. (საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. მუხლი 26(6)).

წევრობაზე უარის თქმის საფუძველია კანდიდატის მიერ უმაღლესი იურიდიული განათლების არქონა, შესაბამისი გამოცდის ჩაუბარებლობა, ან თუ ადვოკატთა გამოცდის ჩაბარების შემდეგ გასულია 7 ან მეტი წელი. (საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. მუხლი 21(3)(ა-ბ)). ამავე დროს, ადვოკატი არ შეიძლება იყოს ნასამართლევ გარკვეული დანაშაულებისათვის და თუ ნასამართლობა არ აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული. (საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. მუხლი 10(2)). ამასთან, ადვოკატი არ შეიძლება იყოს საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ საქართველოს კანონის (კანონი №982, მიღებულია 1997 წლის 17 ოქტომბერს) მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი და სხვა პირი, რომელსაც კანონმდებლობით ეკრძალება საადვოკატო საქმიანობის განხორციელება. (საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. მუხლი 10(3))<sup>20</sup>.

ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებაზე უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში უარის მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში. (საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. მუხლი 21(3)(ბ)). გასაჩივრების პროცესი უფრო დეტალურად კანონმდებლობით მოწესრიგებული არ არის. არც ის არის განსაზღვრული, თუ რა სტანდარტით უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ აპელაციის განხილვისას.

შეფასების ჯგუფს არ მიუღია ცნობები კანდიდატებისათვის წევრობაზე არასათანადო უარის შესახებ და არც უარის გასაჩივრებაზე სასამართლო პროცესის შესახებ.

**ფაქტორი 11. დისკრიმინაციის დაუშვებლობა პროფესიაში მიღებისას**

*აკრძალულია პროფესიაში დაშვებაზე უარის თქმა რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, კანის ფერის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეთნიკური ან სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, თანდაყოლილი ან ფიზიკური ნაკლის გამო.*

დასკვნა:	შეფასება: ნეიტრალური	ტენდენცია: ↔
თანასწორი შესაძლებლობები გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონით ადვოკატთა შესახებ. ეთნიკური უმცირესობები და ქალები მრავლად არიან წარმოდგენილნი ადვოკატურაში, თუმცა მათი თანაფარდობა პროცენტულად ოდნავ უფრო ნაკლებია, ვიდრე ზოგადად მოსახლეობაში. შეფასების ჯგუფს არ მიუღია ცნობები ეთნიკური უმცირესობების, ქალების ან ინვალიდების მიმართ დისკრიმინაციის შესახებ იურიდიულ პროფესიაში დაშვებისას. თუმცა, დისკრიმინაცია შეიძლება		

<sup>20</sup> კანონში ჩამოთვლილია შემდეგი თანამდებობის პირები: პრეზიდენტი, პარლამენტის წევრები, აბსაზეთსა და აჭარაში წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, სამინისტროებისა და მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები და სხვა თანამდებობის პირები. საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ საქართველოს კანონი

შენიღებული იყოს სხვა სოციალური ფაქტორებით, როგორცაა სხვათა შორის ენა და შენობების ფიზიკური მდგომარეობა, მათ შორის სასამართლოებისა და უნივერსიტეტების შენობები.

**ანალიზი/საფუძველი:**

არსებობს სამართლებრივი დაცვის მექანიზმები იურიდიულ პროფესიაში მიღებისას აშკარა დისკრიმინაციის დაუშვებლობისათვის.

- რასა;
- კანის ფერი;
- ენა;
- სქესი;
- პოლიტიკური ან სხვა სახის შეხედულებები;
- ეროვნული, სოციალური ან ეთნიკური წარმომავლობა;
- ქონება;
- საცხოვრებელი ადგილი.

(საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 14). საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ იმეორებს კონსტიტუციას ანტი-დისკრიმინაციული და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპების გამოყენებისას. (საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ, მუხლი 3(ბ) და 38(2)). თუმცა, ამ პრინციპების მიუხედავად, ადვოკატები საქართველოს მოქალაქეები უნდა იყვნენ და იურისტები, რომლებიც სამი სპეციალიზაციიდან ერთ-ერთში გამოცდას აბარებენ, ვალდებული არიან იცოდნენ ქართული ენა, რადგან გამოცდები ქართულ ენაზე ტარდება. (საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ, მუხლი 10(1) და 11(9)).

საქართველოს მოსახლეობის 83.8% ეთნიკური ქართველია. ხოლო მოსახლეობის დარჩენილი 16.2% კი – ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელია და შედგება აზერბაიჯანელების, სომხების, რუსებისა და სხვა ეროვნებებისაგან. (იხ. დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს მსოფლიო საინფორმაციო ბიულეტენი, საქართველო; ინტერნეტ-მისამართზე: <https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/geos/gg.html>)

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მონაცემებით, მისი წევრების 11.38% ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელია. მიუხედავად იმისა, რომ შეფასების ჯგუფს უმცირესობების წარმომადგენლების მიმართ იურიდიულ პროფესიაში დაშვებისას დისკრიმინაციის ფაქტების შესახებ ინფორმაცია არ მიუღია, შესაძლოა ეთნიკური დისკრიმინაცია სხვა სოციალური ფაქტორებით არის შენიღბული. მაგალითად, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ქართულ ენაზე ჩაბარების მოთხოვნამ შეიძლება გავლენა იქონიოს პროფესიაში წარმოდგენილ არა-ქართულად მოსაუბრე ადვოკატების რიცხვზე. თუმცა, ერთ-ერთმა ადვოკატმა ეს ეჭვი გააქარწყლა, რადგან განაცხადა, რომ სამართალწარმოება ყოველთვის ქართულ ენაზე ხორციელდება და აქედან გამომდინარე, ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, პირს უკვე უნდა სცოდნოდა ქართული ენა, რათა ეწარმოებინა საადვოკატო საქმიანობა<sup>21</sup>. გამოკითხულთა მეორე ნაწილიც დაეთანხმა იმ მოსაზრებას, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, რომლებსაც საადვოკატო საქმიანობის

<sup>21</sup> აუცილებელია აღინიშნოს, რომ სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება აფხაზეთში შეიძლება წარიმართოს როგორც ქართულად, ისე აფხაზურად. იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 17(1); ასევე, იხ. საქართველოს საქმონათმფლობელობის საპროცესო კოდექსი, მუხლი 9(4) (რომლის თანახმად, სამოქალაქო სამართალწარმოება მხოლოდ ქართულ ენაზე უნდა განხორციელდეს).

განხორციელება სურთ, უკვე კარგად ფლობენ ქართულ ენას. თუმცა, 2005 წელს, გამოკითხულთა ნაწილმა გამოთქვა წუხილი, რომ ტრადიციულად, სომხური და აზერბაიჯანული უმცირესობების წარმომადგენლები რუსულ ენაზე იღებდნენ განათლებას და არა ქართულად, რაც სავარაუდოდ გამოიწვევდა მათ მიერ ქართული ენის სათანადოდ არცოდნას.

გამოკითხული ადვოკატების აზრით, არც ქალების მიმართ დისკრიმინაცია წარმოადგენს პრობლემას.

როგორც გამოკითხული ქალები, ისე მამაკაცები უარყოფენ, რომ არსებობს რაიმე სახის დისკრიმინაცია ქალების იურიდიულ პროფესიაში დაშვებისას. ქალები საკმაოდ მრავლად არიან წარმოდგენილნი ყველა სამართლებრივ დარგში – მოსამართლეები, პროკურორები, ადვოკატები და სამართლის პროფესორები. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მონაცემებით, მისი წევრების 40.35% ქალები არიან.

ამავე დროს, გამოკითხული პირები უარყოფენ პროფესიაში დაშვებისას ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანების მიმართ დისკრიმინაციას, თუმცა შეფასების ჯგუფს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში ინვალიდების წარმომადგენლობის სტატისტიკური მონაცემები არ მიუღია. თუმცა, ხშირად სამართლებრივი დაწესებულებები ვერ აკმაყოფილებენ ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანთა მოთხოვნებს. ბევრი სასამართლოსა და უნივერსიტეტის ახლანდელი მდგომარეობა წარმოშობს წარმოუდგენელ დაბრკოლებებს ფიზიკური ნაკლის მქონე ადვოკატებისათვის. თუმცა, შეფასების ჯგუფის ინფორმაციით, სასამართლოს შენობებისა უნივერსიტეტების რეკონსტრუქციის შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პირობები ფიზიკური ნაკლის მქონე პირთათვის.

### **III. საქმიანობის განხორციელების პირობები და სტანდარტები**

#### **ფაქტორი 12. დამოუკიდებელი საადვოკატო საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა**

*აღვოკატებს ეძლევათ საქმიანობის დამოუკიდებლად ან სხვა აღვოკატებთან ერთობლივად განხორციელების საშუალება*

<b>დასკვნა:</b>	<b>შეფასება: დადებითი</b>	<b>ტენდენცია: ↔</b>
<p>ადვოკატების უფლება განხორციელონ საადვოკატო საქმიანობა დამოუკიდებლად ან სხვა ადვოკატებთან ერთად გარანტირებულია კანონმდებლობით. როგორც წესი, ეს უფლება თავისუფლად გამოიყენება და ერთდერთი დაბრკოლება – პირადი სახსრებია.</p>		

#### **ანალიზი/საფუძველი:**

საზოგადოებრივი გაერთიანებებისა, პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით. (საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 26(1)). ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ საზოგადოებრივი გაერთიანების საქმიანობა მიმართულია სახელმწიფო წყობილების დამსობის, საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფის, ომის ან ძალადობის პროპაგანდის, ან ეთნიკური ან რელიგიური შუღლის გაღვივებისაკენ. (საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 26(3)). საჯარო გაერთიანებების შექმნისა და მათში გაწევრიანების უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. (საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 26(6)).

ამავე დროს, საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ უზრუნველყოფს ადვოკატის უფლებას თავისუფლად აირჩიოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების ფორმა. ადვოკატს უფლება აქვს დააფუძნოს საადვოკატო ბიურო დამოუკიდებლად ან სხვა პირებთან ერთად. (საქართველოს კანონი აღვოკატთა შესახებ. მუხლი 18(1)). საადვოკატო ბიურო უფლებამოსილია თავისუფლად აირჩიოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და სტრუქტურა. (საქართველოს კანონი აღვოკატთა შესახებ. მუხლი 18(3)). საადვოკატო ბიუროს შექმნის შესახებ ინფორმაცია მისი შექმნიდან 10 დღის ვადაში უნდა წარედგინოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას. (საქართველოს კანონი აღვოკატთა შესახებ. მუხლი 18(2)). აღმასრულებელი საბჭოსათვის წარდგენილი ინფორმაცია უნდა შეიცავდეს ბიუროს საკონტაქტო ინფორმაციას, ბიუროში გაერთიანებული ადვოკატის (ადვოკატების) ვინაობას და სპეციალიზაციას. (საქართველოს კანონი აღვოკატთა შესახებ. მუხლი 18(2)).

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ვალდებულია აწარმოოს ქვეყანაში არსებული ადვოკატებისა და საადვოკატო ბიუროების მონაცემთა ბაზა. (იხ. საქართველოს აღვოკატთა ასოციაციის წესდება. მუხლი 6.1.10). ამ საადვოკატო ბიუროების შესახებ ინფორმაცია ხელმიწვადლობია ქართულ ენაზე საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ვებ-გვერდზე ([www.gba.ge](http://www.gba.ge)). ამჟამად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულია 313 საადვოკატო ბიურო. შეფასების ჯგუფს არ მიუღია ინფორმაცია, რომ ადვოკატები რაიმე სახის პრობლემას აწყდებიან მათ მიერ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების ფორმის შერჩევას. ადვოკატთა უმეტესობა საადვოკატო საქმიანობას ინდივიდუალურად ან მცირე ზომის ბიუროებში ახორციელებს, რომლებიც სისხლის და სამოქალაქო სამართლის დარგში მოღვაწე რამდენიმე ადვოკატისაგან შედგება. ბიუროებში მომუშავე ადვოკატების ინფორმაციით ასეთ ბიუროში მუშაობის უპირატესობა კოლეგებთან კონსულტაციის საშუალებაა და კლიენტების უფრო დიდი წრის ხელმისაწვდომობაა. თუმცა, ფინანსური სახსრების ნაკლებობის გამო ბიუროები მცირე ზომას ინარჩუნებენ.

**შემაჯობი 13. რესურსები და ანაზღაურება**

*ადვოკატებს ხელი მიუწვდებათ ინფორმაციაზე და სხვა რესურსებზე, რაც აუცილებელია კომპეტენტური იურიდიული მომსახურების უზრუნველსაყოფად და ხდება მომსახურების სათანადოდ ანაზღაურება*

დასკვნა:	შეფასება: უარყოფითი	ტენდენცია: ↔
<p>დედაქალაქის ფარგლებს გარეთ მოღვაწე ადვოკატებს სათანადოდ არ მიუწვდებათ ხელი იურიდიულ ინფორმაციაზე და სხვა რესურსებზე, რომლებიც აუცილებელია კომპეტენტური იურიდიული მომსახურების გასაწევად. მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატებს არ სურთ მათი შემოსავლების ოდენობის გამჟღავნება, ბევრი მათგანისათვის იურიდიული მომსახურების გაწევის ანაზღაურება საკმარისი არ არის მხოლოდ საადვოკატო საქმიანობიდან მიღებული ანაზღაურებით საცხოვრებლად.</p>		

**ანალიზი/საფუძველი:**

1991 წლიდან საქართველოში მიმდინარე მნიშვნელოვანმა პოლიტიკურმა და სამართლებრივმა ცვლილებამ ბევრი ახალი კანონის შექმნა და რეფორმა გამოიწვია. აქედან გამომდინარე, ადვოკატებს დღესაც ხელი სათანადოდ არ მიუწვდებათ ახალ კანონმდებლობაზე. მიუხედავად იმისა, რომ დედაქალაქში მოღვაწე ადვოკატების ინფორმაციით, ისინი იურიდიული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრობლემებს ნაკლებად აწყდებიან, ეს მაინც პრობლემად რჩება იმ ადვოკატებისათვის, რომლებიც დედაქალაქის ფარგლებს გარეთ ეწევიან საქმიანობას. რეგიონებში მოღვაწე ადვოკატებს არ გააჩნიათ სათანადოდ აღჭურვილი ბიბლიოთეკები და თბილისში და თბილისს გარეთ მოღვაწე ადვოკატებს ფინანსური მდგომარეობა საშუალებას არ აძლევს შეიძინონ იურიდიული ლიტერატურა. ამავე დროს, ყველა სამართლებრივი დაწესებულება აწყდება ქართულ ენაზე არსებული მასალების ნაკლებობის პრობლემას.

ბიბლიოთეკები და სხვა იურიდიული რესურს-ცენტრები, რომელთაც სასარგებლო რესურსების საკმარისი რაოდენობა გააჩნიათ, კონცენტრირებულია თბილისში. საქართველოს უხენაესი სასამართლოსა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თბილისის ოფისს აქვთ სათანადო ბიბლიოთეკები მრავალფეროვანი ინვენტარით. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმაც ახლახან დაასრულა მისი იურიდიული ბიბლიოთეკის აღდგენა, რომელიც მკითხველს რესურსების სიმრავლეს სთავაზობს როგორც ბეჭდური ფორმით, ისე ელექტრონულ რესურსებს კომპიუტერის საშუალებით. თბილისის გარეთ, სხვა რამდენიმე ორპანიზაციას, მათ შორის

უნივერსიტეტებსაც და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის რეგიონალურ ფილიალებსაც აქვთ ბიბლიოთეკები, თუმცა ისინი მნიშვნელოვნად უფრო მწირ მასალას სთავაზობენ მკითხველს. თუმცა, ძირითადად, რეგიონებში არსებული აკადემიური დაწესებულებები სამართლებრივი რესურსებისა და მასალების ნაკლებობას განიცდიან სამართლის სტუდენტების სათანადო დონეზე მოსამზადებლად.

სხვადასხვა გამომცემლობების მიერ იბეჭდება კანონთა კრებულები, რომლებიც ჩვეულებრივ მხოლოდ დედაქალაქის იურიდიული ლიტერატურით მოვაჭრე მაღაზიებში იყიდება. ასეთი გამომცემის ფასი, ჩვენი ინფორმაციით, დაახლოებით 15-20 ლარს შორის მერყეობს (დაახლოებით 8.50-11 ა.შ.შ. დოლარი). არსებობს ასევე იურიდიული პერიოდული გამომცემა, რომელშიც საკანონმდებლო ცვლილებები იბეჭდება. ჩვენი ინფორმაციით, ამ გამომცემის ღირებულება 4 ლარს შეადგენს (დაახლოებით 2.25 ა.შ.შ. დოლარი). კანონმდებლობა ასევე ხელმისაწვდომია ელექტრონული მონაცემთა ბაზის საშუალებით, რომელსაც “კოდექსს” უწოდებენ. ჩვენი ინფორმაციით, ამ მომსახურების ღირებულება 330 ლარიდან 600 ლარამდე მერყეობს (დაახლოებით 186-339 ა.შ.შ. დოლარი) – რაც ადვოკატთა უმეტესობისათვის ხელმიუწვდომელ თანხას შეადგენს. “კოდექსის” მომსახურებით სარგებლობისათვის ადვოკატებს დამატებით ინტერნეტთან დაკავშირებული ხარჯების გადახდაც უწევთ. ადვოკატების ინფორმაციით, არსებობს პრობლემები ინტერნეტის პროვაიდერებთან და ინტერნეტის არასათანადო ხარისხთან დაკავშირებით. ამავე დროს, ადვოკატების ინფორმაციით, “კოდექსი” მომხმარებელს ინტერნეტის მომსახურებას არ სთავაზობს. თბილისის გარეთ გამოკითხულთა ინფორმაციით, თუ “კოდექსის” მონაცემთა ბაზით სარგებლობისას რაიმე პრობლემა წარმოიქმნება, “კოდექსის” წარმომადგენელი იქ არ იმყოფება, რათა მათ დახმარება გაუწიოს და მათ თვითონ უწევთ მონაცემთა ბაზის საჭიროებისამებრ განახლება.

საერთაშორისო არა-სამთავრობო ორგანიზაციებმა ფინანსური მხარდაჭერა გაუწიეს სასამართლოს სხვადასხვა გადაწყვეტილების გამომცემას. მაგალითად, ამერიკის იურისტთა ასოციაციამ გამოსცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1996-2002 წლების გადაწყვეტილებების კრებული, თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის გადაწყვეტილებების ნაკრები და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები ადამიანის უფლებების შესახებ საქმეებზე. ამავე დროს, ამერიკის იურისტთა ასოციაციამ ფინანსური მხარდაჭერა გაუწია უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების მონაცემთა ბაზის შექმნას, რომელიც ხელმისაწვდომია უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე, <http://www.supremecourt.ge>.

ადვოკატების განცხადების (განსაკუთრებით დედაქალაქის ფარგლებს გარეთ მოღვაწე ადვოკატები) თანახმად, მხოლოდ ფინანსურად უზრუნველყოფილ ადვოკატებს აქვთ საშუალება ხელი მიუწვდებოდეთ ადეკვატურ იურიდიულ რესურსებზე. ადვოკატები თითქმის ერთხმად აცხადებენ, რომ წიგნები ზედმეტად ძვირია და ისინი ვერ ახერხებენ მათ შეძენას. ამასთან, რადგან კანონმდებლობა საოცარი სისწრაფით იცვლება, ისინი ვერ ახერხებენ განახლებული გამომცემების ხელახლა შეძენას სახსრების უქონლობის გამო. ამასთან, რეგიონებში მოღვაწე ადვოკატებს არ გააჩნიათ შესაბამისი ადგილი და ხელი არ მიუწვდებათ ინტერნეტის რესურსებზე. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ცდილობს გადაჭრას თბილისის გარეთ არსებული ზოგიერთი ეს პრობლემა რეგიონალური ოფისების შექმნით, რომლებიც აღჭურვილია ბიბლიოთეკით და კომპიუტერებით ინტერნეტის მომსახურებით. თუმცა, თვით საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაც შეზღუდულ რესურსს ფლობს იმისათვის, რომ დააფინანსოს ეს ძალისხმევა. მაგალითად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ბათუმის ოფისში, რომელიც აჭარაში რეგისტრირებულ დაახლოებით 70 წევრს ემსახურება, მხოლოდ ერთი კომპიუტერია, რომელიც 2007 წლის ოქტომბერშია შეძენილი და განლაგებულია

ოთახში, სადაც ასევე 3 მაგიდა დგას, რომლითაც ასოციაციის მთელი შტატი სარგებლობს. რესურსი, რომელზეც ადვოკატებს დღეს ხელი მიუწვდებათ და რომლითაც ისინი სარგებლობენ, ძირითადად მათ საკუთარ ან მათი კოლეგების კოლექციას წარმოადგენს.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად, უფასო გამოცემები რეგიონებში მოღვაწე ადვოკატებამდე ვერ აღწევს. მაგალითად, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის გაიდლაინები დაიბეჭდა და დაურიგდა ყველა მოსამართლეს, პროკურორსა და ადვოკატს. თუმცა, შეფასების ჯგუფს რეგიონებში მოღვაწე მრავალმა ადვოკატმა მიაწოდა ინფორმაცია, რომ მათ სისხლის სამართლის გაიდლაინები არ მიუღიათ. უფრო შემაშფოთებელია ადვოკატების მიერ მოწოდებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პროკურორები და მოსამართლეები განაჩენის გაიდლაინებს განაჩენის რეკომენდაციის დასასაბუთებლად იყენებენ და საშუალებას არ აძლევენ ადვოკატებს ხელი მიუწვდებოდეთ ამ ინფორმაციაზე.

ამჟამად, იურიდიული რესურსების ხელმწისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემა ხელს უშლის ადვოკატებს გასწიონ კომპეტენტური იურიდიული მომსახურება. სიტუაცია უფრო პრობლემატური გახდება, როდესაც სასამართლო საერთო სამართლის სისტემაზე გადასვლის გზაზე დადგება. რადგან საქართველოს სასამართლო სისტემა სამოქალაქო სისტემის ტრადიციის საფუძველზე მოღვაწეობს, სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოქვეყნება აუცილებელი არ არის, ვინაიდან ადვოკატების მიერ კანონის გარდა სხვა ტექსტის ციტირება საჭირო არ არის. რეფორმებს სასამართლო სისტემა სამართალწარმოებაში პრეცედენტული სამართლის პრეცედენტად გამოყენებისაკენ მიჰყავს და სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა ასეთ სისტემაში იმპერატიულია. თუ საერთო სამართლის სისტემა დაინერგება, ადვოკატებისათვის აუცილებელი იქნება მიუწვდებოდეთ ხელი სასამართლოს გადაწყვეტილებებზე.

იურიდიული მომსახურების ანაზღაურებასთან დაკავშირებით არსებულ სიტუაციას გავლენა რესურსების ნაკლებობაზეც აქვს. როგორც აღინიშნა ფაქტორში 12, გამოკითხულებმა განაცხადეს, რომ დამოუკიდებელი საადვოკატო ბიუროების შექმნა შეზღუდული ფინანსური საშუალებების გამოა პრობლემატური. საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ აწესრიგებს იურიდიული მომსახურების ანაზღაურებას. საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ უზრუნველყოფს უფლებას იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაზე და მოითხოვს, რომ ადვოკატმა საქმის განმხილველ სასამართლოს ხელშეკრულების დამადასტურებელი საბუთი წარუდგინოს. (საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. მუხლი 19(1-2)). 2006 წელს, ამ კანონში ცვლილება შევიდა, რომელიც არა-კომერციულ იურიდიულ პირს უფლებას ანიჭებს გასცეს ასეთი საბუთი ადვოკატთან გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე. (საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. მუხლი 19(2)<sup>1</sup>). ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსიც უზრუნველყოფს უფლებას იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაზე და ადგენს, რომ:

- ადვოკატი ვალდებულია შეატყობინოს კლიენტს გაწეული მომსახურების მოსალოდნელი ღირებულება;
- ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის;
- ადვოკატის ჰონორარი განსხვავებულია საქმის სირთულის, სიძნელის, ვადის ან ადვოკატის პროფესიონალიზმის მიხედვით, ან ქონებრივ დავებში, სადავო ქონების ღირებულების მიხედვით;

- ინფორმაცია კლიენტის მიერ ადვოკატისათვის გადახდილი თანხების შესახებ, კლიენტისათვის ნებისმიერ დროს უნდა იყოს ხელმისაწვდომი.

(აღვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი. მუხლი 8 და 12.

პრაქტიკაში, ადვოკატების უმეტესობის თანახმად, ისინი ფიქსირებულ ჰონორარზე თანხდებიან და შემდგომ, თუ საქმე გაჭიანურდა ან გართულდა, ჰონორარზე ხელახალი შეთანხმება ფორმდება. მხოლოდ რამდენიმე ადვოკატმა განაცხადა, რომ საათობრივ ანაზღაურებას იღებს და აღიარა, რომ როგორც წესი, ეს ასე არ ხდება. ადვოკატების ჰონორარი საკმაოდ განსხვავებულია. გამოკითხული ადვოკატები თავს იკავებდნენ რეალური თანხის დასახელებისაგან, რომელსაც ისინი კლიენტებისაგან იღებენ, თუმცა თითოეული მათგანი აღიარებს, რომ მათი შემოსავალი მნიშვნელოვნად უფრო დაბალია, ვიდრე პროკურორების. ადვოკატები, რომლებიც სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ იურიდიული დახმარების თბილისის ბიუროებში მუშაობენ, საშუალოდ 900 ლარს (დაახლოებით 508 ა.შ.შ. დოლარი) იღებენ ყოველთვიურად, ხოლო რეგიონებში მომუშავე ადვოკატების კი – 800 ლარს (დაახლოებით 425 ა.შ.შ. დოლარი). რეგიონებში მოღვაწე მრავალმა ადვოკატმა განაცხადა, რომ ისინი იმდენ საქმეს იღებენ, რამდენიც შეუძლიათ, რადგან მათი ანაზღაურება თითო საქმეზე ძალიან მცირეა. მათგან უმრავლესობა აღიარებს, რომ საკმაოდ რთულია იცხოვრო მხოლოდ საადვოკატო საქმიანობის განხორციელებიდან მიღებული შემოსავლით. გამოკითხულთა განცხადებით რეალურად ადვოკატების მხოლოდ მცირე ნაწილი (ძირითადად თბილისში მოღვაწე ადვოკატები) ფინანსურად უზრუნველყოფილია საადვოკატო საქმიანობის წყალობით.

**ფაქტორი 14. უწყვეტი იურიდიული განათლება**

*უნარ-ჩვევებისა და ცოდნის გასაღრმავებლად, აღვოკატებისათვის ხელმისაწვდომია უწყვეტი იურიდიული განათლება*

დასკვნა:	შეფასება: <i>ნეიტრალური</i>	ტენდენცია: ↑
საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია მის წევრებს უწყვეტი იურიდიული განათლების კურსებს უფასოდ სთავაზობს. ასევე, იურიდიული განათლება ხელმისაწვდომია სხვადასხვა საერთაშორისო არა-სამთავრობო ორგანიზაციის მხარდაჭერით. თუმცა, უწყვეტი იურიდიული განათლება ადვოკატებისათვის სავალდებულო არ არის და კურსების ხელმისაწვდომობა რეგიონებში კვლავ შეზღუდულია.		

**ანალიზი/საფუძველი:**

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია პასუხისმგებელია ადვოკატების პროფესიულ გადამზადებაზე. (საქართველოს კანონი აღვოკატთა შესახებ. მუხლი 23(3)). ასოციაციის ერთ-ერთი მიზანი „იურიდიული განათლების ხელშეწყობა და პროფესიის განვითარებაა“. (საქართველოს ასოციაციის წესდება. მუხლი 5.5). ამ მიზნის მისაღწევად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას ევალება ადვოკატთა სასწავლო ცენტრის შექმნა და მართვა. (საქართველოს კანონი აღვოკატთა შესახებ. მუხლი 6.1.2).

2007 წლის შემოდგომაზე, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ თავის წევრებს უფასო უწყვეტი იურიდიული განათლება შესთავაზა, კურსები სამართლის ხუთ სხვადასხვა დარგში: სისხლის სამართალი, სამოქალაქო სამართალი,

ადმინისტრაციული სამართალი, სასამართლო უნარ-ჩვევები და პროფესიული ეთიკა. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია იგივე კურსებს იმ პირებსაც სთავაზობს, რომლებიც ასოციაციის წევრები არ არიან. მათთვის კურსების საფასური 200 ლარს შეადგენს (დაახლოებით 113 ა.შ.შ. დოლარი). საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელმა საბჭომ აირჩია ცხრა წევრისაგან შემდგარი ჯგუფი უწყვეტი იურიდიული განათლების კურსების შესაქმნელად და ჩასატარებლად. თითო კურსი კვირაში სამჯერ, სამი თვის განმავლობაში მიმდინარეობს. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ინფორმაციით, მისმა 350 წევრმა გაიარა ზემოაღნიშნული კურსები (რაც ასოციაციის წევრების 10% შეადგენს).

უწყვეტი იურიდიული განათლება საადვოკატო საქმიანობის უფლების შესანარჩუნებლად სავალდებულო არ არის. თუმცა, გამოკითხულთა განცხადებით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია იმედოვნებს, რომ საქართველოს კანონში ადვოკატთა შესახებ ცვლილებას შეიტანს, რომელიც უწყვეტ იურიდიულ განათლებას სავალდებულოს გახდის. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ლობირებს მოთხოვნას, რომ საერთო სპეციალიზაციის მქონე ადვოკატებმა ყოველწლიურად 12 კრედიტ-საათი დააგროვონ უწყვეტ იურიდიულ განათლებაში, ხოლო სისხლის ან სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატებმა კი – 8 კრედიტ-საათი. სავალდებულო კრედიტ-საათებში პროფესიულ ეთიკაში კურსის მინიმუმ ერთი კრედიტ-საათი უნდა შევიდეს. ასოციაცია აღიარებს, რომ ამჟამად სავალდებულო უწყვეტი იურიდიული განათლების იდეა იურიდიულ წრეებში ფართოდ მისაღები არ არის. თუმცა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს მიაჩნია, რომ დროთა განმავლობაში ადვოკატები გააცნობიერებენ, რომ ასეთი მოთხოვნების მიზანი ადვოკატების მიერ კანონის ცოდნის გაღრმავება და პროფესიის სტანდარტების ამაღლებაა. სავალდებულო უწყვეტი იურიდიული განათლების სისტემის დანერგვის მიზნის მისაღწევად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის ცვლილება უნდა განახორციელოს და შემდეგ ასოციაციის საერთო კრება დაარწმუნოს, რომ შეცვალოს ასოციაციის წესდება. მანამდე კი, თავმჯდომარის განცხადებით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია განაგრძობს ნებაყოფლობითი უწყვეტი იურიდიული განათლების კურსების ჩატარებას.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ შეთავაზებული უწყვეტი იურიდიული განათლების კურსებთან ერთად, საერთაშორისო არა სამთავრობო ორგანიზაციები განაგრძობენ უწყვეტი იურიდიული განათლების კურსების დამოუკიდებლად ჩატარებას ისევე, როგორც ადგილობრივი არა სამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებას, რომლებიც ასეთ კურსებს ატარებენ. თუმცა, აღნიშნული პროგრამები არარეგულარულია და ხშირად მხოლოდ თბილისში ტარდება. რეგიონებში მოღვაწე ადვოკატების ინფორმაციით, მათ ხშირად უწევთ თბილისში ჩამოსვლა საკუთარი ხარჯით, რათა დაესწრონ ტრენინგებს ან სემინარებს. ისინი იმედოვნებენ, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია შეძლებს მათთვის გეოგრაფიულად მოსახერხებელი ტრენინგების ჩატარებას, როდესაც ის უფრო განვითარდება.

**ფაქტორი 15. ეთნიკურ, ეროვნულ, რელიგიურ და გენდერულ უმცირესობათა წარმომადგენლობა პროფესიაში**

*ეთნიკური და რელიგიური უმცირესობანი ისევე, როგორც ორივე სქესი, ადამიანთა შორის წარმომადგენელი იურიდიულ პროფესიაში*

<b>დასკვნა:</b>	<b>შეფასება: დადებითი</b>	<b>ტენდენცია: ↑</b>
საქართველო უმეტესწილად მონო-ეთნიკური და მონო-რელიგიური სახელმწიფოა. ქალები და უმცირესობანი პროფესიაში დაახლოებით იგივე რაოდენობით არიან წარმოდგენილნი, როგორც ზოგადად მოსახლეობაში.		

**ანალიზი/საფუძველი:**

საქართველოს მოსახლეობა 4.6 მილიონ ადამიანს შეადგენს, რომელთაგან 83.8% ეთნიკური ქართველია. უმცირესობები, რომლებიც მოსახლეობის 16.2% შეადგენს, შედგება აზერბაიჯანელებისაგან, სომხებისა და რუსებისაგან, შემდეგი განაწილებით: მოსახლეობის 6.5% აზერბაიჯანელია, 5.7% - სომეხი, ხოლო 1.5% რუსი ეროვნებისაა, დანარჩენი 2.5% კლასიფიცირდება, როგორც “სხვა ეროვნება”. (იხ. დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს მსოფლიო საინფორმაციო ბიულეტენი, საქართველო; ინტერნეტ-მისამართზე: <https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/geos/gg.html>). რაც შეეხება აღმსარებლობას, საქართველოს მოსახლეობა უმეტესწილად მართლმადიდებელია (83.9%). მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი შემდგენაირად არის განაწილებული: 9.9% მაჰმადიანი, 3.9% სომხური-გრიგორიანელი და 0.8% კათოლიკე. მოსახლეობის 0.8% სხვა სარწმუნოებების მიმდევარია, ხოლო მოსახლეობის 0.7% რელიგიური მიკუთვნება არ გააჩნია.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ მოწოდებული სტატისტიკის თანახმად, მისი წევრების 11.38% ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელია. ეს რიცხვი მოსალოდნელზე ოდნავ მცირეა ეთნიკური უმცირესობების ზოგადად საქართველოს მოსახლეობაში განაწილებასთან შედარებით. მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა ინფორმაციით, არსებობენ აზერბაიჯანელი, სომეხი და რუსი ადვოკატები, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია არ ფლობს ზუსტ მონაცემებს მისი წევრების ეთნიკური კუთვნილების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ასოციაციის წევრთა რელიგიური მიკუთვნების შესახებ ინფორმაციას არ ფლობს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ირწმუნება, რომ ასოციაციაში წარმოდგენილია სხვადასხვა რელიგიის მიმდევრები.

რაც შეეხება იურიდიულ პროფესიაში ქალების წარმომადგენლობას, ადვოკატების 40.35% ქალია. ეს რიცხვი მოსალოდნელზე ოდნავ მცირეა, ვიდრე ქალების რაოდენობის წილი ზოგადად მოსახლეობაში, რომელიც 50% შეადგენს. როგორც აღინიშნა ფაქტორში 11, ქალები ძირითადად აცხადებენ, რომ იურიდიულ პროფესიაში დაშვებისას ან საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას დისკრიმინაციას ადგილი არ ჰქონია.

არ არსებობს პროფესიული ორგანიზაციები ან პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობენ ადვოკატი ქალების ან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ადვოკატების ტრენინგს, პროფესიაში მიღებას ან წინსვლას. თუმცა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია გეგმავს ფილიალების გახსნას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, სადაც მოსახლეობის უმეტესობა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელია.

**ფაქტორი 16. პროფესიული ძველსა და ეთიკა**

*პროფესიული ძველისა და ეთიკის კოდექსი და ნორმები ჩამოყალიბებული და დაცულია*

<b>დასკვნა:</b>	<b>შეფასება: ნეიტრალური</b>	<b>ტენდენცია: ↑</b>
<p>საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას მიღებული აქვს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი ითვალისწინებს კონკრეტულ წესებს ლიცენზირებული ადვოკატებისათვის. თუმცა, ბევრი ადვოკატი არ იცნობს პროფესიულ სტანდარტებს, რომელთა დაცვასაც მოითხოვს ეთიკის კოდექსი და ბევრი ადვოკატი მას, როგორც არაეთიკური საქციელისაგან შემდგომეულ საშუალებად არ მიიხნევს.</p>		

**ანალიზი/საფუძველი:**

საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ ადვოკატებისათვის რამდენიმე წესს აწესებს და ამასთან, ის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მიღებას დამფუძნებელი კრებიდან სამი თვის ვადაში ავალდებულებს. (საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. მუხლი 44). შესაბამისად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ ეთიკის კოდექსი 2006 წლის 15 აპრილს მიიღო. ამავე დროს, კანონი მოითხოვს ეთიკის კომისიის შექმნას ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევების გამოსაძიებლად და სახდელის დასაკისრებლად. (საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. მუხლი 23 და 28). საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრები 2006 წლის 21 მაისს იქნენ არჩეულნი.

იმისათვის, რომ ადვოკატი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი გახდეს, მან უნდა:

- დაიცვას საქართველოს კონსტიტუციასა და კანონმდებლობა;
- იყოს ერთგული მართლმსაჯულების იდეებისადმი;
- დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები;
- დაიცვას პროცესის წევრთა უფლებები და თავისუფლებები.

(საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. მუხლი 5). ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი ადასრულებს ამ ვალდებულებას “დაემორჩილოს საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართალსა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს”. (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი. მუხლი 2). ამასთან, კოდექსი ლიცენზირებულ ადვოკატებს ზოგადი ხასიათის რიგ ვალდებულებას ანიჭებს. მაგალითად, მუხლი მე-4 ადვოკატისაგან კონფიდენციალურობის დაცვას მოითხოვს; მუხლი მე-6 ინტერესთა კონფლიქტს კრძალავს და ადვოკატისაგან მოითხოვს შეწყვიტოს კლიენტის საქმის წარმოება, თუკი წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ საქმეზე ან მის საადვოკატო ფირმაში მომუშავე ადვოკატის საქმესთან მიმართებით. მუხლი მე-7 კი ადვოკატებისაგან მოითხოვს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას პატივი სცეს კოლეგებს და არ შელახოს მათი ღირსება. (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი. მუხლი 4, 6, 7). ამავე დროს, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8-10 მუხლები პროფესიული ქცევის უფრო კონკრეტულ სტანდარტებს შეეხება ადვოკატი-კლიენტის ურთიერთობების, სასამართლოსა და ადვოკატს შორის და ადვოკატის კოლეგებთან ურთიერთობების სფეროში. (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი. მუხლი 8-10). (მაგალითად, მუხლი 8(13) ადვოკატს უკრძალავს ნებისმიერი ფულადი სახსრები ან ქონება, რომელსაც კლიენტი მიანდობს ადვოკატს შეინახოს ადვოკატის პირად ფულად სახსრებთან ან ქონებასთან ერთად; მუხლი 9(3)

ადვოკატს უკრძალავს წინასწარი შეცნობით ყალბი მტკიცებულების წარდგენას; მუხლი 10(3) ადვოკატს სხვა ადვოკატის რეკომენდებისათვის ანაზღაურების მიღებას უკრძალავს).

მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატები არ არიან ვალდებული გაიარონ ტრენინგი ეთიკის კოდექსში, ასოციაციის ეთიკის კომისია რამდენიმე პროგრამას ასორვიელებს ადვოკატებისათვის არსებული ეთიკის კოდექსის გასაცნობად. კერძოდ, ასოციაციამ ჩაატარა 8 ტრენინგი რეგიონებში, მათ შორის მცხეთა, დუშეთი, გარდაბანი, რუსთავიმ საგარეჯო, ბოლნისი, მარნეული, გორი და წყნეთი. ამ ტრენინგებში დაახლოებით 190 ადვოკატმა მიიღო მონაწილეობა. აგრეთვე, ეთიკის კომისია თბილისშიც ატარებს ყოველკვირეულ ტრენინგებს თბილისში მოღვაწე ადვოკატებისათვის. დღეისათვის, დაახლოებით 285 ადვოკატმა მიიღო მონაწილეობა ეთიკის ტრენინგში მხოლოდ თბილისის მასშტაბით. თუმცა ახნიშნული ღონისძიებების მიუხედავად, შეფასების ჯგუფის მიერ გამოკითხული ბევრი ადვოკატი პროფესიული ეთიკის მიერ დადგენილ პროფესიულ სტანდარტებს არ იცნობდა და არ იცოდა ეთიკის კომისიის საქმიანობის შესახებ.

ზოგადად, გამოკითხული პირები აღიარებენ, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მიღება აუცილებელი იყო საადვოკატო საქმიანობის პროფესიონალიზმის ასამაღლებლად. გამოკითხული ადვოკატები, რომლებიც ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს უკეთ იცნობდნენ, აღნიშნავდნენ, რომ მათ კოდექსი არაეთიკური ქცევისაგან შემდგომი ფაქტორად არ მიაჩნიათ. უმეტესწილად ეს მოსაზრება ადვოკატების რწმენაზე დაფუძნებული, რომ ეთიკის კომისია ზედმეტად სუსტია იმისათვის, რომ ადვოკატების დისციპლინური დევნა განახორციელოს. როდესაც მათ ვთხოვეთ განემარტათ, თუ რატომ არ შეეძლო ეთიკის კომისიას ადვოკატების მიმართ დისციპლინური დევნის განხორციელება, გამოკითხულმა ადვოკატებმა განაცხადეს, რომ ეთიკის კომისია დამოუკიდებელი არ არის მის საქმიანობაში და რომ მისი საქმიანობა პოლიტიკურად არის მოტივირებული. თუმცა, გამოკითხულთა მეორე ნაწილმა აღნიშნა, რომ ეთიკის კომისია გარეშე გავლენისაგან დამოუკიდებელია, მაგრამ საკმარისი რესურსები და ძალაუფლება არ გააჩნია იმისათვის, რომ სათანადოდ გამოიძიოს არაეთიკური ქცევის ფაქტები და დისციპლინური დევნა განახორციელოს.

**ფაქტორი 17. დისციპლინური დევნა და სანქციები**

*პროფესიული სტანდარტებისა და ნორმების დარღვევისათვის, ადვოკატები დისციპლინარულ დევნას და სანქციებს ექვემდებარებიან*

დასკვნა:	შეფასება: ნეიტრალური	ტენდენცია: ↑
საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ფარგლებში არსებობს დისციპლინური წარმოების მექანიზმი. თუმცა, მექანიზმის სრულად გამოყენება არ ხდება, პროცედურის შესახებ ინფორმირებულობის ნაკლებობის გამო. ადვოკატზე სახდელის დაკისრება მხოლოდ ერთ ადვოკატზე განხორციელდა 100 საჩივრიდან.		

**ანალიზი/საფუძველი:**

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია პასუხისმგებელია ადვოკატთა დისციპლინური წარმოების სისტემის შექმნაზე საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. მუხლი 6.1.11.

ასოციაციის საერთო კრებას ევალება ადვოკატთა პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ წესების დამტკიცება. საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. მუხლი 24(2)(ე), 28(8). აღნიშნული მოთხოვნის შესასრულებლად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ მიიღო პროფესიული ეთიკის კოდექსი. ამ წესების აღსრულება ასოციაციის ეთიკის კომისიის საშუალებით ხდება, რომელიც ასორციელებს დისციპლინურ წარმოებას ადვოკატების წინააღმდეგ საჩივრების<sup>22</sup> შესწავლის და მათი დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების გზით. საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. მუხლი 28(6). ეთიკის კომისია დამოუკიდებელი ორგანოა, რომელიც საერთო კრების მიერ 3 წლის ვადით არჩეული ცხრა წევრისაგან შედგება საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. მუხლი 28(1)-(2). ასოციაციის ნებისმიერი წევრი შეიძლება არჩეულ იქნას ეთიკის კომისიაში თუ მისი ასაკი 30 წელს, ხოლო საადვოკატო საქმიანობის სტაჟი 5 წელს აღემატება. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდება. მუხლი 20.3. დაუშვებელია ადვოკატის არჩევა ეთიკის კომისიის თავმჯდომარედ, თუ მას:

- შეუსრულებელი აქვს სასამართლო წესით დაკისრებული ქონებრივი ვალდებულება;
- ბრალდებულის სახით მიცემულია სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში; ან
- უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში დადებული ჰქონდა დისციპლინური სახდელი.

(საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. მუხლი 30(1)). აგრეთვე, დაუშვებელია ეთიკის კომისიის წევრები იყვნენ ერთი და იმავე საადვოკატო ბიუროს თანამშრომლები. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდება. მუხლი 20.4 ეთიკის კომისიის წევრები არ იღებენ ხელფასს ან რაიმე სახის ანაზღაურებას მათი საქმიანობისათვის. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდება. მუხლი 20.5.

ეთიკის კომისია ფუნქციონირებს სამი კოლეგიის მეშვეობით, რომელთაგან თითოეული კომისიის სამი წევრისაგან შედგება (როგორც სისხლი, ისე სამოქალაქო სამართლის სპეციალისტები). კოლეგიის წევრები ინიშნებიან კომისიის თავმჯდომარის მიერ 1 წლის ვადით. დაუშვებელია ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ. მუხლი 6(1). *ახვევ იხ.* საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდება. მუხლი 23.3 თითო კოლეგია ფუნქციონირებს, როგორც საპროცესო კოლეგია, რომელიც იღებს და აფასებს ყველა შემოსულ საჩივარს და იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების აღძვრის შესახებ. თითოეული კოლეგია აღნიშნულ ფუნქციას როტაციის პრინციპით ასრულებს – ერთი თვის ვადის განმავლობაში. დაუშვებელია ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ. მუხლი 6(3). დანარჩენი ორი კოლეგია განხილვის კოლეგიის ფუნქციას ასრულებს და განიხილავს ბრალდებას ადვოკატების წინააღმდეგ. დაუშვებელია ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ. მუხლი 6(4). ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ანაწილებს საქმეებს კოლეგიებს შორის როტაციის პრინციპით. დაუშვებელია ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ. მუხლი 10.1. *ახვევ იხ.* საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდება. მუხლი 23.2.

ადვოკატი ექვემდებარება დისციპლინარულ დევნას ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის, პროფესიული დაზღვევის უქნალობისათვის ან ადვოკატის პროფესიული ფუნქციების შეუსრულებლობისათვის. (საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. მუხლი 5, 9, 32(1)). დაუშვებელია ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და

დისციპლინური წარმოების შესახებ. მუხლი 2. ადვოკატის მოვალეობები მოიცავს პროფესიულ პატიოსნებას, პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვას და ადვოკატი-კლიენტის ურთიერთობების კონფიდენციალურობის, კლიენტისათვის ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის შესახებ დაუყოვნებლივ შეტყობინების ვალდებულებისა და საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების არსებობს სამ-წლიანი ხანდაზმულობის ვადა დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებებისათვის. (საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. მუხლი 32(2)); (ახევე იხ. დეკლარაცია ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ. მუხლი(1)).

დისციპლინური წარმოება ადვოკატების წინააღმდეგ შეიძლება აღიძვრას ასოციაციის ეთიკის კომისიისათვის წერილობითი საჩივრის ან შეტყობინების წარდგენით. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, ეთიკის კომისია, სარევიზიო კომისია, პროცესის მწარმოებელი ორგანოები ან ნებისმიერი პირი, რომელსაც მიაჩნია, რომ მისი უფლებები ან ინტერესები დაირღვა ადვოკატის ქმედებით, უფლებამოსილია შეიტანოს საჩივარი კომისიაში. დეკლარაცია ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ. მუხლი 7.1. საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ კრძალავს ანონიმური შეტყობინებების გამოყენებას დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძვლის სახით. საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. მუხლი 28(7). 2007 წელს შეიქმნა საჩივრის საერთო ფორმა, რომლისთვის ასოციაცია ინსტრუქციების შემუშავების პროცესშია. ინსტრუქციები და საჩივრის ფორმა ხელმისაწვდომი იქნება ბროშურის სახით. როდესაც საპროცესო კოლეგია საჩივარს იღებს, მას აქვს 30 დღე საქმის მასალების შესასწავლად და დასადგენად, არის თუ არა საკმარისი საფუძველი ადვოკატის წინააღმდეგ დისციპლინური წარმოების აღსადგერელად. დეკლარაცია ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ. მუხლი 7.2. საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. მუხლი 33. ამ ეტაპზე, კოლეგიამ უნდა მოიპოვოს ახსნა-განმარტება საჩივრის ავტორისაგან და ადვოკატისაგან, ამასთან, იგი უფლებამოსილია გამოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია და შესაბამისი მასალების საჩივრის შესწავლის მიზნით. დეკლარაცია ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ. მუხლი 6.3(ბ). საპროცესო კოლეგია არ აღძვრავს დისციპლინურ წარმოებას, საჩივარი ან შეტყობინება ინფორმაციის სისწორის შემთხვევაშიც კი არ იძლევა დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველს; ვადები დისციპლინური დევნის ან დისციპლინური სახდელის დაწესებისათვის ამოიწურა; შემოწმებული მასალები მიუთითებს, რომ ადვოკატმა ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული; ან ადვოკატის წევრობა ადვოკატთა ასოციაციაში უკვე შეწყვეტილია. დეკლარაცია ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ. მუხლი 7.3. ხოლო, თუ კოლეგია დაადგენს, რომ ადვოკატმა შესაძლოა ჩაიდინა სავარაუდო დარღვევა, იგი საქმეს გადასცემს ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს განხილვის კოლეგიისათვის გადასაცემად. დეკლარაცია ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ. მუხლი 9.1.

განხილვის კოლეგიამ საჩივრის განხილვა მისი მიღებიდან 50 დღის ვადაში უნდა მოახდინოს. დეკლარაცია ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ. მუხლი 11. კოლეგია ვალდებულია გადაწყვიტოს საქმე მიუკერძოებლად და სამართლიანად მხარეთა თანასწორობის პრინციპის საფუძველზე. დეკლარაცია ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ. მუხლი 10.3. განხილვის კოლეგიამ მოკლე ვადებში უნდა შეატყობინოს ადვოკატს, რომლის მიმართ მიმდინარეობს საქმისწარმოება, სხდომის ჩატარების თარიღი, ადგილი და დრო. სხდომაში მონაწილეობის მისაღებად განხილვის კოლეგიამ უნდა მოიწვიოს მოწმეები და სხვა პირები, რომელთაც უნდა შეატყობინონ სხდომის ჩატარების თარიღი, დრო და ადგილი. განხილვის კოლეგიის სხდომაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე და მდივანი. დეკლარაცია ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ. მუხლი 13.3, 13.4, 13.8. ადვოკატი, რომლის წინააღმდეგ

აღძრულია დისციპლინური წარმოება, უფლებამოსილია დაესწორს სხდომას, ხოლო თუ ადვოკატი კომისიის სხდომას არ დაესრება, საკითხის განხილვა გადაიდება 10 დღით. თუ ადვოკატი სხდომაზე ვერ გამოცხადდება მნიშვნელოვანი ავადმყოფობის ან სხვა საპატიო მიზეზის გამო, სხდომა შეიძლება გადაიდოს დამატებით 30 დღით. თუმცა, აღნიშნული პერიოდი არ ჩაითვლება კომიტეტის მიერ საქმის განხილვის პერიოდში. თუ 30 დღის გასვლის შემდეგ ადვოკატი კვლავ ვერ გამოცხადდება სხდომაზე, კოლეგიას უფლება აქვს, განაგრძოს განხილვა ადვოკატის დასწრების გარეშე. საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. მუხლი 35(4). დეკლარაცია ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ. მუხლი 14(2)-(3).

განხილვის კოლეგიის სხდომა იწყება თავმჯდომარის ან მისი უფლებამოსილი პირის მოხსენებით, რომელიც გააცნობს სხდომას საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და აღწერს დისციპლინური დევნისას მოპოვებულ მასალებს. დეკლარაცია ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ. მუხლი 13(5). თავმჯდომარის მოხსენების შემდეგ, საპროცესო კოლეგიის თავმჯდომარე წარადგენს ბრალდებას. საპროცესო კოლეგიის თავმჯდომარეს არა აქვს ადვოკატისათვის კონკრეტული დისციპლინური სახდელის დაკისრებისა და მისი დასჯის მოთხოვნის უფლება. დეკლარაცია ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ. მუხლი 13(6). ადვოკატს ეძლევა ახსნა-განმარტების მიცემის შესაძლებლობა. მას უფლება აქვს დისციპლინურ წარმოებაში მონაწილეობა მიიღოს როგორც უშუალოდ, ისე წარმომადგენლის მეშვეობით. მხარეებს აქვთ უფლება სრულად წარმოადგინონ საკუთარი პოზიცია, შეკითხვები დაუსვან მოწმეებს, წარმოადგინონ წერილობითი და სხვა სახის მტკიცებულებანი, აღძრან შუამდგომლობები განხილვის კოლეგიაში დამატებითი მასალების, დოკუმენტებისა და ინფორმაციის წარმოდგენის თაობაზე, აგრეთვე ჩვენებების ჩამორთმევის მიზნით, მოითხოვონ სხვა პირების გამოცხადება. დეკლარაცია ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ. მუხლი 13(6). ამავე დროს, ადვოკატს უფლება აქვს მოითხოვოს კოლეგიის რომელიმე ან ყველა წევრის აცილება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს თუ არსებობს მათი მხრიდან მიკერძოების ეჭვი. დეკლარაცია ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ. მუხლი 12.

თუ განხილვის კოლეგია ადვოკატს დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში დამნაშავედ ცნობს, იგი უფლებამოსილია დააკისროს ქვემოთ მოცემული სახდელებიდან ერთ-ერთი: გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ექვსი (6) თვიდან სამ (3) წლამდე ვადით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა. საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. მუხლი 34(1). დეკლარაცია ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ. მუხლი 4.1. სახდელის დაკისრების დროს, განხილვის კოლეგია ვალდებულია გაითვალისწინოს გადაცდომის (დარღვევის) სიმძიმე, მიყენებული (ან შესაძლო) ზიანი, და ადვოკატის ბრალეულობის ხარისხი. დეკლარაცია ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ. მუხლი 19.1. განხილვის კოლეგიას აქვს მხოლოდ ერთი სახის სახდელის დაკისრების უფლება. დეკლარაცია ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ. მუხლი 18(5)(ა), 19.2. ამასთან, კოლეგიას შეუძლია ადვოკატს ჩამოართვას ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკისა და სარევიზიო კომისიების წევრობა და ამ დისციპლინური ღონისძიების გამოყენება დასაშვებია ცალკე ან სხვა დისციპლინურ სახდელთან ერთად. საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. მუხლი 34(2)(ა). დეკლარაცია ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ. მუხლი 4.2.ა, 19.2. დისციპლინური სახდელის აღტერნატივის სახით, კოლეგიას შეუძლია ადვოკატს მისცეს კერძო სარეკომენდაციო ბარათი და ურჩიოს, თუ როგორ უნდა მოახდინოს ადვოკატმა პროფესიული ფუნქციების შესრულება მომავალში დარღვევების თავიდან ასაცილებლად. საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. მუხლი 34(2)(ა). დეკლარაცია ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ. მუხლი 4.2(ა), 18(5)(ბ), 19.2 ბარათის ასლი ინახება დისციპლინურ საქმეში დაბეჭდილ კონვერტში. მისი გახსნა

შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგივე ადვოკატის წინააღმდეგ დაიწყება ახალი დისციპლინური დევნა. დეკლარაცია ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ. მუხლი 18(5)(ბ), ადვოკატი, რომელმაც მიიღო კერძო სარეკომენდაციო წერილი არ მიიჩნევა დისციპლინურ სახდელ შეფარდებულად. დეკლარაცია ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ. მუხლი 26(3).

განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება მიიღება წევრთა ხმების უმრავლესობით. განსხვავებული აზრი ფორმდება წერილობით და თან ერთვის გადაწყვეტილებას. საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. მუხლი 35.1, 35.5; საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდება. მუხლი 23.4; დეკლარაცია ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ. მუხლი 18(2)-(4). თუ ადვოკატის მიმართ გამოსაყენებელი სახდელი წარმოადგენს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების დროებით შეჩერებას ან ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტას, განხილვის კოლეგიამ საქმე უნდა გადასცეს ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას. დეკლარაცია ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ. მუხლი 6(5), 18(5), 23(1). აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღება აუცილებელია ეთიკის კომისიის მინიმუმ შვიდი წევრის ხმა. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდება. მუხლი 23.4.

მიუხედავად იმისა, რომ ეთიკის კომისიის სხდომები დახურულია, მისი გადაწყვეტილებები საჯაროა. საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. მუხლი 35(3). გადაწყვეტილება უნდა გაეგზავნოს ადვოკატს მისი მიღებიდან 5 დღის ვადაში და უნდა ჩაიდოს ადვოკატის პირად საქმეში კოლეგიის სხდომის ოქმთან ერთად, საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. მუხლი 35(5). დეკლარაცია ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ. მუხლი 21-22.

განხილვის კოლეგიის ან ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში. საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. მუხლი 35(6). დეკლარაცია ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ. მუხლი 24. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო პასუხისმგებელია ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებების აღსრულებაზე განხილვის კოლეგიისა და ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებები ძალაში შედის სააპელაციო ვადის გასვლისთანავე, ან გასაჩივრების შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლისთანავე. დეკლარაცია ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ. მუხლი 25(1)-(2). გაფრთხილება გაქარწყდება მისი დაკისრებიდან 6 თვის ვადის გასვლის შემდეგ, თუ გაფრთხილების მოქმედების პერიოდში ადვოკატი განმეორებით არ ჩაიდენს გადაცდომას საადვოკატო პრაქტიკის განხორციელების უფლების ჩამორთმევა ექვსი (6) თვიდან სამ (3) წლამდე გაქარწყდება სახდელის მოქმედების ვადის გასვლიდან ერთ წელიწადში, თუ ამ პერიოდის განმავლობაში ადვოკატი არ ჩაიდენს სხვა გადაცდომას. დეკლარაცია ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ. მუხლი 26(1)-(2). წევრობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებიდან 3 წლის შემდეგ, წევრობა შეწყვეტილ ადვოკატს უფლება აქვს წევრობის აღდგენის მოთხოვნით მიმართოს ადვოკატთა ასოციაციას. დეკლარაცია ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ. მუხლი 25(3). ამასთან, დაუშვებელია დამატებითი დისციპლინური დევნის ან დამატებითი სახდელის დაკისრება გადაცდომისათვის, რომელზეც უკვე მიღებულია გადაწყვეტილება ადვოკატის მიერ ეთიკის კოდექსის დარღვევის დადასტურებულად ცნობისა და დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების ან სახდელის დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ. დეკლარაცია ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ. მუხლი 27.

ეთიკის კომისია ვარაუდობს, რომ 2005 წლიდან მოყოლებული სულ დაახლოებით 100 საჩივარი მიიღო. 2007 წლისათვის განხილული 68 საჩივრიდან, 56 კლიენტის, 10 სასამართლოს, 1 იუსტიციის სამინისტროსა და 1 გენერალური პროკურატურის მიერ იყო შემოტანილი. აქედან, 37 საჩივარზე დისციპლინური წარმოება არ აღძრულა არასაკმარისი საფუძვლის გამო, 14 საჩივარზე წარმოება არ აღძრა, რადგან სავარაუდო გადაცდომა ეთიკის კოდექსის მიღებამდე იქნა ჩადენილი, 10 – რადგან ადვოკატი, რომელსაც უჩიოდნენ ასოციაციის წევრი არ იყო, 7 – გადაეცა განხილვის კოლეგიას, 3 – საჩივრის ავტორამ უკან გაიტანა და ორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. 68 საჩივრიდან ზემოქმედების ღონისძიება მხოლოდ ერთ საჩივარზე იქნა დაკისრებული.

კომისიის ინფორმაციით, საჩივრების უმეტესობა კლიენტების მიერ არის შემოტანილი, რომლებიც მათი საქმის შედეგით არიან უკმაყოფილონი. კომისია აღიარებს, რომ არსებობს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსისა და ეთიკის კომისიის საქმიანობის შესახებ ინფორმირებულობის ნაკლებობა.

მართლაც, შეფასების ჯგუფის მიერ გამოკითხულ ადვოკატთა უმეტესობამ არ იცოდა, რომ ეთიკის კომისია რეალურად აწარმოებს დისციპლინარულ დევნას. რეგიონში მოღვაწე ადვოკატები პრაქტიკულად არ იყვნენ ინფორმირებულნი ეთიკის კომისიის საქმიანობის შესახებ. გამოკითხულთა ნაწილმა, რომელმაც ეთიკის კომისიის ფუნქციონირების შესახებ იცოდა, გამოთქვა ეჭვი ეთიკის კომისიის მიერ სანქციების რეალურად დაკისრების შესაძლებლობისა და სურვილის შესახებ. ადვოკატების უმრავლესობამ ეს პრობლემა კომისიის დამოუკიდებლობის ნაკლებობით ახსნა. მათ მიაჩნიათ, რომ კომისია პოლიტიკურად არის მოტივირებული, სხვები მიიჩნევენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ კომისია დამოუკიდებელია და ზეწოლას არ განიცდის, მას აკლია რესურსი და ძალაუფლება იმისათვის, რომ სათანადოდ გამოიძიოს არა-ეთიკური ქცევა. ეთიკის კომისიამ დაადასტურა, რომ ის ცდილობს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსისა და დისციპლინური წარმოების მექანიზმის შესახებ ადვოკატების ინფორმირებას და აცხადებს, რომ მან ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის პრინციპები 200 ადვოკატს განუმარტა. თუმცა, ეს ტრენინგები კომისიის წევრების ინიციატივითა და მათივე ხარჯით ჩატარდა. კომისიის ინფორმაციით, მას არ გააჩნია აუცილებელი რესურსები იმისათვის, რომ ჩაატაროს ფართომასშტაბიანი ტრენინგები.

#### IV. იურიდიული მომსახურება

##### ფაქტორი 18. იურიდიული მომსახურების ხელმისაწვდომობა

*შვედნის შველა რეგიონში დასაქმებული კვალიფიციურ ადვოკატთა საკმარისი რაოდენობა. ამდენად, შველა აღმინს შეუძლია დროული და აღუქვამური იურიდიული მომსახურების მიღება.*

<b>დასკვნა:</b>	<b>შეფასება: უარყოფითი</b>	<b>ტენდენცია: ↔</b>
მიუხედავად იმისა, რომ ლიცენზირებულ ადვოკატთა რიცხვი სწრაფად იზრდება თითოეული საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგად, ქვეყანაში კვალიფიციური ადვოკატების საკმარისი რაოდენობა მაინც არ არის. ქვეყნის დასავლეთ ნაწილში ადვოკატების არაპროპორციულად მცირე რაოდენობაა კონცენტრირებული.		

**ანალიზი/საფუძველი:**

2005 წლიდან მოყოლებული, ლიცენზირებულ ადვოკატთა რიცხვი 900-დან 3672-მდე გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ სახეზეა ადვოკატთა რიცხვის მნიშვნელოვანი ზრდა, ქვეყანაში კვალიფიცირებული ადვოკატების ნაკლებობა მაინც რჩება.

საქართველოს მოსახლეობა 4.6 მილიონია. შესაბამისად, საქართველოში დაახლოებით 1253 სულ მოსახლეზე ერთი ადვოკატი მოდის. ადვოკატების გეოგრაფიული განლაგება დაახლოებით 1664-ს დედაქალაქში და 2008-ს რეგიონებში შეადგენს<sup>23</sup>. ეს იმას ნიშნავს, რომ თბილისში, სადაც დაახლოებით 1 მილიონი მაცხოვრებელია – ქვეყნის მოსახლეობის თითქმის მეოთხედი, ადვოკატების დაახლოებით 45% მოღვაწეობს. აქედან გამომდინარე, თბილისში თითო ადვოკატზე 714 მოქალაქე მოდის. თბილისში მოღვაწე ადვოკატების დიდი რაოდენობის გამო, საქართველოს ადვოკატების უმრავლესობა აღმოსავლეთ საქართველოშია კონცენტრირებული - 2718 ადვოკატი (მათგან 1054 – თბილისში) და 954 დასავლეთში. სტატისტიკურად, დასავლეთის ქალაქებში არ არის ადვოკატების საკმარისი რაოდენობა თითოეული მოსახლეზე. მაგალითად, აჭარის მოსახლეობა 411000 ადამიანია, ხოლო ბათუმში – აჭარის ადმინისტრაციულ ცენტრში. 137000 ადამიანზე მეტი ცხოვრობს. (*იხ. საქართველოს სტატისტიკური მონაცემები, მოსახლეობა რეგიონების მიხედვით, წლის დასაწყისის მდგომარეობით <http://www.statistics.ge/main.php?pform=47&plang=1>*). თუმცა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ბათუმის ოფისის ინფორმაციით, აჭარის რეგიონში მხოლოდ 70 ადვოკატია. შესაბამისად, ბათუმში მცხოვრებ 2440 სულ მოსახლეზე ერთი ადვოკატი მოდის. კიდევ ერთ დასავლეთის ქალაქში – ქუთაისში (საქართველოს მეორე ყველაზე დიდი ქალაქი) მოსახლეობა 189000 ადამიანს შეადგენს. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ქუთაისის ოფისის მონაცემებით, ქუთაისში 100 ადვოკატია – ერთი ადვოკატი 1890 სულ მოსახლეზე.

**ფაქტორი 19. იურიდიული მომსახურება სოციალურად დაუცველთათვის**

***ადვოკატები მონაწილეობენ სპეციალურ პროგრამებში, რათა უზრუნველყოფილი იყოს ყველა პირისათვის, განსაკუთრებით კი სოციალურად დაუცველთა და პატიმართათვის, სათანადო იურიდიული მომსახურების გაწევა და ხელმისაწვდომობა***

<sup>23</sup> 2005 წლის თებერვალში, 1204 ადვოკატი აკმაყოფილებდა კანონის მოთხოვნებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში გასაწევრიანებლად, თუმცა მხოლოდ 900-მა ადვოკატმა დადო ფიცი ასოციაციის დამფუძნებელ კრებაზე. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ მიიღო 1673 განცხადება 2007 წლის ნოემბერში ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობის მიღების მსურველთაგან. გამოცდაში მონაწილეობა 1666 კანდიდატმა მიიღო, ხოლო 758 (45%) კანდიდატმა წარმატებით ჩააბარა ტესტირება.

<b>დასკვნა:</b>	<b>შეფასება: ნეიტრალური</b>	<b>ტენდენცია: ↑</b>
<p>სამართლებრივი დაცვის უფლება გარანტირებულია ბრალდებულებისათვის სისხლის სამართლის საქმეებზე. თუმცა, მთავრობისა და არა-სამთავრობო ორგანიზაციების მიერ ამჟამად განხორციელებული იურიდიული დახმარების პროექტები ვერ აკმაყოფილებენ სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დაცვის მოთხოვნებს. 2009 წლის დასაწყისიდან, იურიდიული დახმარება გარანტირებული იქნება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზეც გარკვეული კატეგორიის პირთათვის, თუმცა ამჟამინდელი დაბრკოლებები აღნიშნულ დაპირებას ეჭვქვეშ აყენებს.</p>		

**ანალიზი/საფუძველი:**

იურიდიული დახმარების უფლება ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა, რომელიც გარანტირებულია ყველა ქართველისათვის. საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 18(5), 42(3). სახელმწიფოს აკისრია ვალდებულება უზრუნველყოს იურიდიული დახმარება სოციალურად დაუცველ პირთათვის. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლი 80. ამავე დროს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს დამცველის დანიშნვას გარკვეულ შემთხვევებში სისხლის სამართლის საქმეებზე და კრძალავს დამცველზე უარის თქმას იმ შემთხვევაში, თუ ეჭმიტანილი, ბრალდებული ან განსასჯელი არასრულწლოვანია, აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, ან აქვს ფსიქიკური დაავადება, რომელიც აძნელებს დაცვის უფლების განხორციელებას, ჩადენილი აქვს ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც შეიძლება სასჯელად დაინიშნოს უვადო თავისუფლების აღკვეთა, განიხილება პირის მიმართ სტაციონარული სამკურნალო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის საკითხი, ეჭმიტანილთა, ბრალდებულთა ან განსასჯელთა ინტერესებს შორის არის წინააღმდეგობა და თუნდაც ერთ მათგანს ჰყავს დამცველი, დაზარალებულის ან სამოქალაქო მოსარჩელის ინტერესებს იცავს მისი წარმომადგენელი, ბრალდებულთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების შესახებ, პროცესის მონაწილის მიმართ გამოყენებულია დაცვის სპეციალური ღონისძიება (გარდა ფიზიკური დაცვის სპეციალური ღონისძიებისა). საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლი 81(ა)-(ი).

2007 წლის 2 ივლისს გამოქვეყნდა საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ, რომელიც შეიცავს დებულებებს სისხლის სამართლის საქმეებზე იურიდიული დახმარების მოწვევრიგების თვალსაზრისით. (№ 4955 საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ. აღნიშნული კანონის თანახმად, შეიქმნა იურიდიული დახმარების სამსახური, დამოუკიდებელი, თვით-რეგულირებადი საჯარო ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს იურიდიულ დახმარებას. საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ. მუხლი 9(1), 9(3). დაუშვებელია იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობაში ჩარევა; თუმცა იუსტიციის სამინისტრო ზედამხედველობას უწევს სამსახურის მიერ ფინანსური სახსრების ხარჯვას. საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ. მუხლი 9(3). სამსახურის დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან სპეციალურად გამოყოფილი სახსრებზე საშუალებით ხდება იმ ოდენობით, რომელიც საკმარისი უნდა იყოს სამსახურის ეფექტური ფუნქციონირებისათვის. საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ. მუხლი 9(3) 25(1), 25(2). ამავე დროს, იურიდიული დახმარების სამსახურს შეუძლია მიიღოს გრანტები და შემოწირულობანი ისევე, როგორც მოიძიოს კანონით დაშვებული დაფინანსების სხვა წყაროები. საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ. მუხლი 25(1). აგრეთვე, თუ სამოქალაქო ან ადმინისტრაციული საქმე იურიდიული დახმარების ბენეფიციარის სასარგებლოდ გადაწყდა, ან თუ მან არასწორი ინფორმაცია წარმოადგინა თავისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ, შესაბამისად წაგებულ

მხარეს ან ბენეფიციარს დაეკისრება იურიდიული დახმარების სამსახურისათვის ადვოკატისა და სხვა შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება. საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ. მუხლი 8.

იურიდიული დახმარების სამსახურს მართავს დირექტორი და მონიტორინგის საბჭო, რომლებიც ხელმძღვანელობენ იურიდიული დახმარების ბიუროებისა და საკონსულტაციო ცენტრების მუშაობას. საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ. მუხლი 9(2). იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგის საბჭო შეიქმნა წევრისაგან შედგება, რომელთაგან ერთი იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელია, ერთი – პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ დანიშნული წევრი, - ერთი უზენაესი სასამართლოს მიერ დანიშნული მოსამართლე და ოთხი წევრი, რომლებსაც თვით მონიტორინგის საბჭო ნიშნავს. თითოეულ წევრს იუსტიციის მინისტრი ამტკიცებს 4 წლის ვადით. საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ. მუხლი 11(2)-(5). სხვა ფუნქციებთან ერთად, მონიტორინგის საბჭო მეთვალყურეობას უწევს იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობას და იღებს გადაწყვეტილებებს იურიდიული დახმარების მიმართულებების შესახებ; აფასებს იურიდიული დახმარების გაწევის მექანიზმების ეფექტურობას; ამტკიცებს ხარისხის სტანდარტებს და იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მიერ მომზადებულ შეფასების მექანიზმებს; უწევს მონიტორინგს ზემოაღნიშნულის განხორციელებას; აფუძნებს და აუქმებს იურიდიული დახმარების ბიუროებს და საკონსულტაციო საბჭოებს; ნიშნავს და ათავისუფლებს ხელმძღვანელებს და ხელს უწყობს კოორდინაციას სამართალწარმოების ყველა მონაწილეს შორის, რათა სახაზინო ადვოკატებს საშუალება მიეცეთ განახორციელონ თავიანთი მოვალეობები. საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ. მუხლი 12. აგრეთვე, საბჭო აწეობს კონკურსს, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის თანამდებობაზე და წარუდგენს კანდიდატურებს იუსტიციის მინისტრს დასამტკიცებლად. საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ. მუხლი 12(ა), 16(1). იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორად დანიშნვისათვის, პირი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, მისი ასაკი არ უნდა იყოს 25 წელზე ნაკლები, უნდა ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება და სამუშაო გამოცდილება არაუმცირეს სამი წლის ოდენობით ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. დირექტორი ინიშნება სამი წლის ვადით და მას არ აქვს უფლება ამავდროულად აწარმოოს საადვოკატო საქმიანობა ან სხვა სახის ანაზღაურებადი სამუშაო. საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ. მუხლი 16(1)-(4). დირექტორის ფუნქციებში შედის იურიდიული დახმარების სამსახურის მართვა, იურიდიული დახმარების ბიუროებისა, საკონსულტაციო ცენტრებისა და იურიდიული დახმარების პროვაიდერების ზედამხედველობა; იურიდიული დახმარების სამსახურის ეფექტურობის ასამაღლებლად რეკომენდაციების შემუშავება; სახაზინო ადვოკატებისა და იურიდიული დახმარების ბიუროების მიერ გაწეული იურიდიული მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა და მონიტორინგი; იურიდიული დახმარების ბიუროების თანამშრომლების დანიშვნა, დათხოვნა და დისციპლინური წარმოება; საკონსულტაციო ცენტრებისა და იურიდიული დახმარების ბიუროების წინაარმდეგ საჩივრების განხილვა; უწყვეტი იურიდიული განათლების კურსების ორგანიზება იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისათვის და იურიდიული დახმარების სამსახურის საზოგადოებრივ ურთიერთობებში წარმოდგენა. საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ. მუხლი 17.

იურიდიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონის დებულებები, რომლებიც შეეხება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებს, ძალაში შევა 2009 წლის 1 იანვარს. საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ. მუხლი 28.2. ამ დროისათვის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული საქმის მხარეს გაეწევა იურიდიული დახმარება,

თუკი ის სოციალურად დაუცველია და თუ საქმე აკმაყოფილებს გარვეულ კრიტერიუმებს, რომლებსაც იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგის საბჭო ადგენს. საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ. მუხლი 6.3. სოციალურად დაუცველი პირის სტატუსის მინიჭება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის შემთხვევაში<sup>24</sup>. (საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ. მუხლი 2(ზ)). ადვოკატი და იურიდიული დახმარების ბიუროები, რომლებიც პირს იურიდიულ დახმარებას უწევენ, უფლებამოსილნი არიან, მოითხოვოს ინფორმაცია შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოსაგან, რათა დაადგინონ პირის გადამხდელუნარიანობა და ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ეს ინფორმაცია გასცეს მოთხოვნისამებრ. (საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ. მუხლი 7(2)). სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე იურიდიულ დახმარებაზე ნებისმიერი უარი სათანადოდ უნდა იქნას დასაბუთებული და შეიძლება გასაჩივრდეს იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორთან. საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ. მუხლი 24.4.

იურიდიული დახმარების მომსახურება ხელმისაწვდომია ყველა სისხლის სამართლის საქმეზე მთელი ქვეყნის მასშტაბით ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობისა და შემოსავლების მიუხედავად 2009 წლის 1 იანვრამდე. (საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ. მუხლი 26(3)). მოსალოდნელია, რომ მთავრობა 2009 წლის 1 იანვრამდე შექმნის საქართველოში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ პირთა შესახებ მონაცემთა ბაზას და ამ ვადის ამოწურვის შემდეგ უფასო იურიდიული დახმარება სისხლის სამართლის საქმეებზე ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ მათთვის, ვინც შეყვანილი იქნება აღნიშნულ სიაში. იურიდიული დახმარება გაეწევათ პირებს ბრალდებულის ან მისი ახლო ნათესავის ან შესაბამისი პროცესის მწარმოებელი ორგანოს მოთხოვნისამებრ. საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ. მუხლი 24(1).

საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ ანსხვავებს იურიდიული დახმარების გაწევის სამ მოდელს – 1. ზემოაღნიშნული ბიუროების მეშვეობით; 2. იურიდიული ბიუროების ან კერძო ადვოკატების საშუალებით იურიდიული დახმარების სამსახურთან ხელშეკრულების საფუძველზე; და 3. საჯარო ადვოკატების რეესტრში<sup>25</sup> რეგისტრირებული ადვოკატების მეშვეობით. (საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ. მუხლი 16, 18, 19). ბიუროები იურიდიული დახმარების სამსახურის სტრუქტურული ერთეულებია. ბიუროებში მომუშავე ადვოკატების შერჩევა კონკურსის წესით ხდება. მათ კომისიის წინაშე გასაუბრების პროცესი უნდა გაიარონ, რომელსაც იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი თავმჯდომარეობს და იუსტიციის სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან შედგება. კონტრაქტორებიც კონკურსის წესით შეირჩევა და ეს პროცესი ღიაა ყველა ადვოკატისა და საადვოკატო ბიუროსათვის. საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ. მუხლი 21. საჯარო ადვოკატების რეესტრი შედგება ადვოკატების სიისაგან, რომელთაც იურიდიული დახმარების სამსახურის მოთხოვნისთანავე შეეძლება იურიდიული დახმარების გაწევა. ადვოკატებმა იურიდიული დახმარების სამსახურს უნდა მიმართონ და გაიარონ გასაუბრება, რათა შეყვანილი იქნან ზემოაღნიშნულ სიაში. საქართველოს

<sup>24</sup> ეკონომიკის სამინისტროსა და სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2007 წელს სიღარიბის ზღვარი დადგინდა იქნა 60% ოდენობით მოხმარების მიხედვით. ამ სტანდარტით, მოსახლეობის 21.3% სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს.

<sup>25</sup> სასამართლოში და სხვა პროცესის მწარმოებელ ორგანოებში წარმომადგენლობასთან ერთად, იურიდიული დახმარების სისტემაში იკავებენ საკონსულტაციო ცენტრების შექმნა, რომლებიც იურიდიულ კონსულტაციას გაუწევენ ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე. კონსულტაციის ხანგრძლივობა არ შეიძლება აღემატებოდეს ერთ საათს. კონსულტაცია ხელმისაწვდომი იქნება ყველასათვის, საცხოვრებელი ადგილისა და ქონებრივი სტატუსის მიუხედავად. საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ. მუხლი 3, 2(ბ).

კანონი იურიდიული დახმარების შესახებ. მუხლი 22. ანაზღაურების განაკვეთი კონტრაქტორებისა და საჯარო ადვოკატებისათვის განისაზღვრება იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ. თბილისის ბიუროებში მომუშავე ადვოკატის ყოველთვიური ხელფასი 900 ლარს შეადგენს (დაახლოებით 550 ა.შ.შ. დოლარი), ხოლო კონსულტანტის ყოველთვიური ხელფასი, რომელიც იურიდიულ კონსულტაციებს უწევს და არ გამოდის სასამართლო პროცესებზე, 800 ლარს (დაახლოებით 508 ა.შ.შ. დოლარი) შეადგენს, რაც პროკურორის საშუალო ხელფასს უტოლდება.

2006 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურმა ორი ბიურო გახსნა, ერთი თბილისში, ხოლო მეორე – იმერეთში. ამ ორ ბიუროში შესაბამისად 27 და 11 ადვოკატი დასაქმებული. იურიდიული დახმარების სამსახური 2007 წლის ოქტომბრისათვის დამატებით ექვსი ბიუროს გახსნას გეგმავს, სადაც სხვადასხვა პროფილის სულ 109 თანამშრომელი იმუშაავებს, ადვოკატებისა და კონსულტანტების ჩათვლით. ეს დამატებითი ბიუროები კახეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, სამეგრელოში, აჭარასა და მცხეთა-მთიანეთში იქნება განლაგებული. ტერიტორია, რომელსაც ზემოაღნიშნული ბიუროები ვერ დაფარავს, იურიდიულ დახმარებას კონტრაქტორებისა და რეგისტრირებული ადვოკატებისაგან კომბინირებულად მიიღებს. მაგალითად, გურიაში იურიდიულ დახმარებას რეგისტრირებული ადვოკატები ეწვეიან, ხოლო ახალციხესა და სამცხე-ჯავახეთში იურიდიულ დახმარებას კონტრაქტორები და რეგისტრირებული ადვოკატები კომბინირებულად ასორციელებენ. 2006 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურის მონაცემებით, ორმა ბიურომ 400 საქმეზე იმუშავა. მოთხოვნა იურიდიულ დახმარებაზე ეტაპობრივად გაიზარდა. 2007 წლის ოქტომბერში, იურიდიული დახმარების სამსახურის ინფორმაციით, 676 საქმე იქნა დამუშავებული (282 დახურული სისხლის სამართლის საქმე და 394 მიმდინარე საქმე). საშუალოდ, ბიუროს ადვოკატი 12 მიმდინარე საქმეს აწარმოებს. 2008 წელს, განხორციელდება საზოგადოების ინფორმირების კამპანია, რათა გაზრდილ იქნას საზოგადოების ინფორმირებულობა იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის შესახებ.

გამოკითხულმა ადვოკატებმა გამოთქვეს ადელეგება იურიდიული დახმარების სამსახურთან დაკავშირებით. ყველაზე მნიშვნელოვანი საზრუნავი ორგანიზაციისა და მისი ადვოკატების დამოუკიდებლობაა. ადვოკატთა უმეტესობის აზრით, იუსტიციის სამინისტრო მნიშვნელოვანწილად არის ჩართული არა მხოლოდ ბიუროს თანამშრომლების, არამედ კონტრაქტორების შერჩევაშიც და საჯარო ადვოკატების სიის დადგენაშიც. გამოკითხულთა აზრით, მხოლოდ „ჯიბის ადვოკატებს“<sup>26</sup> ირჩევენ იურიდიული დახმარების გასაწევად. „ჯიბის ადვოკატი“-ს სტერეოტიპი აკეთებს იმას, რასაც მას პროკურატურა უბრძანებს - იმის მაგივრად, რომ თავდაუზოგავად დაიცვას კლიენტის ინტერესები. თუმცა, არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმაცია, რომლებიც იურიდიული დახმარების სამსახურთან თანამშრომლობენ, აქარწყლებს ამ ვარაუდს სახელმწიფოს ზეგავლენის შესახებ და დაწესებულებას მიუთითებს ხარისხის კონტროლის მექანიზმებზე, როგორც ზეგავლენის თავიდან აცილების ეფექტურ საშუალებაზე.

გამოკითხულთა მიერ აღნიშნული კიდევ ერთი პრობლემა იურიდიული დახმარების სიმწირეს უკავშირდება. გამოკითხულთა ინფორმაციით, იურიდიულ დახმარებაზე უზარმაზარი მოთხოვნა არსებობს, რომლის დაკმაყოფილება იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ ამჟამად ვერ ხერხდება. როგორც ზემოთ აღინიშნა,

<sup>26</sup> „ჯიბის ადვოკატი“ არის ტერმინი, რომელიც გამოიყენება ისეთი ადვოკატების დასახასიათებლად, რომლებთანაც გამომძიებელი ან პროკურორი თანამშრომლობს.

ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე იურიდიული დახმარება 2009 წლის იანვრამდე გაწეული არ იქნება. ადვოკატები ეჭვობენ იურიდიული დახმარების სამსახურის შესაძლებლობას გასწიოს დახმარება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე უახლოეს მომავალში, რადგან იურიდიული დახმარების სამსახურს ამჟამად იმის შესაძლებლობაც კი არ აქვს, რომ სისხლის სამართლის საქმეებზე არსებული მოთხოვნა სრულად დააკმაყოფილოს. ეს პრობლემა განსაკუთრებით რეგიონებზე ვრცელდება.

ამავე დროს, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული დახმარების სამსახურის შეზღუდული შესაძლებლობების გამო, არასამთავრობო ორგანიზაციები აგრძელებენ იურიდიული დახმარების გაწევას ქვეყანაში საერთაშორისო ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერით. კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი ქალებს უწევს იურიდიულ დახმარებას ოჯახში ძალადობის, საოჯახო და შრომითი სამართლის საქმეებზე. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაც სთავაზობს სხვადასხვა სახის იურიდიულ დახმარებას. ასოციაციის იურიდიული დახმარების ცენტრის ადვოკატები იურიდიულ კონსულტაციას როგორც ტელეფონით, ისე პიროვნულად ახორციელებენ. ასოციაციის ადვოკატები საქმოქალაქო, სისხლის და ადმინისტრაციულ საქმეებზე მუშაობენ. ამავე დროს, „კონსტიტუციის 42 მუხლი“, ადამიანის უფლებათა ცენტრი, და კავშირი „21-ე საუკუნე“ ეწევიან იურიდიულ დახმარებას. უნივერსიტეტის იურიდიული კლინიკებიც ეწევიან გარკვეულ იურიდიულ დახმარებას. თუმცა, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ქვეყნის მასშტაბით უფასო იურიდიულ დახმარებაზე მოთხოვნა სრულად ვერ კმაყოფილდება ამჟამად ხელმისაწვდომი მომსახურებების საშუალებით.

**ფაქტორი 20. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდები**

*ადვოკატები აცნობებენ კლიენტებს მემდიატორული, საარბიტრაჟო და დავების გადაწყვეტის მსბავსი ალტერნატიული საშუალებების შესახებ*

<b>დასკვნა:</b>	<b>შეფასება: ნეიტრალური</b>	<b>ტენდენცია: ↔</b>
<p>ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი ადვოკატებს ვალდებულებს თავიანთ კლიენტებს საქმეზე მორიგება ან დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების ძიება ურჩიონ. თუმცა, ერთადერთი ალტერნატიული ფორმალური დავის გადაწყვეტის საშუალება არბიტრაჟია და როგორც წესი, მისი გამოყენება კერძო მხარეების მიერ მცირე მასშტაბიან დავებზე ხდება. არ არსებობს ფორმალური მედიაცია. თუმცა, ადვოკატები ხშირად ურჩევენ კლიენტებს, დავა სასამართლოს დარბაზს გარეთ გადაწყვიტონ.</p>		

**ანალიზი/საფუძველი:**

ზოგადად, კლიენტების ინტერესების დაცვისას, ადვოკატები ვალდებულნი არიან გაითვალისწინონ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდები. აგრეთვე, ადვოკატები ყოველთვის უნდა ეცადონ მათი კლიენტების ინტერესები მინიმალური დანახარჯებით დაიცვან და ვალდებულებიან გამომდინარე, მათ უნდა ურჩიონ თავიანთ კლიენტებს დავები შეძლებისდაგვარად მორიგებით დაასრულონ ან დავების გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებს მიმართონ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ეთიკის კოდექსი. მუხლი 8.11. მიუხედავად ამისა, არც საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ და არც ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი აწესრიგებს კონკრეტულ

საკითხებს, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას ადვოკატის მიერ საარბიტრაჟო ან სამედიაციო მომსახურების გაწევის დროს.

საქართველოს კანონი კერძო არბიტრაჟის შესახებ სამოქალაქო დავებთან მიმართებით უზრუნველყოფს დავის მხარეებს უფლებით, მიმართონ არბიტრაჟს მხარეთა წინასწარი შეთანხმების საფუძველზე. (საქართველოს კანონი კერძო არბიტრაჟის შესახებ. მუხლი 1). თუ საარბიტრაჟო განხილვისას აღიძრა სისხლის სამართლის საქმე საკითხზე რომელიც საარბიტრაჟო განხილვის საგანია და რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს განხილვის შედეგზე, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, არბიტრაჟი არ ჩაითვლება შემდგარად. (საქართველოს კანონი კერძო არბიტრაჟის შესახებ. მუხლი 3). ამავე დროს, საქართველოს კანონი კერძო არბიტრაჟის შესახებ უზრუნველყოფს მუდმივმოქმედ საარბიტრაჟო კომპანიებს ან დროებით საარბიტრაჟო კომისიების არსებობას, რომლებიც კონკრეტული დავების განსახილველად არის შექმნილი. (საქართველოს კანონი კერძო არბიტრაჟის შესახებ. მუხლი 1 და 7). არბიტრაჟის წევრად შეიძლება დანიშნულ იქნას ნებისმიერი პირი, თუ მას აქვს შესაბამისი სამართლებრივი ცოდნა, არ ჩაუდენია განზრახ დანაშაული ან ნათესაურ კავშირშია საქმის მხარეებთან. (საქართველოს კანონი კერძო არბიტრაჟის შესახებ. მუხლი 8). ისევე როგორც სასამართლოში, არბიტრაჟში საქმის განხილვა მიმდინარეობს მხარეთა თანასწორობის საფუძველზე. (საქართველოს კანონი კერძო არბიტრაჟის შესახებ. მუხლი 25). საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებები სავალდებულოა და ექვემდებარება სასამართლოში გასაჩივრების შეზღუდულ პირობებს. (საქართველოს კანონი კერძო არბიტრაჟის შესახებ. მუხლი 16 და 43). სასამართლოები უფლებამოსილნი არიან გააუქმონ არბიტრაჟის გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება არღვევს სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ საპროცესო კანონმდებლობას. (საქართველოს კანონი კერძო არბიტრაჟის შესახებ. მუხლი 43).

გამოკითხულთა ინფორმაციით არბიტრაჟი სამოქალაქო დავებისათვის გამოიყენება, თუმცა ეს არ არის ყველაზე ხშირად გამოყენებული საშუალება დავების გადასაწყვეტად. გარდა ამისა, შეფასების ჯგუფმა მიიღო ინფორმაცია, რომ არბიტრები ყოველთვის ადვოკატები არიან და მათი უმეტესობა ამავე დროს ყოფილი მოსამართლეა. არსებობს საქმეთა საკმარისი რაოდენობა, რომლებიც არბიტრაჟის მიერ უნდა იქნას განხილული იმისათვის, რომ რამდენიმე ადვოკატმა აქტიური საარბიტრაჟო პრაქტიკა აწარმოოს. გამოკითხულებს განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდათ არბიტრაჟის საჭიროებისა და ეფექტურობის შესახებ. ზოგიერთი ადვოკატი ურჩევს თავის კლიენტს არბიტრაჟის გამოყენებას, რადგან ამ გზით დავების გადაწყვეტა უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე სასამართლო სისტემაში. ხოლო, ადვოკატების მეორე ნაწილი უპირატესობას სასამართლოს სისტემას ანიჭებს, რადგან არბიტრაჟი გასაჩივრების მხოლოდ შეზღუდულ შესძლებლობებს იძლევა.

რაც შეეხება მეწარმეებს, ისინი დავების გადასაწყვეტად არბიტრაჟს იშვიათად მიმართავენ. საკანონმდებლო ხარვეზების გამო, მეწარმეებს კომერციულ არბიტრაჟზე ხელი საკმარისად არ მიუწვდებათ. 2004 წელს, არბიტრაჟი საგადასახადო კოდექსში დაინერგა, რათა უზრუნველყოფს მეწარმეები სასამართლოს ალტერნატივით. თუმცა, 2005 წლის აპრილში საგადასახადო კოდექსში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის თანახმად არბიტრაჟი, როგორც საგადასახადო დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმი, გაუქმდა. შეფასების ჯგუფის მიერ გამოკითხული ადვოკატების აღნიშნულ კანონში ცვლილებას მთავრობის მიერ რამდენიმე ფინანსურად მნიშვნელოვანი დავის წაგებას უკავშირებენ.

მიუხედავად იმისა, რომ ფორმალური მედიაციის პროცესი არ არსებობს, გამოკითხულთა ინფორმაციით, არსებობს არაფორმალური, ალტერნატიული გზით

დავების გადაწყვეტის საშუალება. მაგალითად, მოსამართლეების განცხადებით, ისინი მხარეებს მოუწოდებენ, რომ დავები სასამართლო დარბაზის გარეთ გადაწყვიტონ. გამოითქვა მოსაზრებები ფორმალური მედიაციის პროცესის საჭიროების შესახებ სისხლის სამართლის საქმეების და ადმინისტრაციული სამართლის დავების გადაწყვეტასთან მიმართებით. მედიაციის გამოყენება ასეთ შემთხვევებში სასურველია, თუ საქმის მხარეები თანახმა არიან და თუ განსახილველი სარჩელი ადამიანის უფლებათა მნიშვნელოვან დარღვევას არ შეეხება. *იხ. მაგალითად ევროკავშირის პროექტი EU JUST Themis კანონის უზენაესობა, (საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგია, 2004 წლის ოქტომბერი)*

ადვოკატების უმეტესობის განცხადებით, ისინი ყოველთვის ცდილობდნენ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების ძიებას მანამდეც კი, სანამ ეს პრაქტიკა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნა გახდებოდა. არასამთავრობო ორგანიზაციებიც ადასტურებენ, რომ ისინი ხშირად გამოდიან მედიატორის როლში და ცდილობენ დავების გადაწყვეტას სასამართლოს ჩარევის გარეშე. შეფასების ჯგუფმა დაადგინა, რომ მოქალაქეებს ხშირად აქვთ სურვილი დავები ალტერნატიული მეთოდებით გადაწყვიტონ, სასამართლოს, როგორც კორუმპირებული ორგანოს აღქმის გამო.

**V. პროფესიული ბაერთიანება**

**ფაქტორი 21. ორბანიზაციული მართვა და დამოუკიდებლობა**

*იურისტთა პროფესიული ასოციაციები წარმოადგენენ თვითთმარტველობით, დემოკრატიულ და სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელ ორბანიზაციებს.*

<b>დასკვნა:</b>	<b>შეფასება: დადებითი</b>	<b>ტენდენცია: ↑</b>
<p>ადვოკატთა ოფიციალური პროფესიული ასოციაცია – საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია - თვითთმარტველობითი, დემოკრატიული და დამოუკიდებელი ასოციაციაა. ამავ დროს, ახალგაზრდა იურისტთა ნებაყოფლობითი გაერთიანება – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია -, ასევე ფუნქციონირებს როგორც დამოუკიდებელი, დემოკრატიული და თვითმმარტველობითი ორბანიზაცია. აგრეთვე, არსებობს დამოუკიდებელი ორბანიზაცია – იურისტ სტუდენტთა ასოციაცია, რომელშიც ახალგაზრდა იურისტები არიან გაწევრიანებულნი.</p>		

**ანალიზი/საფუძველი:**

საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ 2001 წელს იქნა მიღებული და ითვალისწინებდა ერთიანი ეროვნული ადვოკატთა ასოციაციის შექმნას. თუმცა, ადვოკატებმა ასოციაციის შექმნა მხოლოდ 2004 წელს მოახერხეს. ამერიკის იურისტთა ასოციაციის ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის დამფუძნებელი კრება 2005 წლის 11-12 მარტს გაიმართა და მასში 904 ადვოკატი მონაწილეობდა. თუმცა, ამ შეხვედრებით ადვოკატთა ასოციაციის ფორმალური დაფუძნება ვერ მოხერხდა. აღნიშნული, ადვოკატთა შესახებ კანონის გარკვეული დებულებების ხარვეზებისა და ადვოკატთა გარკვეული ჯგუფის წინააღმდეგობის გამო მოხდა. შედეგად, სასამართლოს წინაშე დადგა ასოციაციის ლეგიტიმურობის საკითხი. სასამართლოში შეტანილ იქნა სარჩელი, რომელიც ასოციაციის ლეგიტიმურობას

ეხებოდა დამფუძნებელ კრებაზე გარკვეული პროცედურული დარღვევების გამო. კიდევ ერთი სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში იქნა შეტანილი და ადვოკატთა შესახებ კანონის დებულების, რომელიც სავალდებულო წევრობას ითვალისწინებდა, არა-კონსტიტუციურად გამოცხადებას ითხოვდა. 2006 წლის დასასრულს, ყველა ეს საკითხი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასარგებლოდ გადაწყდა.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ფორმალურად 2006 წლის იანვარში შეიქმნა და ამჟამად ოფისები თბილისში, ბათუმსა და თელავში აქვს. ასოციაციაში 3672 ადვოკატია გაწევრიანებული. 2006 წლის აპრილში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებამ ოფიციალურად დაამტკიცა მისი წესდება და აირჩია მმართველი ორგანოები. მას შემდეგ, ასოციაცია ფუნქციონირებს, როგორც ადვოკატთა ოფიციალური პროფესიული გაერთიანება.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას განიხილავს დამოუკიდებელი, თვითმმართველი და დემოკრატიული ადვოკატთა გაერთიანება. გამოკითხული ადვოკატები ერთხმად აცხადებენ, რომ ორგანიზაცია მთავრობის მხრიდან რაიმე ზეწოლის გარეშე მოქმედებს. ასოციაციის მმართველობის სისტემა საერთო კრების, აღმასრულებელი საბჭოსა და ასოციაციის თავმჯდომარისაგან შედგება (ე.წ. მმართველი ორგანოები) საქართველოს კანონი აღვოკატთა შესახებ. მუხლი 23(1); საქართველოს აღვოკატთა ასოციაციის წესდება. მუხლი 11.

საერთო კრება ასოციაციის უმაღლესი მმართველი ორგანოა. კანონი აღვოკატთა შესახებ. მუხლი 24(1); საქართველოს აღვოკატთა ასოციაციის წესდება. მუხლი 12.1. საერთო კრება, როგორც ასოციაციის მმართველი ორგანო, ამტკიცებს ადვოკატთა სასწავლო ცენტრის წესდებას, ასოციაციის მომდევნო წლის ბიუჯეტს, ისმენს აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის და სარევიზიო კომისიების ანგარიშს და ამტკიცებს საწევრო გადასახადის ოდენობასა და აპარატის ხელფასებს. (საქართველოს კანონი აღვოკატთა შესახებ. მუხლი 24(3), 24(4); ასევე იხ. საქართველოს აღვოკატთა ასოციაციის წესდება. მუხლი 12.2(3)). იმისათვის, რომ საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანი იყოს, აუცილებელია ქვორუმი. (საქართველოს აღვოკატთა ასოციაციის წესდება. მუხლი 13.9). საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას 3497 წევრი ჰყავს. ამჟამად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წინაშე საერთო კრების ჩატარების პრობლემა დგას. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ინფორმაციით, მათ უჭირთ შესაბამისი ტევადობის დარბაზის პოვნა საერთო კრების ჩასატარებლად. აღმასრულებელი საბჭო იკვლევს ქვორუმის მოთხოვნის ალტერნატივებს. თუმცა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდების ნებისმიერი ცვლილების დასამტკიცებლად აუცილებელია საერთო კრების ხმის უმრავლესობა ქვორუმის პრირბობებში. (საქართველოს აღვოკატთა ასოციაციის წესდება. მუხლი 12.2(ა)). იმ შემთხვევაში, თუ ქვორუმი არ შედგა, კრება კიდევ ერთხელ უნდა იქნას მოწვეული ხუთი დღის ვადაში. საქართველოს აღვოკატთა ასოციაციის წესდება. მუხლი 13.2, 13.9.

ქვორუმის მოთხოვნა ასოციაციის საერთო კრების ეფექტური ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს. 2006 წელს, საერთო კრება ორჯერ შედგა – იანვარში მმართველი ორგანოების ასარჩევად და აპრილში ეთიკის კოდექსისა და დისციპლინური დებულების დასამტკიცებლად, ხოლო 2007 წელს კრების მოწვევა ვერ მოხერხდა. ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს განცხადებით, იგი ეძებს ქვორუმის აღნიშნული მოთხოვნის ალტერნატივას იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს უფრო მცირე მოცულობის კრების მოწვევა. თუმცა, წესდებაში ნებისმიერი ცვლილების შესატანად კვლავ ქვორუმი და საერთო კრებაზე ხმების უმრავლესობაა აუცილებელი. ამავე დროს, ასოციაცია, რომელსაც ამჟამად 3000-ზე მეტი წევრი ჰყავს, პრობლემებს აწყდება ისეთი ზომის დარბაზის ძიებაში, რომელიც დაიტევდა ასოციაციის საერთო კრებას.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო ორგანიზაციის ყოველდღიურ მართვას ახორციელებს. იგი ვალდებულია შეიკრიბოს ყოველთვიურად და შედგება 8 წევრისაგან, რომლებსაც საერთო კრება 3 წლის ვადით ირჩევს. ასოციაციის თავმჯდომარეც თანამდებობრივად აღმასრულებელ საბჭოში შედის. საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. მუხლი 26(1)-(3); ადვოკატთა ასოციაციის წესდება. მუხლი 14.1-14.2. სხვა ფუნქციებთან ერთად, აღმასრულებელი საბჭო ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრთა სიას აწარმოებს. (საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. მუხლი 26(4); ადვოკატთა ასოციაციის წესდება. მუხლი 15). აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებების მისაღებად აუცილებელია ქვორუმი და წევრების ხმების უმრავლესობა. ასოციაციის თავმჯდომარეს აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება. საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. მუხლი 26(6); ადვოკატთა ასოციაციის წესდება. მუხლი 14.9-14.10.

ასოციაციის თავმჯდომარის ვალდებულებაა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლობა სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობებში და საერთო კრების თავმჯდომარეობა. საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. მუხლი 27(6); ადვოკატთა ასოციაციის წესდება. მუხლი 17.2, 13.11, 18.1(ბ), 18.1(ვ). ამავე დროს, თავმჯდომარე უძღვება ასოციაციის საქმიანობას, მართავს ასოციაციის ქონებას, ხელს აწერს ოფიციალურ დოკუმენტებს, სამსახურში იღებს და ათავისუფლებს თანამშრომლებს და კოორდინაციას უწევს ასოციაციის პროგრამებისა და პროექტების განვითარებას და განხორციელებას. ადვოკატთა ასოციაციის წესდება. მუხლი 18. აღმასრულებელი საბჭოს სხვა წევრების მსგავსად, საერთო კრება თავმჯდომარეს 3 წლის ვადით ირჩევს კანდიდატის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე. საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. მუხლი 27(1); ადვოკატთა ასოციაციის წესდება. მუხლი 17.1. თავმჯდომარე მის უფლებამოსილებას სრული განაკვეთით ასრულებს და იღებს ხელფასს მხოლოდ საწევრო გადასახადებიდან. საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. მუხლი 27(3); ადვოკატთა ასოციაციის წესდება. მუხლი 17.3-17.4.

გარდა ამისა, ასოციაციის ორგანიზაციული სტრუქტურა ეთიკის და სარევიზიო კომისიებს მოიცავს. საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. მუხლი 23(1). 9 წევრისაგან შემდგარი ეთიკის კომისია დამოუკიდებელი ორგანოა და მის კომპეტენციას ადვოკატების წინააღმდეგ საჩივრების განხილვა და დისციპლინური წარმოების განხორციელებაა. ასოციაციის წევრები, რომელთა ასაკი 30 წელს აღემატება და აქვთ ადვოკატად მუშაობის მინიმუმ 5 წლის სტაჟი, შეიძლება არჩეულ იქნან ეთიკის კომისიაში 3 წლის ვადით. ადვოკატთა ასოციაციის წესდება. მუხლი 20. 3 წევრისაგან შემდგარი სარევიზიო კომისია აკონტროლებს ასოციაციის ფინანსურ საქმიანობას. მისი წევრები არჩეულნი არიან 2 წლის ვადით. საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. მუხლი 29; ადვოკატთა ასოციაციის წესდება. მუხლი 24.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას საკუთარი ბიუჯეტი გააჩნია, რომელსაც საერთო კრება ყოველწლიურად ამტკიცებს. ადვოკატთა ასოციაციის წესდება. მუხლი 29. ასოციაციის შემოსავლის ძირითადი წყარო ყოველწლიური საწევრო გადასახადია. ადვოკატთა ასოციაციის წესდება. მუხლი 27.1.1, 28.1, 28.3. ყოველწლიური საწევრო გადასახადი 200 ლარს შეადგენს (დაახლოებით 113 ა.შ.შ. დოლარი). თუმცა, განსაკუთრებულ შემთხვევებში აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, შესაძლოა დაწესდეს შეღავათი. ადვოკატთა ასოციაციის წესდება. მუხლი 28.4-28.5. საწევრო გადასახადის ოდენობა განსაზღვრულია წესდებით და მისი შეცვლა შესაძლებელი მხოლოდ წესდებაში ცვლილების შეტანით. ადვოკატთა ასოციაციის წესდება. მუხლი 28.6. პრაქტიკაში, ასოციაცია მნიშვნელოვან პრობლემებს აწყდება საწევრო გადასახადის ამოღებისას. 2005 წლიდან, საწევრო დაახლოებით 2500 წევრს არ აქვს გადახდილი. საწევრო გადასახადის გარდა, ასოციაციას შეუძლია მოიძიოს დაფინანსება სხვა წყაროებიდან, როგორცაა

რაც შეეხება იურისტების სხვა პროფესიულ გაერთიანებებს, წარსულში საქართველოს ადვოკატთა კოლეგია არსებობდა, თუმცა ამჟამად ის დაშლილია და მისი წევრების უმრავლესობა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი გახდა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროფესიული ორგანიზაცია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაა, რომელიც 1994 წელს დაარსდა და მის საქმიანობას აგრძელებს როგორც 40 წლამდე იურისტების, სტაჟიორების და იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების ნებაყოფლობითი გაერთიანება. (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წესდება. მუხლი 4.1). საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მმართველი ორგანო საერთო კრებაა, რომელიც წელიწადში ერთხელ, ოქტომბერში იკრიბება. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წესდება. მუხლი 6.1. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ყველა წევრი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს საერთო კრებაში. (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წესდება. მუხლი 5.1). საერთო კრების ლეგიტიმურობისათვის აუცილებელია, რომ მას ესწრებოდეს ასოციაციის წევრთა 25% და გადაწყვეტილებები ხმის უმრავლესობით მიიღება. (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წესდება. მუხლი 6.3). ამავე დროს, ასოციაციას ჰყავს 21 წევრისაგან შემდგარი საბჭო, რომელიც საერთო კრებასთან ერთად მართავს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას. (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წესდება. მუხლი 8). ასოციაციაში გასაწევრიანებლად, გაწევრიანების მსურველი პირები წერილობითი განცხადებით მიმართავენ ასოციაციის საბჭოს, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ორი წევრის რეკომენდაცია. წევრის მიღების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საბჭო და კანდიდატს ატყობინებს განცხადების მიღებიდან 6 თვის ვადაში. (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წესდება. მუხლი 4). საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მისი დაფუძნების დღიდან იურისტთა აქტიური ნებაყოფლობითი გაერთიანება იყო და მას გააჩნია მთავრობაში კორუფციის წინააღმდეგ და ადამიანის უფლებებისათვის მებრძოლი ორგანიზაციის რეპუტაცია.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მსგავსად, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს მთავრობისაგან დაფინანსებას არ იღებს. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წესდება მას უფლებას აძლევს წევრებისაგან საწევრო გადასახადი მიიღოს და ამავე დროს, ასოციაცია დაიფინანსებას სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციისაგან იღებს. (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდება. მუხლი 5). 2004 წლიდან 2007 წლის ბოლომდე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია დაფინანსებას ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივისგანაც იღებდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს გრანტიდან. ამ დაფინანსებამ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას საშუალება მისცა შეექმნა კანონმდებლობა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, სახელმწიფო სამოქმედო გეგმა ქალთა წინააღმდეგ ოჯახში ძალადობასთან საბრძოლველად და სასამართლოებში ოჯახში ძალადობის შესახებ საქმეებზე მონიტორინგის დასაწესებლად.

**ფაქტორი 22. წევრთა მომსახურება**

*იურისტთა პროფესიული გაერთიანებები აქტიურად იცავენ პროფესიის ინტერესებსა და დამოუკიდებლობას, აღბენენ პროფესიულ სტანდარტებს და ახორციელებენ საბანანათლებლო და სხვა საქმიანობას თავისი წევრებისათვის..*

დასკვნა:	შეფასება: დადებითი	ტენდენცია: ↑
----------	--------------------	--------------

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ასოციაცია აქტიურად იცავს იურიდიული პროფესიის ინტერესებსა და დამოუკიდებლობას. ასოციაციამ დაადგინა პროფესიული სტანდარტები ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების პროცესისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის საშუალებით. ასოციაცია თავის წევრებს საგანმანათლებლო და სხვა სახის შესაძლებლობებს სთავაზობს და ასოციაციისა და მისი წევრებისათვის მომსახურების გაფართოებაზე მუშაობს.

**ანალიზი/საფუძველი:**

კანონის თანახმად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია პასუხისმგებელია პროფესიის ინტერესებისა და დამოუკიდებლობის დაცვაზე პროფესიული სტანდარტების დაწესების და წევრებისათვის საგანმანათლებლო შესაძლებლობების შეთავაზების გზით. (იხ. საქართველოს კანონი ადვოკატთა შსსაშპ, თაში VI). მაგალითად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას ევალება საკვალიფიკაციო კომისიის შექმნა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების მომზდებასა და ჩატარებას. (საქართველოს კანონი ადვოკატთა შსსაშპ. მუხლი 11(2), 24(2)(ბ)). ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის შესახებ დეტალური ინფორმაციისათვის იხ. ფაქტორი 9. ამავე დროს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას ევალება პროფესიული ეთიკის კოდექსისა და შესაბამისი დისციპლინური დებულების მიღება. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსისა და დისციპლინური დებულების შესახებ დეტალური ინფორმაციისათვის იხ. ფაქტორი 16 და 17. რაც შეეხება, პროფესიულ განვითარებას, საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ, მოითხოვს ადვოკატთა სასწავლო ცენტრის შექმნას. (საქართველოს კანონი ადვოკატთა შსსაშპ. მუხლი 23(3); ასევე იხ. ფაქტორი 14).

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდება გასაზღვრავს ასოციაციის მიზნებს:

- საქართველოში სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების და კანონის უზენაესობის დაცვის ხელშეწყობა;
- ადვოკატის პროფესიის განვითარება;
- ადვოკატის უფლებების, პროფესიული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვა;
- საადვოკატო საქმიანობაში ჩაურევლობის უზრუნველყოფა;
- იურიდიული განათლების ხელშეწყობა და ადვოკატთა კვალიფიკაციის ამაღლება;
- სახაზინო ადვოკატის სისტემის ხელშეწყობა;
- საადვოკატო ეთიკის ნორმების დაცვის უზრუნველყოფა;
- ადვოკატების სოციალური დაცვა.

(საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდება. მუხლი 5). ამავე დროს, ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

- ორგანიზებას უწევს ადვოკატთა ტესტირების ჩატარებას;
- ქმნის და უძღვება ადვოკატთა სასწავლო ცენტრს;
- ატარებს ადვოკატებისათვის სემინარებს, დისკუსიებს, მრგვალ მაგიდებს და სხვა;
- გამოსცემს ასოციაციის ჟურნალს;
- მოიძიებს დაფინანსების დამატებით წყაროებს;
- შეიმუშავებს საადვოკატო ეთიკის ნორმებს;

- მონაწილეობს კანონშემოქმედებით საქმიანობაში;
- ქმნის ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდს;
- განაზოგადებს სასამართლო პრაქტიკას;
- ქმნის ადვოკატთა და საადვოკატო ბიუროების საინფორმაციო ბანკს და უზრუნველყოფს მის მუდმივ განახლებას;
- შეიმუშავებს ადვოკატთა წახალისების და დისციპლინური დევნის წესებს და უზრუნველყოფს მათ შესრულებას;
- მიიღებს და გასცემს გრანტებს.

(საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდება. მუხლი 6). მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია საკმაოდ ახალგაზრდაა, ის აქტიურად არის ჩართული პროფესიის განვითარებაში. იგი ატარებს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდას, მან მიიღო ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი და გააჩნია მოქმედი დისციპლინური ორგანო; იგი მის წევრებს იურიდიული განათლების მიღების შესაძლებლობებს სთავაზობს და აქტიურად არის ჩაბმული სამართლებრივი რეფორმის საკითხებში. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ცდილობს გააძლიეროს ასოციაცია და გააფართოვოს თავისი წევრებისათვის მომსახურება. მაგალითად, 2006 წლის დეკემბერში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ კვარტალური ჟურნალის გამოშვება დაიწყო. ჟურნალის პირველ ნომერში რამდენიმე კანონი გამოქვეყნდა ეთიკის კოდექსთან და ასოციაციის წევრებისა და მეცნიერების სტატიებთან ერთად. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საქმიანობის დეტალური მიმოხილვისათვის იხ. ფაქტორი 9, 14, 16, 17 და 24.

გამოკითხული პირები საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საქმიანობას პროფესიის განვითარების ხელშეწყობაში აღიარებენ, თუმცა ისინი ისურვებდნენ, რომ ასოციაციის წევრთათვის მეტი მომსახურება არსებობდეს. კერძოდ, ადვოკატებს სურთ პროფესიული ტრენინგის მეტი შესაძლებლობები. ადვოკატებმა წუხილი გამოთქვეს, რომ სასამართლოებსა და პროკურატურას მეტ რესურსებსა და შესაძლებლობებზე მიუწვდებათ ხელი. საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, პროკურორებს მინიმუმ 100 პროფესიული განვითარების ტრენინგი აქვთ ყოველწლიურად. ადვოკატებს სურთ, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ ადვოკატებს იგივე რაოდენობის ტრენინგი შესთავაზოს.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მსგავსად, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის, ეთიკის სტანდარტების, ადამიანის უფლებების განვითარებისა და ადვოკატების იურიდიული უნარ-ჩვევების დახვეწაში ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა. (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წესდება. მუხლი 4.1). ამასთან, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წესდება რამდენიმე დამატებით მიზანს ისახავს, როგორცაა იურიდიული დახმარების გაწევა, იურიდიული ბიბლიოთეკების განვითარება, და ადამიანის უფლებების დაცვის ხელშეწყობა. (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წესდება. მუხლი 3.1). საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია აქტიურად არის ჩართული იურიდიული პროფესიის განვითარებაში 1994 წლიდან და ატარებს შეხვედრებს, სემინარებსა და მრგვალ მაგიდებს იურისტებისათვის იმ კანონებთან მიმართებით, რომლებიც იურიდიულ პროფესიაზე და მის წევრებზე ზოგადად გავლენას ახდენენ. მაგალითად, 2005 წლის მაისში, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ შექმნა იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი, ხოლო 2005-2006 წლებში კი თვით ფონდმა წამოიწყო სტუდენტების კურსებზე მიღება. ფონდმა გამოცხადა კონკურსი ტრენინგის კურსებში მონაწილეობის მიღების მსურველთათვის 2005-2006 წლებში და მასში 200-მა პირმა

მიიღო მონაწილეობა. აქედან 130 კანდიდატი იქნა შერჩეული კურსების გასავლელად. ეს კურსი შვიდი თვე გრძელდებოდა და თითო სტუდენტისათვის 200 ლარი ღირდა (დაახლოებით 130 ა.შ.შ. დოლარი).

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევა 1997 წელს სამართლებრივი ტრენინგისა და ინფორმაციის ცენტრის დაარსებაა. სამართლებრივი ტრენინგისა და ინფორმაციის ცენტრის საქმიანობა მიზანმიმართულია ადვოკატებისა და სხვა პროფილის იურისტების პროფესიული უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების დახვეწისაკენ ტრენინგებისა და სემინარების ჩატარების გზით. სამართლებრივი ტრენინგისა და ინფორმაციის ცენტრის პროგრამები ძირითადად ორი ფორმით არის წარმოდგენილი: ყოველკვირეული ტრენინგი და პროფესიული სემინარები. სამართლებრივი ტრენინგისა და ინფორმაციის ცენტრის ყოველკვირეული ტრენინგის სამიზნე ჯგუფს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები და ახალდამთავრებული იურისტები წარმოადგენენ. აღნიშნული კურსები იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის ეხებოდა რამდენიმე საკითხს ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის, შედარებითი სამართლის, საბანკო, საარბიტრაჟო სამართლის, სამართლებრივი წერისა და სასამართლო უნარ-ჩვევების ჩათვლით. პროფესიული სემინარები კი სპეციალიზებულ ტრენინგს წარმოადგენს, რომლის სამიზნე ჯგუფი სხვადასხვა პროფესიული პროფილის ადამიანებია და სამართლის სხვადასხვა დარგს შეეხება. მაგალითად, ახალი სამოქალაქო და საგადასახადო კოდექსების ამოქმედების შემდეგ, ცენტრმა ჩაატარა სემინარები ახალ კანონმდებლობაზე არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ. 200 არასამთავრობო ორგანიზაციის 300 წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას აღნიშნულ სემინარში. 2002-2003 წლებში, დაახლოებით 200 ჟურნალისტი მონაწილეობდა ტრენინგში, რომელიც ორიენტირებული იყო მედიის როლზე არჩევნებში. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ, ცენტრმა ჩაატარა სემინარები ამ ახალი კოდექსების შესახებ მოსამართლეთათვის. ამ სემინარებს ქვეყნის ადმინისტრაციულ სამართალზე მომუშავე მოსამართლეთა უმეტესობა დაესწრო. სამართლებრივი ტრენინგისა და ინფორმაციის ცენტრმა ასევე ჩაატარა სემინარები პოლიციის ოფიცრებისათვის. მათ შორის, ადამიანის უფლებათა შესახებ კურსი პოლიციის აკადემიაში და სემინარი “პოლიცია და სამოქალაქო საზოგადოება”, რომელსაც 700 ოფიცერი დაესწრო.

**შემაჯობილი 23. საქართველოს იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსის ამაღლების პროგრამები**

*იურისტთა პროფესიული გაერთიანებები მხარს უჭერენ პროგრამებს, რომელთა მუშაობითაც ხდება საზოგადოების განათლება და ინფორმირება კანონით დადგენილი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ და იურისტის (ადვოკატის) როლის შესახებ საზოგადოების ამ უფლებების დაცვაში.*

დასკვნა:	შეფასება: ნეიტრალური	ტენდენცია: ↔
საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია არ მონაწილეობს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების პროგრამებში და არ განიხილავს საზოგადოებრივ ცნობიერებას, როგორც ორგანიზაციის ერთ-ერთ მიზანს. თუმცა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებელი და ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია მონაწილეობს საქართველოს იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსისა და ცნობიერების ამაღლების პროგრამებში.		

**ანალიზი/საფუძველი:**

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია საზოგადოების სამართლებრივი ინფორმირებულობის პროგრამებში აქტიურად ჩართული არ არის და მას ეს არც კანონმდებლობით მოეთხოვება. საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას არ მოუწოდებს მხარი დაუჭიროს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების პროგრამებს და არც ასოციაციის წესდება განიხილავს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, როგორც ასოციაციის ერთ-ერთ მიზანს. (იხ. საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ; ასევე იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდება. მუხლი 5.1). თუმცა, ის ზოგადად მოუწოდებს ასოციაციას “ხელი შეუწყოს სამართლიანობასა და კანონის უზენაესობის დაცვას”. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების პროგრამებს, ძირითადად, არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით. მაგალითად, კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრმა გაავრცელა ადამიანის უფლებების შესახებ ბუკლეტები, ხოლო ორგანიზაციამ “კონსტიტუციის 42-ე მუხლმა” დაარიგა ბროშურა სათაურით “იცოდეთ შენი უფლებები თუ დაგაკავებს”. არასამთავრობო ორგანიზაცია “ყოფილი პოლიტ-პატიმრები ადამიანის უფლებებისათვის” ასევე ორიენტირებულია რამდენიმე გამოცემაზე პატიმრების უფლებების შესახებ. ამასთან, არასამთავრობო ორგანიზაციები იყენებენ რეკლამას, რომელიც ტელევიზიით გადაიცემა, საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად მათი კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უფლებების შესახებ.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია აქტიურად არის ჩართული საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაში. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წესდებაში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, როგორც ორგანიზაციის ერთ-ერთი მიზანია ნახსენები. (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წესდება. მუხლი 2.1). ამ თემაზე, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მრავალ ღონისძიებას ატარებს მთელი ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის საგანმანათლებლო მასალების გამოქვეყნება და სატელევიზიო გადაცემების მომზადება. ეს ძალისხმევა შეეხო რამდენიმე საკითხს, მათ შორის ტრეფიკინგი, ოჯახში ძალადობა, ქონებრივი უფლებები და ინფორმაციის თავისფულება.

იურიდიული დახმარების სამსახურიც აპირებს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანიის წარმოებას 2008 წლიდან. კამპანიის მიზანი იქნება საზოგადოების ინფორმირება ძირითადი სამოქალაქო უფლებების შესახებ და უფასო იურიდიული დახმარების მომსახურების არსებობის შესახებ. შეფასების განხორციელების დროს აღნიშნული კამპანიის დეტალები ჯერ ცნობილი არ იყო.

გამოკითხულნი ერთხმად აცხადებენ, რომ საზოგადოების განათლება აუცილებელია. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ხდებოდა მოქალაქეების უფლებების დარღვევა (განსაკუთრებით დაკავებული პირების), რადგან მათ არ იცოდნენ მათი კანონით დადგენილი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. ძალიან ხშირად გვეუბნებოდნენ, რომ იოლად ხდება ექვმიტანილების ან დაკავებულების იძულება და დაშინება შეასრულონ პროკურორის ბრძანებები. ადვოკატების განცხადებით, ასევე აუცილებელია საზოგადოების ინფორმირება ნაფიცი მსაჯულების სასამართლოს შესახებ, რადგან

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტი ითვალისწინებს ნაფიცი მსაჯულების სასამართლოს ინსტიტუტის შემოღებას. Transparency International, საქართველო, საქართველოს სასამართლოების დახვეწა: ნაფიცი მსაჯულების სასამართლო, ნაწილი 5.

**ფაქტორი 24. როლი სამართლებრივ რეფორმაში**

*იურისტთა პროფესიული გაერთიანებები აქტიურად არიან ჩართულნი ქვეყნის სამართლებრივი რეფორმის პროცესში.*

დასკვნა:	შეფასება: დადებითი	ტენდენცია: ↑
საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია აქტიურად არიან ჩართულნი სამართლებრივი რეფორმის პროცესში ძალისხმევების ღობირების, სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობის, კანონპროექტებზე კომენტირებისა და პოზიციის გამოხატველი სტატიების გამოქვეყნების გზით.		

**ანალიზი/საფუძველი:**

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია აღიარებს მის როლს სამართლებრივ რეფორმაში და აცხადებს, რომ ორგანიზაცია მონაწილეობას მიიღებს კანონშემოქმედებით პროცესში და სასამართლო პროცედურებისა და პრაქტიკის განხილვაში. (იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდება. მუხლი 6.1.7, 6.1.9). მისი დაარსების დღიდან, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის სამართლებრივი რეფორმის პროცესში. აშკარაა, რომ მისი ყურადღება ძირითადად იმ კანონებზე იყო გამახვილებული, რომლებიც მის ლეგიტიმურობასა და უფლებამოსილებას შეეხება. მაგალითად, ამჟამად ასოციაცია ცდილობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების წინააღმდეგ ღობირებას, რომლებიც პროკურატურის მუშაკათვის გამოცდა ჩაბარებულ პირებს უფლებას აძლევს გაწვერიანდნენ ასოციაციაში ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაუბარებლად. ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდისა და პროკურატურის მუშაკთა გამოცდის შესახებ დეტალური ინფორმაციისათვის იხ. ფაქტორი 9. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ გამოთქვა წუხილი საქართველოს კანონზე იურიდიული დახმარების შესახებ, თუმცა ასოციაცია სათანადოდ არ ეცადა ამ საკითხის ღობირებას. ამჟამად, სასამართლოები საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას მიმართავენ იურიდიული დახმარების გაწვევის თხოვნით იმ შემთხვევაში, თუ არ არის სხვა ადვოკატი, რომელიც იურიდიულ დახმარებას გასწევდა. სწორედ ამ თვალსაზრისით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ უკმაყოფილება გამოთქვა, რომ იურიდიული დახმარების მიწოდება მათი ორგანიზაციის საშუალებით არ ხდება.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაც აქტიურად არის ჩართული ქვეყანაში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმის პროცესში. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საქმიანობა ადამიანის უფლებების დაცვას, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემისათვის ბრძოლას, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას და იურიდიული დახმარების გაწევას მოიცავს. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ღობირებს ცვლილებას საქართველოს კანონში უმადლესი განათლების შესახებ, რომელიც ამჟამად პირებს, რომლებიც დოქტორანტურის სტუდენტები არ არიან ან დოქტორის ხარისხი არ გააჩნიათ, უკრძალავს იურიდიულ ფაკულტეტზე პროფესორად მუშაობას<sup>27</sup>. ამავე დროს.

<sup>27</sup> საქართველოს კანონი უმადლესი განათლების შესახებ გამოყოფს პროფესორთა სამ კატეგორიას: ასისტენტ-პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და პროფესორი. (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, მუხლი 33(2)). ამჟამად, პროფესორებსა და ასოცირებულ პროფესორებს უნდა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ისევე, როგორც საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მონაწილეობენ კანონშემოქმედებით სამთავრობო სამუშაო ჯგუფებში. ამასთან, ორივე ასოციაცია უზაუნის კომენტარებს ისევე, როგორც პოზიციის გამომხატველ სტატიებს საკანონმდებლო საკითხებზე საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს.

შეფასების ჯგუფის მიერ გამოკითხულმა თითქმის ყველა ადვოკატმა გვიამბო შემთხვევების შესახებ, როდესაც ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ კვლევებში, პროექტების შექმნაში ან კანონის ცვლილებების მომზადებაში. თუმცა, ამავე დროს გამოკითხულმა ადვოკატებმა აღნიშნეს, რომ მიუხედავად მათი მონაწილეობისა, მათ მიაჩნიათ, რომ ძალიან მცირე გავლენა აქვთ კანონშემოქმედებით პროცესზე. ადვოკატები სამთავრობო სადისკუსიო ფორუმებს უბრალო ფორმალურად მიიჩნევენ და სჯერათ, რომ მთავრობას გადაწყვეტილება აღნიშნულ შესვედრებამდე აქვს მიღებული. ერთ-ერთმა ადვოკატმა აღნიშნა, რომ “ძალიან ყვეს, მაგრამ ქარავანი მიდისო”. ასეთი აღქმის მიუხედავად, ადვოკატთა ასოციაციები აშკარად ჩართულნი არიან ქვეყნის სამართლებრივი რეფორმის პროცესში.

---

ჰქონდეთ დოქტორის ხარისხი. (საქართველოს კანონი შმაღლესი ბანათილების შესახებ, მშლი 35(1 და 2)). ასისტენტ პროფესორებს უნდა ჰქონდეთ დოქტორის ხარისხი ან უნდა იყვნენ დოქტორანტურის სტუდენტები. (საქართველოს კანონი შმაღლესი ბანათილების შესახებ, მშლი 35(3)).



იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსი (LPI) წარმოადგენს ერთ-ერთ შეფასების ხელსაწყოს, რომელიც შექმნილია ამერიკის იურისტთა ასოციაციის (ABA) იურიდიული რეფორმის და საერთაშორისო განვითარების ექსპერტების მიერ. LPI წარმოადგენს იურიდიული პროფესიის დამოუკიდებლობის და მსოფლიოში განვითარებადი დემოკრატიის ქვეყნებში იურიდიული პრაქტიკის განსახორციელებლად არსებული გარემოს კვლევას რაც მიმართულია ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის პროგრამის აქტივობისკენ გლობალურ დონეზე შექმნას სამართლიანი და უწყვეტი განვითარებადი სამართლებრივი სისტემა.

LPI ეყრდნობა შეფასებით სამართლებრივ ტრადიციებს და საერთაშორისო სტანდარტებს რომელიც ნამოყალიბებულია გაეროს, ევრო საბჭოს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ისეთ საკითხებზე როგორცაა: პროფესიული დამოუკიდებლობა და გაარანტიები, იურიდიული განათლება და ტრენინგები, იურიდიულ პროფესიაში გაწვევრიანება, იურიდიული პრაქტიკის და მომსახურების სტანდარტები და პირობები და ადვოკატთა პროფესიული ასოციაციების როლი სამართლებრივ რეფორმაში.

იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსი აფასებს ადგილობრივ მდგომარეობას და პრაქტიკას 24 ფაქტორის საფუძველზე, რომლებიც ხელს ეწყობენ დამოუკიდებელი, ეთიკური და ეფექტური იურიდიული პროფესიის შექმნას ეს პროცესი მოიცავს ყველა კანონების, ნორმატიული აქტების სრულყოფილ შესწავლას, ასევე მიიითხადა მონაწილეების ინტერვიუს პროცესს რომელიც სორციალურად ფოკუს უკუხების და იურისტებთან, მოსამართლეებთან, პროკურორებთან, სახელმწიფოს და შესაძე სექტორის წარმომადგენელთა სტრუქტურული ინტერვიუების მეშვეობით.

LPI არის სახელმძღვანელო წყარო იმ ორგანიზაციებისათვის რომლებიც ტექნიკურ სამართლებრივ დახმარებას ასორციელებენ, ასევე სამართლებრივი რეფორმის მხარდამჭერთათვის და საერთაშორისო საზოგადოებისათვის ამასთან ერთად, შეფასების ხელსაწყო ესმარება ადგილობრივი იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებს იმეტიყდონ საკუთარი იურიდიული პროფესიის ინტერესების დასაცავად და ესმარება არასამთავრობო ორგანიზაციებს მხარი დაუჭიროთ სამართლებრივ რეფორმას და მონაწილეობა მიიღონ მსგავს აქტივობებში.

იურიდიული  
პროფესიის  
რეფორმის  
ინდექსი

საქართველო  
ნაწილი II  
ნოემბერი 2007



**USAID**  
ამერიკელი ხალხისგან

